

ISSN 1987-6890

# მკვლევარებისთვის EKONOMISTI

*საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი*  
*International Scientific - Analytical Journal*

# 3

2 0 1 5

UDC33

ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

# ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი  
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

ივლისი **3**  
სექტემბერი  
აგვისტო 2015

მთავარი რედაქტორი რამაზ აბუსაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია:

აკადემიკოსები:

ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაბაძე.  
საძ. მ.ვ. ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი  
ლ.ე.ო ჩიქავა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:

იური ანანიავშილი, როზაია ასათიანი, ბივი გელიანაშვილი, თემურ გერიძე, ბიორბი გერულა-  
ვა, ვახტანგ ბურღული, რევაზ ბუღალაძე, რევაზ ბუღალაძე, რევაზ ბუღალაძე, რევაზ ბუღალაძე, თემურ  
კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკოვ მენსია, ელგუჯა  
მეჩვანაძე, სოლომონ პავლიაშვილი, შამანი სამაღაშვილი, როლანდ სარჩიშვილი,  
ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ეთერ ხარაიშვილი,  
მისხილ ჯიბუტი.

ეკონომიკის დოქტორები:

ნანული არევაძე, თამილა არნანი-კეკელიძე, ნანა ბიბილაშვილი, ბაღრი ბეჩხაია, მერაბ  
გველესიანი, შალვა გობიაშვილი, ლინა ლაშინაშვილი, გულნაზ ერქომაიშვილი, ეთერ  
კაკულია, ნახირა კაკულია, ანზორ კურატაშვილი, თეა ლაზარაშვილი (მთავარი  
რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, დავით სოლოვაშვილი, ნოდარ ხაღური, მამუკა  
ხუციშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.

უცხოელი წევრები:

ანა ახვლედიანი (ლიდი ბრიტანეთი, პასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ლარისა  
გელმინსკაია (ლიტვა), ელზარ იშაილოვი (აზერბაიჯანი), ბინდრა კანნაშკინე (ლიტვა),  
დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია),  
მისხილ როკატლიშვილი (აშშ), ბაღინა სავინა (უკრაინა), სლავომირ პარტიცკი (პოლონეთი),  
დომინიკ სოროკინი (რუსეთი).

თამარ ლაღიანი (პასუხისმგებელი მდივანი)

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება  
შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის  
სიზუსტეზე.

თბილისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili  
Institute of Economics

# EKONOMISTI

International Scientific-Analytical Journal  
Published from January 2009

July  
September  
August

3

2015

**Editor-in-Chief Ramaz Abesadze**

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD:

ACADEMICIAN OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

**Vladimer Papava, Avtandil Silagadze**

CORRESPONDING MEMBER OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

**Leo Chikava,**

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

**Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Givi Bedianashvili, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharashvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze.**

DOCTORS OF ECONOMICS:

**Nanuli Arevadze, Tamila Arnanian-Kepuladze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Gulnaz Erkomaishvili, Badri Gechbaia, Shalva Gogiashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Anzor Kuratashvili, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Dali Sologhashvili.**

FOREIGN MEMBERS:

**Larisa Belinskaja (Lithuania), Eldar Ismailov (Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Lithuania), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Galina Savina (Ukraine), Dmitri Sorokin (Russia).**

**Tamar Dadiani (executive secretary)**

---

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

---

**Tbilisi**

ექლვნება  
აკადემიკოსების  
პაატა გუბუშვილისა  
და  
ვასილ ჩანტლაძის  
დაბადებიდან 110-ე  
წლისთავს





აკადემიკოსი  
პაატა გუგუშვილი  
(1905-1987)



## ქართული ეკონომიკური სკოლის ფუძემდებელი

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამსახურება ქართული ეკონომიკური სკოლის ინსტიტუციურ დაფუძნებაში, ეკონომისტების თაობათა აღზრდაში განუზომელია. მართალია ბ-ნი პაატა ისტორიულად არ ყოფილა პირველი ქართველი მეციერ-ეკონომისტი, თუმცა სწორედ მან, დიდი ივანე ჯავახიშვილის ერთგულმა მოწაფემ, ჩაუყარა საფუძველი ქართული ეკონომიკური სკოლის ინსტიტუციურ საფუძვლებს და, რაც მთავარია, საკუთარი ცხოვრების წესითა და სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობით აამაღლა ეკონომისტის პროფესიის ავტორიტეტი.

საბჭოთა საქართველოში შეუძლებელი იყო ყოფილიყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა ნებისმიერი დარგის მკვლევარი და არ ყოფილიყო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური მიმდევარი. ბ-ნი პაატა სამეცნიერო საქმიანობაში კვლევის ობიექტად ყოველთვის ყველაზე უფრო პატრიოტულ მიმართულებას ირჩევდა. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ისტორია. ეკონომიკური მეცნიერების ამ დარგს მან არაერთი მსხვილტანიანი ტომი მიუძღვნა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მისი დიდი ძალისხმევით შედეგად დაიწყო სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა კიდევ ერთი უაღესად პატრიოტული სამეცნიერო მიმართულებით. კერძოდ, აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში დემოგრაფიულ კვლევებს.

სამწუხარად, ბ-ნი პაატას თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში უხდებოდა ბრძოლა შურიანი კოლეგების წინააღმდეგ. მართალია, გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მისმა მტრებმა მიაღწიეს იმას, რომ ბ-ნი პაატა მოახსნევიანეს მის მიერ დაარსებული ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან, თუმცა ეს ნამდვილად არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც აკადემიკოს გუგუშვილის მარცხი – ის დირექტორის თანამდებობის გარეშეც დარჩა ძალიან დიდ პიროვნებად, ქართველი ეკონომისტების პატრიარქად.

მე ვამაყობ იმით, რომ ჩემი ინიციატივით 1992 წელს ბ-ნი პაატას მიერ დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტს დაერქვა მისი დამაარსებლის – პაატა გუგუშვილის სახელი. დღეს ეს ინსტიტუტი წარმატებით აგრძელებს ბ-ნი პაატას მიერ დამკვიდრებულ სამეცნიერო ტრადიციებს.

აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეციერი თანამშრომელი





აკდემიკოს  
პაატა  
გუბუშვილის  
ცხოვრება და  
მოდვაწეობა



დიდი ადამიანები მხოლოდ სიცოცხლეში გაკეთებული კარგი საქმეების გამო როდი არიან საზოგადოებისათვის სასარგებლონი. ისინი გარდაცვალების შემდეგაც თავიანთი ნამოღვაწართ სხვებს გზას უნათებენ და შთააგონებენ კეთილ საქმეთა კეთებას. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი - გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე<sup>1</sup>.

აკადემიკოსი პაატა ბესარიონის ძე გუგუშვილი დაიბადა 1905 წლის 28 სექტემბერს აბაშის რაიონის სოფელ კოდორში (ამჟამად კეთილარი).

მამა – ბესარიონ ნიკოლოზის ძე გუგუშვილი სოფლის მამასახლისი გახლდათ. მაშინ ეს თანამდებობა არჩევითი იყო და სოფლის მოსახლეობა წლების განმავლობაში სწორედ მას ენდობოდა.

დედა – მარიამ გიტოს ასული კიზირია დიასახლისი იყო. სწორედ მან შეასწავლა შვილებს სკოლაში შესვლამდე წერა-კითხვა. ასევე ხშირად უკითხავდა იგი მათ სხვადასხვა ნაწარმოებს, განსაკუთრებით, ლექსებს, რომელთა შორის, უმეტესობა ხალხური იყო. მას ქონდა საკმაოდ მოზრდილი ალბომი, სადაც ძლიერ სუფთა ხელით იყო ჩაწერილი ლექსები, რომელთაც ბავშვებს უმღეროდა კიდევაც. ბატონი პაატა 11 წლის იყო, დედა რომ გარდაეცვალა და ოჯახის მთელი სიმძიმე მამამ სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად იტვირთა.

კოდორის ერთკლასიანი და აბაშის ორკლასიანი სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ბატონი პაატა სწავლას აგრძელებს აბაშის ოთხკლასიან, ფოთის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებლებში და ფოთის გიმნაზიაში. შემდეგ საშუალო განათლების კურსს გადის ქუთაისში (აღსანიშნავია, რომ ერთ წელიწადში ორი კლასის საგნებს აბარებს) და შედის ტექნიკუმში, რომელსაც 1922 წელს ამთავრებს. 1923 წელს ბატონი პაატა ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე, მაგრამ, ეკონომიკური გაჭირვების გამო, სამსახურში დადიოდა, ამიტომაც იგი გადადის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელზეც ლექციები სადამოს საათებში იკითხებოდა. იგი ლექციებს ისმენდა აგრეთვე სამართლისა და საქართველოს ისტორიის დარგებში, მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის, ნუმისმატიკა-მეტროლოგიის სემინარებში, რომელთაც

<sup>1</sup> სტატიის მომზადებისას გამოყენებულია მასალები წიგნებიდან: პაატა გუგუშვილი 100 (რედაქტორი: ლეო ჩიქავა, შემდგენელი: იზოლდა აბაშიძე, თბილისი, 2005) და “აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დღიურები და მოგონებები” (თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2015)

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. 1922-1930 წლებში თბილისსა და მოსკოვში სხვადასხვა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ბატონი პაატა მუშაობდა მონტიორის, მონგარის, კორექტორის, ასოთამწეობის, სტატისტიკოსის, ბულაღტრის, საფინანსო განყოფილების გამგის თანამდებობებზე. ამ გზით მისი ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ გაუმჯობესდა, ისე რომ, ცოტაოდენ მამასაც ეხმარებოდა.

მეცნიერისათვის დამახასიათებელი ნიჭიერება, ნებისყოფა, პრობლემის საფუძვლიანი და ყოველმხრივი შესწავლის უნარი მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოავლინა. იგი 1927 წლიდან მოყოლებული, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სტატიებს, რეცენზიებს, კრიტიკულ შენიშვნებს, ნარკვევებს ეკონომიკური მეცნიერებისა და საქართველოს კულტურულ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საკითხზე. 1929 წელს შესრულებული მისი პირველი ნაშრომის – „ქართული წიგნი 1629-1929 წწ.“, რომელიც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას მიეძღვნა, წინასიტყვაობაში პროფ. ფილიპე გოგიჩაიშვილი წერს: „...ავტორს იმდენად დიდი ლიტერატურა, წყაროები და მასალა აქვს გამოყენებული ქართული წიგნის სამასწლიანი ისტორიის გადმოსაცემად, რომ მისი შრომა უეჭველია, ყურადღების ღირსია და თავისი შინაარსით სათანადო დარგის გამდიდრებას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში“.

ეკონომიკურ მეცნიერებას საქართველოში საუკუნეთა სიღრმეში აქვს ფესვები გადგმული. ქართულ ისტორიულ, ლიტერატურულ, ფილოსოფიურ თუ თეოლოგიურ წყაროებში მოცემულია საინტერესო მოსაზრებები ეკონომიკური მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს: “ვეფხისტყაოსანი”; ბექასა და აღბუღას “სამართლის წიგნი”; გიორგი ბრწყინვალეს “ხელმწიფის კარის გარიგება”; ვახუშტი ბაგრატიონის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”; ვახტანგ მეექვსის “სამართალი”; იოანე ბატონიშვილის “კალმასობა”; სულხან-საბა ორბელიანის შეხედულებები; ალექსანდრე ამილახვარის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვათა შეხედულებები. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ საქართველოში ეკონომიკურმა კვლევებმა მეცნიერული ხასიათი ივანე ჯავახიშვილისა და ფილიპე გოგიჩაიშვილის ნაშრომებში მიიღო. აკადემიკოს პაატა გუგუშვილს წილად ხვდა სწორედ მათი მოწაფე ყოფილიყო, მაგრამ არც იგი დარჩენია მის დიდ მასწავლებლებს ვალში. სწორედ აკადემიკოს პაატა გუგუშვილს მიუძღვის გადამწყვეტი წვლილი საქართველოში ეკონომიკური სამეცნიერო სკოლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

განსაკუთრებულია ასევე აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამსახურება საქართველოში პირველი ეკონომიკური სამეცნიერო კერის – ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებაში, რომლის უცვლელი დირექტორი იყო 32 წლის განმავლობაში. რასაკვირველია, ბატონი პაატა ისედაც არ დააკლებდა ძალისხმევას საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარების დიდ საქმეს, მაგრამ ინსტიტუტის დაარსებამ და მის ხელმძღვანელად, წლების განმავლობაში, უნარიანი, დიდი პოტენციალის მქონე პიროვნების ყოფნამ საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას დიდი იმპულსი მისცა და პროცესები მნიშვნელოვნად დააჩქარა.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მეცნიერული თვალსაწიერი მეტად ფართოა. მისი ნაშრომები ეძღვნება პოლიტიკური ეკონომიის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ჟურნალისტიკის, ეკონომიკური აზრის ისტორიის, ეკონომიკური ტერმინოლოგიის და სხვ. პრობლემებს. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული – “საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.”, რომელშიც, გარდა იმისა, რომ წარმოდგენილია უმდიდრესი მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ, ასევე გამოვლენილია ეკონომიკური ურთიერთობების არაერთი მანამდე მეცნიერებისათვის შეუმჩნეველი მხარე და მოცემულია მათი სიღრმისეული ანალიზი. მან სათანადო არგუმენტების მოტანის საფუძველზე საქართველოსა და, საერთოდ, ამიერკავკასიაში დასავლეთ ევროპის რენესანსისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური მოვლენების ანალოგიური პროცესები აღმოაჩინა. მიწათსარგებლობის საბჭოთამდელი პერიოდის ეკონომიკური პრობლემების კვლევისას ის მიდის დასკვნამდე, რომ შუა საუკუნეების საქართველოში, წყლით რაციონალური სარგებლობის საფუძველზე, სოფლები ამქრებს ქმნიდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, თავისებურ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა სოფლის თემიდან ქალაქურ ხელოსანთა ამქრული კორპორაციისაკენ. კვლევის ასეთი გზით მან ქართული სოფელი და მისი სამიწათმოქმედო კულტურა სამართლიანად დააყენა კაცობრიობის უძველესი ცივილიზებული ქვეყნების სოფლების გვერდით.

აღსანიშნავია, რომ ამ ნაშრომს ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში ჟურნალ „მაკრო მიკრო ეკონომიკის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, ავტორიტეტული ჟიურის გადაწყვეტილებით

„მეოცე საუკუნის საუკეთესო მონოგრაფიის“ სტატუსი და პირველი პრემია მიენიჭა.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი რომ ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, ამაზე მეტყველებს იმ ნაშრომთა არასრული ჩამონათვალი, რომელიც ეხება ისტორიის, ჟურნალისტიკის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. აი ისინიც: „ქართული წიგნი 1629-1929 წწ.“; „ქართული ჟურნალისტიკა“; „სოციოლოგიური ეტიუდები“; „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის (1800-1960) მანძილზე“; „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“, „მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა“; „დემოგრაფიის ნარკვევები“ და სხვ., რომელთაც, ისე, როგორც მისმა ყველა ნაშრომმა, სპეციალისტთა ფართო გამოხმაურება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

პ. გუგუშვილს გამოქვეყნებული დიდმნიშვნელოვანი ორიგინალური ნაშრომებისათვის პროფესორების ფილიპე გოგიჩაიშვილის, გრიგოლ ნათაძისა და მ. პოლიევქტოვის შუამდგომლობით, 1938 წელს საჯარო დაცვის გარეშე (Honoris Causa) ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1940 წელს პაატა გუგუშვილმა, სრულიად ახალგაზრდა მკვლევარმა, ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მის სადისერტაციო ნაშრომს – „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX ს.“ – მაღალი შეფასება მისცეს უადრესად პრინციპულმა და მომთხოვნმა მეცნიერებმა: ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და ფილიპე გოგიჩაიშვილმა, როგორც ოფიციალურმა რეცენზენტ-ოპონენტებმა. მათ მაძიებლის სადისერტაციო ნაშრომი შეაფასეს როგორც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების დიდი მიღწევა და ახალი მნიშვნელოვანი წვლილი საერთოდ მეცნიერებაში. აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა საჯარო პაექრობაზე განაცხადა: „დასახული ამოცანების გადასაწყვეტად ავტორს დაბეჭდილ წყაროებს გარდა დიდძალი ახალი და აქამდის უცნობი საარქივო მასალა მოუპოვებია... ამიტომაც მის მიერ მიღებული დასკვნებიც ფრიად მნიშვნელოვანი და მეცნიერულად დამაჯერებელია. წარმოდგენილი ნაშრომი საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიისათვის დიდი შენაძენია“. ეს ეკონომიკის სპეციალობით საქართველოში დაცული პირველი სადოქტორო დისერტაცია იყო.

მეორე მსოფლიო ომამდე არც ერთ ეკონომიკურ დისციპლინაში ქართულად არა თუ სახელმძღვანელო, საერთოდ, სტუდენტებისათვის საკითხავი ლიტერატურაც არ იყო. ამ მხრივ დიდია პ. გუგუშვილის დამსახურება. 1931 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ ქვეყნდება მის მიერ მომზადებული: „სახალხო მეურნეობის ის-

ტორია“ 10 ნაკვეთად; „ტექნიკის ისტორია“ 5 ნაკვეთად და 2 წიგნად; ნაშრომი „ეკონომიკური ფორმაციებისათვის“ და ქრესტომათია – „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება“ – 3 ტომად. გარდა ამისა, ეკონომიკურ დისციპლინებში მის მიერ ან მისი რედაქციით რუსულიდან ითარგმნა და გამოქვეყნდა კიდევ ოთხი დამხმარე სახელმძღვანელო.

1957 წელს გამოიცა მონოგრაფიების შემოკლებული რუსული თარგმანი – «Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX-XX вв.» ამ ნაშრომის ფართო რეზონანსსა და დიდ მეცნიერულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მასზე დადებითი რეცენზიები გამოქვეყნდა ქართულ, რუსულ, სომხურ, ჩეხურ, უნგრულ, გერმანულ, ინგლისურ და ამერიკულ პრესაში. აკადემიკოსი ნ. ღრუშინინი ამ ნაშრომის მაღალ მეცნიერულ შეფასებასთან ერთად სვამს საკითხს პაატა გუგუშვილის სხვა მონოგრაფიების რუსულ ენაზე გამოცემის თაობაზე.

მნიშვნელოვანი ძვრები, რაც 70-იანი წლების შემდეგ განხორციელდა საქართველოში დემოგრაფიის კვლევის დარგში, ბატონი პ. გუგუშვილის ერთ-ერთი დიდი დამსახურებაა. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა მან სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით ახსნა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომები – საქართველოს მოსახლეობა 160 წლის მანძილზე (1800-1959წწ.), საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები და სხვ. ამ თემას მიუძღვნა მან ორი ტომი “სოციოლოგიური ეტიუდების“ სახელწოდებით.

თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ბაქოს, ერევნის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, გომელის, ოდესის სახელმწიფო არქივებში მის მიერ გამოვლენილი იქნა ახალი მასალები, რაც გამოქვეყნდა თემატიკურად შექმნილი სქელტანიანი ტომების სახით. საარქივო წყაროების ამ კრებულს ერთვის ანალოგიური მასალების ვარიანტები, ვრცელი არქეოგეოგრაფიული მიმოხილვები, სადაც მოცემულია გამოქვეყნებული დოკუმენტების კრიტიკული შეფასება, ეპოქის დამახასიათებელი გამოკვლევები, აგრეთვე საგნობრივი, გეოგრაფიული და პერსონალური რეგისტრები.

ამიერკავკასიის სამოქალაქო და მეურნეობის ისტორიის წყაროების კრებულთა გამოცემა პირველად პ.გუგუშვილმა განახორციელა, რითაც მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართულ არქეოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას.

აკადემიკოსი პ. გუგუშვილის რედაქტორობით და თანაავტორობით 1946-1972 წლებში გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა



აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომების 15 ტომი და სამეცნიერო შრომების კრებულ „ეკონომიკის“ 7 ტომი.

აკადემიკოსი პ.გუგუშვილი სისტემატურად მონაწილეობდა ეკონომისტთა და სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესებში, აგრეთვე სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. მისი მოხსენებები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენებზე.

აკადემიკოს პ.გუგუშვილს დიდი დამსახურება აქვს ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. ნახევარ საუკუნეზე მეტი იმუშავა ამ მიმართულებით. მან ამ მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოს შესრულება შეძლო დიდი განსწავლულობის, ფართო ერუდიციის, მშობლიური ენის საფუძვლიანი ცოდნის, მრავალი უცხო ენის სტრუქტურაში ღრმად გარკვევისა და რაც მთავარია, ტერმინების შინაარსში წვდომისა და ქართული შესატყვისების ზუსტად ასახვის მისეული უნარით. ამ პრობლემებზე მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო მუშაობა, როდესაც ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკაში“ (1928, №6) გამოაქვეყნა სტატია აღრიცხვისა და კომერციული ტერმინოლოგიის შესახებ. ოცი წლის შემდეგ – 1947 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების გრიფით გამოცემული „ეკონომიკის ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) შედგენილია პ. გუგუშვილის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე.

მის მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას სხვადასხვა დროს რეცენზირებით, ბიბლიოგრაფიებით, ესეებით და სხვა ფორმებით დადებითად გამოეხმაურნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: კ. ოსტროვიტიანოვი (რუსეთი), ნ. დრუჟინინი (რუსეთი), ნ. ცაგოლოვი (რუსეთი), გ. ჰაინინგერი (გერმანია), ჯ. კოლაჯა (აშშ), პ. მასლოვი (რუსეთი), პ. პოდკოლზინი (რუსეთი), ბ. ურლანისი (რუსეთი), ტ. ფიოლდი (უნგრეთი), კ. სალია (საფრანგეთი), ზ. ურბანოვა (ჩეხეთი), ა. სუმბათზაძე (აზერბაიჯანი), ტ. აზატციანი (სომხეთი), ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. ნუცუბიძე, მ. პოლიევქტოვი, ვ. ჩანტლაძე, ა. გუნია, ლ. გორგილაძე, შ. მესხია, ა. სურგულაძე, ს. ჯორბენაძე, მ. კახეთელიძე, ნ. იაშვილი, ი. კაჭარავა, ივ. ბალანჩივაძე, ა. კაკაბაძე, ი. ბაჯაძე, ვ. ბახტაძე, ა. იოსელიანი, გ. ჭანუყვაძე, ბ. ხასია, დ. ქორიძე, გრ. თოდუა, რ. გოგოხია.

აკადემიკოს პაატა გუგუშვილს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა იმ დროის ისეთ ცნობილ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: პეტრე შარია, ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ვეგენი ხარაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, სერგი დანელია, ვიქტორ ჩხიკვაძე.

სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ფრანგიშვილი, კანდიდ ჩარკვიანი, ვიქტორ კუპრაძე, ნიკო კეცხოველი, ანდრია აფაქიძე, როინ მეტრეველი, რაფიელ დვალი, სერგი დურმიშიძე, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, ართაშეს არაქელიანი და სხვ.

კონსტანტინე გამსახურდია პაატა გუგუშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოყოფს მის მიერ კვლევის ობიექტის მიგნებისა და შერჩევის საოცარ უნარს. როგორც იგი აღნიშნავს, პაატა გუგუშვილს თავისი კვლევა-ძიების თემები ჩვენი ხალხის ნამდვილი ცხოვრების სიღრმისეული პროცესებიდან და საკუთარი ფართო ერუდიციის წიაღიდან აქვს აღებული.

ბატონი პაატა 1960 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – ნამდვილ წევრად. 1962 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ეკონომიკის ინსტიტუტში ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში ბატონი პაატას წესად ჰქონდა შემოდებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ექსპედიციების მოწყობა. მას მოვლილი ჰქონდა ქვეყნის ყოველი კუთხე-კუჩქული და უნიკალურ ინფორმაციას ფლობდა თითოეულის შესახებ. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მისი ხელმძღვანელობით მოპოვებული და გაანალიზებული ექსპედიციის (ფშავ-ხევისურეთის, მთა-თუშეთის, საინგილოს, სამცხე-ჯავახეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და სხვ.) მასალები.

პაატა გუგუშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1951 წლის ნოემბრის ცნობილ დისკუსიაში (ქ. მოსკოვი), რომელიც მოაწყო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს მაკეტის განხილვასთან დაკავშირებით. აქ მან თავის გამოსვლაში, როგორც სარედაქციო კომისიის წევრმა და სექციის ერთ-ერთმა თანათავმჯდომარემ, სახელმძღვანელოს ტექსტის სრულყოფისათვის გააკეთა რიგი შენიშვნები და წარადგინა კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები (ფორმულირებათა სახით), რაც სახელმძღვანელოს საბოლოო ტექსტში აისახა.

1976-დან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემათა განყოფილების გამგე და მისი ინიციატივით შეიქმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეზიდენტთან არსებული საქართველოს ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა.

პ. გუგუშვილი 30-იანი წლებიდან იყო ქართული ჟურნალის „ეკონომისტის“ რედკოლეგიის წევრი, ხოლო 1958 წლიდან 15

წლის განმავლობაში მისი ინიციატივით აღდგენილი ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი.

აკად. პ. გუგუშვილი მრავალმხრივ მეცნიერულ მოღვაწეობასთან შესანიშნავად ათავსებდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციების კურსს: 1930-1962 წლებში – სახალხო მეურნეობის ისტორიასა და ტექნიკის ისტორიაში, 1942-1966 წლებში – პოლიტიკურ ეკონომიაში. 1967 წლიდან მიჰყავდა ლექციების კურსი სოციოლოგიაში.

პ.გუგუშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ეკონომისტთა ეროვნული კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში, როგორც წლების განმავლობაში (1948-1974) ეკონომიკის ინსტიტუტთან შექმნილი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარესა და მეცნიერსა და პედაგოგს. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულ იქნა 120-ზე მეტი სადოქტორო თუ საკანდიდატო დისერტაცია.

ბატონი პაატა დიდ სზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. იგი იყო სსრკ საგეგმო კომიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების ბიუროს, საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის, უცხოეთთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამგეობის წევრი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექციის თავმჯდომარე, საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის (მოსკოვი), საბჭოთა სამეცნიერო ეკონომიკურ დაწესებულებათა ასოციაციის (მოსკოვი) პრეზიდიუმის, მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის და სხვა ადგილობრივი, საკავშირო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი.

დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „საპატო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონი პაატას ადამიანური თვისებები - ობიექტურობა და პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა და მიზანსწრაფულობა, კეთილშობილება და ერთგულება და სხვ. იგი იყო შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ასევე მისი შეუპოვრობა მოწინააღმდეგისადმი, იგი იყო თითქმის უკომპრომისო პოლემიკაში, რის საშუალებასაც მას აძლევდა სამართლიანობის გრძნობა, დიდი ერუდიცია და გონებამახვილური იუმორის უნარყ.

ბატონ პაატას რთული ცხოვრება ჰქონდა: იგი ბავშვობის ასაკიდან მოყოლებული მძიმედ იყო ავად მუცლის ტიფით, მალარიით, ციებით, ფილტვების ანთებით, პლევრიტით, ფილტვების

დაწრდილვით, დიზენტერიით, ციებით, სუსუნატი, ქრონიკული სურდოთი, ნევრალგიით, ქრონიკული რევმატიზმით, გულის გაგანინიერებით, მიოკარდიტით, ქრონიკული პოლიართრიტით. ახალგაზრდა ასაკში გარდაეცვალა დედა, და (ნაწლავების ტუპერკულოზით), მეორე და (ფილტვების ტუპერკულოზით), მამა (ფილტვების ანთებით), ვაჟი პირველ ცოლთან – გიორგი (სამი თვის, დეზინტერიით), პირველი ცოლი – თამარ თოდაძე (ფილტვების ტუპერკულოზით). ბატონი პაატას გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, გარდაიცვალა შვილი – გულბაათ გუგუშვილი, ხოლო 5 წლის შემდეგ მეუღლე – ნინო მიქაბერიძე.

დაუნდობლად ებრძოდნენ არაკეთილსინდისიერად განწყობილი ადამიანები, რომლებმაც არაერთი ტკივილი მიაყენეს მას. მაგრამ მან ყველაფერს გაუძლო, ყველა დაავადებისაგან განიკურნა, შთამამავლობას დაუტოვა მაღალი ღირებულების სამეცნიერო ნაწარმოებები, შექმნა ქართული ოჯახი შესანიშნავ ქალბატონთან, ნინო ნიქაბაძესთან ერთად, მათ სამშობლოს აღუზარდეს ორი მაღალი ინტელექტუალური ღირებულებების მატარებელი შვილი – ბესარიონ გუგუშვილი და გულბაათ გუგუშვილი. ყველასთვის ცნობილია, რომ ბატონი ბესარიონი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ბატონი პაატას სიცოცხლე მათ შვილიშვილებში და შვილთაშვილებში გრძელდება.

ბატონ პაატას, მიუხედავად მის წინააღმდეგ მდგომი ძლიერი ძალისა, არასოდეს მოუხდია ქედი, არასოდეს დაუწყია პირფერობა. მას ჰყავდა ერთგული მეგობრები, რომელთაც არასოდეს მიუტოვებია იგი, მათ შორის უნდა დასახელდეს აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლეო ჩიქავა, პროფესორები: ბექირბი ხასია, მიხეილ კახეთელიძე, რევაზ გოგოხია, ავთანდილ სულაბერიძე, ინსტიტუტის განყოფილების გამგე იზოლდა აბაშიძე და სხვ.

განსაკუთრებულია აკადემიკოსების პაატა გუგუშვილისა და ვასილ ჩანტლაძის მეგობრობა. მათ ერთმანეთი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის პირველ ლექციაზე გაიცნეს და მას შემდეგ 64 წლის განმავლობაში მხარში ედგნენ ერთმანეთს. მათი ურთიერთობა ადამიანთა შორის კეთილი და საქმიანი დამოკიდებულების ბრწყინვალე ნიმუშია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ასევე ბატონი პაატასა და ბატონი ლეო ჩიქავას ურთიერთდამოკიდებულება. ბატონი ლეო საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ ყოველთვის ბატონი პაატას მხარეზე იყო და მისი ერთგული დარჩა. მან პირნათლად შეასრულა ბატონი პაატასა თხოვნა, რომ მას დაემთავრებინა ტერ-

მინოლოგიური ლექსიკონი, რომლის დასრულებაც მან ბატონ ვასილ ჩანტლაძესთან ერთად ვერ მოასწრო. ბატონმა ლეომ დიდი შრომის ფასად თხოვნა ღირსეულად შეასრულა. ეს ლექსიკონი ამჟამად ყველა მეცნიერი ეკონომისტის სამაგიდო წიგნია.

მეც მინდა გამოვხატო დიდი მადლიერება ბატონი პაატას მიმართ. ახსენდება, თუ როგორი კეთილი, უანგარო და ობიექტური დამოკიდებულება გამოიჩინა ჩემ მიმართ, როდესაც უნივერსიტეტის ახალი კურსდამთავრებული ინსტიტუტში მიმიღო. ჩემს მეხსიერებაში ბატონი პაატა დარჩება სადა, ყოველგვარ თანამდებობრივ კედმაღლობას მოკლებული და, ამავე დროს, ინტელიგენტური, მაღალი ღირსებების მატარებელი დიდი მეცნიერი. დღესაც იგივე მოკრძალებითა და რიდით ვარ განმსჭვალული მისადმი, როგორც მაშინ, როდესაც პირველად მასთან კაბინეტში შევედი.

მადლიერი თაობა არ ივიწყებს ბატონი პაატას ღვაწლს. ამის დადასტურებაა ის, რომ აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას თაოსნობით, მის მიერ დაარსებულ ინსტიტუტს პაატა გუგუშვილის სახელი ეწოდა, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – "პაატა გუგუშვილის სახელობის აუდიტორია" გაიხსნა. მშობლიური კოლექტივიც არ ივიწყებს მის სახელს. ინსტიტუტში მოეწყო და გაიხსნა პაატა გუგუშვილის სახელობის კაბინეტი, ღირსეულად აღინიშნა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე და 110-ე წლისთავი. ორივე თარიღს მიეძღვნა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და საიუბილეო სხდომა, ჟურნალ "ეკონომისტის" სპეციალური ნომრები, მომზადდა და გამოიცა ბატონი პაატას "დღიურები და მოგონებები" და სხვა.

დღეს მისი სახელობის ინსტიტუტის თანამშრომლებს შეგვიძლია ბატონ პაატას ვუპატიაკოთ, რომ ეკონომიკის ინსტიტუტი, მიუხედავად ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობებისა, წარმატებით აგრძელებს საქმიანობას, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იქ, სადაც მან დაიწყო სამეცნიერო საქმიანობა და სადაც ამჟამად წარმატებული რექტორი, ჩვენი ინსტიტუტის აღზრდილი საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერ ეკონომისტია.

ჩვენ დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, მის პრეზიდენტს, ასევე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ბატონ როინ მეტრეველს, იმის გამო, რომ აკადემიკოსების - პაატა გუგუშვილისა და ვასილ ჩანტლაძის დაბადებიდან 110-ე წლისთავი საიუბილეო სხდომით აღინიშნება. მას ჩვენ აღვიქვამთ როგორც აკადემიკოს პაატა გუგუშვილისა და აკადე-

მიკოს ვასილ ჩანტლაძის ღვაწლის მაღალ შეფასებად, ასევე ეკონომიკური მეცნიერების შემდგომი განვითარების მხარდაჭერად.

ბატონი პაატა თავის დღიურებში წერს: “დიდ ადამიანს, დიდ მამულიშვილს შეუძლია მთელი თავისი სამშობლოს, მთელი ქვეყნის ჭირი და ღხინი, დამარცხება და გამარჯვება, დაცემა და ამაღლება, სიბნელე და სინათლე თავისსაკუთარ სულსა და გულში გაატაროს, მთელი არსებით აენტოს და დაიწვას იმისთვის, რომ თავისი მამულის სიდიადე და სიბრძნე გამოაჩინოს, რათა თანამედროვეობას და მომავალს გადასცეს ყოველივე სიკეთე და ბედნიერება, რაც მისი ქვეყნის ყველაზე მოწინავე ადამიანებს ოდესმე შეუქმნიათ საერთოდ ადამიანებისა და, კერძოდ, სამშობლოსათვის. დიდი ადამიანები მხოლოდ მოდიან და სამუდამოდ რჩებიან ადამიანთა შორის.”

ასეთ ადამიანებს მიეკუთვნება ბატონი პაატაც. ამიტომ მის სახელს დავიწყება არ უწერია, მისი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.

რამაზ აბესაძე

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის  
ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი

პაატა გუგუშვილი - სოციოლოგიური  
დემოგრაფიის ფუძემდებელი საქართველოში

მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან ყოფილ საბჭოთა კავშირში აკრძალვის მოხსნამ 30-იან წლებში გენეტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის ბურჟუაზიულ მეცნიერებად შერაცხულ დარგებზე, დღის წესრიგში დააყენა მეცნიერული კვლევების გაგრძელებისა და იმ ვაკუუმის შევსების აუცილებლობა, რომელიც ამ დარგებში შეიქმნა.

ბატონმა პაატა გუგუშვილმა თავის თავზე იტვირთა ამ ვაკუუმის შევსების ვალდებულება და სიმძიმე. მის მიერ გამოთქმული გულისტკივილი კი, რომ „საქართველოს მოსახლეობის საკითხები არსებითად დღემდე არ გამხდარა სპეციალური კვლევა-ძიების საგნად. დღემდე არ გვყავს არც ერთი მეცნიერი, რომლის სისტემატური კვლევა-ძიების საგანს შეადგენს ქართველოლოგიის ისეთი საკითხი, როგორცაა საქართველოს მოსახლეობის სტატისტიკა, საქართველოს დემოგრაფია...“<sup>2</sup> რეალობასთან ერთად ჭეშმარიტად დიდი მეცნიერისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობაა. რადგანაც მისთვის „ქართველური მოსახლეობის ბუნებრივი მატების საკითხი... დიდი ხნის დაკვირვების ობიექტისა და საკირკიტო საგანს“<sup>3</sup> წარმოადგენდა. მის მონოგრაფიებში „საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“ უხვად არის ცნობები საქართველოს მოსახლეობის და მისი დინამიკის განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ.<sup>4</sup> ეს არის მასალები არა მარტო ისტორიული დემოგრაფიის, არამედ ოჯახის სოციოლოგიის, სოციოლოგიური დემოგრაფიის მკვლევართათვის, როგორც წყარო და საფუძველი მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების მაკროანალიზისთვის.

ბატონ პაატას მიერ 1960-იან წლებიდან შექმნილმა ნაშრომებმა განაპირობეს საქართველოში დემოგრაფიის, როგორც ზოგადსაკაცობრიო მეცნიერების დაფუძნება და ქართული დემოგრაფიული ისტორიისთვის საფუძვლების შექმნა. იგი მიჩნეულია ქართული დემოგრაფიულ მოძღვრებათა კლასიკური ნაშრომების ავტორად.<sup>5</sup>

<sup>2</sup> პ. გუგუშვილი. სოციოლოგიური ეტიუდები. თბ. 1971 წ. გვ. 345-346

<sup>3</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. 1973 წ. გვ. 48

<sup>4</sup> პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. მონოგრაფიები. ტ. I. გვ. 258-351; 659-700

<sup>5</sup> ა. სულაბერიძე. პ. გუგუშვილი-დემოგრაფი(დემოლოგი). წიგნში „პაატა გუგუშვილი-დაბადებიდან 100 წლისთავი“. თბ. 2006 წ. გვ. 122

ასევე ოჯახის სოციოლოგიისა და სოციოლოგიური დემოგრაფიის ფუძემდებლად საქართველოში, რასაც ერთხმად აღიარებენ ქართველი სოციოლოგებიც და დემოგრაფებიც, მათ შორის ბ. ლუტიძე, ა. სულაბერიძე, ე. მენაბდიშვილი და სხვ.<sup>6</sup>

წინა წლებში ჩვენ განვიხილეთ ოჯახის სოციოლოგიის საკითხები პაატა გუგუშვილის ნაშრომებში.<sup>7</sup> ახლა ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ ამ დიდი მეცნიერის, როგორც საქართველოში სოციოლოგიური დემოგრაფიის ფუძემდებლის ღვაწლი.

სოციოლოგიური (სოციალური) დემოგრაფია ორი მეცნიერების დ დემოგრაფიისა და სოციოლოგიის მიჯნაზე წარმოქმნილი დარგია, რომლის შესწავლის მიზანს წარმოადგენს დემოგრაფიული და სოციალური პროცესების ურთიერთგავლენის, სოციალური ნორმების, დემოგრაფიული ქცევის სხვადასხვა სახეობების და მათი შესაბამისი განწყობებისა და ფაქტორების კვლევა. დემოგრაფიული პროცესების თავისებურებათა და მათი განმაპირობებელი მექანიზმების სრულყოფილი ახსნისას ის ეყრდნობა სოციალური დემოგრაფიის მეთოდებსა და თეორიულ ბაზას, სოციოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ მეთოდებს.<sup>8</sup>

ბატონი პაატა თავის ეკონომიკურ, სოციოლოგიურ, დემოგრაფიულ ნაშრომებში წარმატებით იყენებდა დისციპლინათაშორისი კვლევის მეთოდებს. საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს განიხილავდა სისტემური მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით. მუდმივად ცდილობდა გამოეგლინა მთელის (საზოგადოების) და მასთან დაკავშირებული მიკროორგანიზმების (ინსტიტუტების, მ.შ. ოჯახის) ურთიერთკავშირების და ურთიერთზემოქმედების მექანიზმები.

ამჟამად, არ შეგვხვებით რა პაატა გუგუშვილის 50-ზე მეტ ნაშრომს დემოგრაფიაში, შემოვიფარგლებით მხოლოდ მისი 1973 წელს გამოცემული მონოგრაფიის განხილვით „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“, რომელიც ეხმაურებოდა გაეროს მიერ 1974 წლის დემოგრაფიის მსოფლიო წლად გამოცხადებას. აღნიშნულ ნაშრომში ბ-ნმა პაატამ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები გააშუქა მრავალი მიმართულებით, მ.შ. სოციოლოგიური დემოგრაფიის კუთხითაც.

მონიგრაფიაში გაშუქებულ საკითხთა ჩამონათვალი, კერძოდ, მოსახლეობის, როგორც ძირითადი მწარმოებლური ძალის აღწარ-

<sup>6</sup> პ. გუგუშვილი, დაბადებიდან 100 წლისთავი, თბ. 2006 წ. გვ. 114, 120, 130.

<sup>7</sup> ა. სულაბერიძე, ც. გვრიტიშვილი, ვლ. სულაბერიძე, ოჯახის სოციოლოგიის საკითხები პაატა გუგუშვილის ნაშრომებში. ჟ. ეკონომისტი, თბ. 2010 წ. ზ3

<sup>8</sup> გ. წულაძე, დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2005 წ. გვ. 60-61



მოების პროცესი, შობადობისა და მოკვდაობის, ბუნებრივი მატების ტემპები, ეროვნული შემადგენლობა, ურბანიზაცია, საქორწინო ასაკი, ქორწინება და განქორწინება, ოჯახი და საზოგადოება, მოსახლეობის აღწარმოების პროგნოზი და შრომითი რესურსები, უფლებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდიდან იწყება დემოგრაფიული მეცნიერების აღორძინება და ევოლუცია საქართველოში.

მონოგრაფიის ერთ-ერთ ღირსებას წარმოადგენს, რომ მასში იქ სადაც შესაძლებელი იყო შედარებითი მეთოდის გამოყენებით გაანალიზებულია მსოფლიოში, ყოფილ საბჭოთა კავშირში, ამიერკავკასიასა და უშუალოდ საქართველოში არსებული დემოგრაფიული ვითარება, მოსახლეობის აღწარმოებისა და ოჯახის პრობლემები, ქორწინების, განქორწინების საკითხები და ოჯახის ფორმირების ახალი ტენდენციები.

ბატონი პაატასთვის მოსახლეობაში მიმდინარე დემოგრაფიული მოვლენები მხოლოდ სტატისტიკური დაკვირვებისა და მათემატიკური გათვლების საფუძველი არ იყო. ხაზს უსვამდა რა ოფიციალური სტატისტიკის შეზღუდული შესაძლებლობებს მოსახლეობის აღწარმოების მთელი არსის, საზოგადოებაში არსებული გარკვეული სოციალური ნორმების გამოვლენის თვალსაზრისით, აუცილებლად მიაჩნდა ანკეტური გამოკითხვის გზით საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ნაციონალური ოჯახის ერთობლიობის შვილიანობის გასათვალისწინებლად. 1969 წელს პაატა გუგუშვილი თვითონ ჩაუდგა სათავეში საქართველოში შობადობის სოციოლოგიური გამოკვლევის პირველ მცდელობას, რომელიც საკავშირო კვლევის ნაწილს წარმოადგენდა და რომელიც შემდგომში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ლოკალური გამოკვლევებით გაგრძელდა.<sup>9</sup> შემდგომში იგი არაერთხელ მიბრუნებია ასეთ გამოკითხვებს.

ოჯახში ბავშვთა რაოდენობის გარკვევას ისახავდა მიზნად თსუ-ს და პოლოტექნიკური ინსტიტუტის III და IV კურსის სტუდენტებში ჩატარებული ანკეტური გამოკითხვა, რომლის მასალებიც ასახულია ჩვენს მიერ განხილულ მონოგრაფიაში.

ეს გამოკითხვები იყო წინამძღვარი არა მარტო საქართველოში სოციოლოგიური დემოგრაფიის, არამედ ოჯახში შვილთა ყოლის მოთხოვნილებების შესწავლით მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევის კვლევების დაწყებისაც, რაც დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაზე დაყრდნობით განახორციელეს მისმა მოწაფეებმა გ. წულაძემ და სხვებმა.

<sup>9</sup> გ.წულაძე. შობადობის სოციოლოგიის საკითხები. თბ. 1984 წ. გვ.5

პ. გუგუშვილი სოციოლოგიური დემოგრაფიის ფუძემდებლად იმიტომაც არის მიჩნეული, რომ დემოგრაფიულ პროცესთა თავისებურებებისა და მათი განმაპირობებელი მექანიზმების ახსნისა იგი ეყრდნობოდა იმ დებულებას, „ ... რომ დემოგრაფიული პროცესები მრავალფაქტორიანი სოციალური ფენომენია“ და ფაქტების კონსტატაციის გვერდით აუცილებელია „საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების და პოლიტიკური მდგომარეობის სიღრმისეული პროცესების გათვალისწინება, ისტორიულ წიაღსვლანი, ზოგჯერ შორეული ფესვების ძიებაც, რამდენადაც აქ, ამა თუ იმ ზომით, მოქმედებენ არა თუ დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული და ახლა თითქმის მივიწყებული ზნეჩვეულებები, ყოფიერებითი მომენტები და სხვა. არამედ საერთოდ ნაციონალური, რელიგიური და თვით რასობრივი წარმომავლობის ფაქტორებიც“.<sup>10</sup>

დემოგრაფიულ პროცესთა თავისებურებებისა და მათი განმაპირობებელი მექანიზმების ახსნა პ. გუგუშვილის ყველა დემოგრაფიული ნაშრომის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“ საინტერესოა იმით, რომ მასში მოცემულია იმ პერიოდის (1973 წლამდე) დემოგრაფიული, სოციოლოგიურ-დემოგრაფიული პრობლემების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, კერძოდ:

საზოგადოებრივი განვითარების ყოველ ეტაპზე დემოგრაფიული პროცესების, კერძოდ ბუნებრივი მატების, მოსახლეობის აღწარმოების ტემპების, როგორც მრავალფაქტორიანი სოციალური ფენომენის კანონზომიერებათა გამოვლენისათვის, პაატა გუგუშვილს აუცილებლად მიაჩნდა იმის გათვალისწინება, რომ „ ... წინა პლანზე ადამიანის და თვით საზოგადოების, ნაციის პირველი ბუნებრივი მისწრაფება - იყოლიოს და დასტოვოს შთამომავლობა და ადამიანის მეორე ბუნებრივი მისწრაფება - მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები. ეს მოთხოვნილებები ერთობლივი მოქმედების ფაქტორებია, ხოლო მათი სრული დაკმაყოფილება ურთიერთშეპირობებულ პროცესს ქმნიან. ამ პროცესში ჩაერთვებიან კიდევ მორალური, ეთიკური, ფსიქოლოგიური, კულტურული, რელიგიური და სხვა ფაქტორები, რომლებიც, საბოლოოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური და სერთოდ მატერიალური პირობებით განისაზღვრება“.<sup>11</sup>

სწორედ ასეთი ვითარების გამო წინა პლანზე გამოდის სოციალური ფაქტორების გავლენა მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე.

<sup>10</sup> პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. 1973 წ. გვ. 7

<sup>11</sup> პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. 1973 წ. გვ. 11

ბ-ნი პაატა აღნიშნავდა, რომ „დემოგრაფიული ფაქტების, როგორც მთავარი ობიექტის შესწავლასთან ერთად აუცილებელია ყურადღების გამახვილება საკუთრად ადამიანის, პიროვნების, როგორც დემოგრაფიული ქცევის სუბიექტზე“, რადგანაც „რეალურ დემოგრაფიულ ფაქტებს (ქორწინებას, შობადობას, გაყრას) განსაზღვრავს დემოგრაფიული ქცევა, რაც შეპირობებულია როგორც ინდივიდუალური, ასევე საზოგადოებრივი ყოფიერებით, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მისი პიროვნების ჯგუფის სტატუსით, რომელიც ადამიანს უყალიბებს ოჯახის იდეალის, ქორწინების, შვილიანობისადმი დამოკიდებულებების ფასეულობათა სისტემას“.<sup>12</sup>

პაატა გუგუშვილმა მსოფლიოსა და საქართველოს დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილება იმ მოვლენების ანალიზით მოახდინა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან ახალი ინდუსტრიული რევოლუციით გამოწვეული მსოფლიო საზოგადოებრიობის მატერიალური და სულიერი წარმოების ყველა სფეროში სწრაფი აღმავლობის ფონზე.

როგორც ცნობილია იმ პერიოდში დაიწყო მოსახლეობის გადანაწილება წარმოებისა და მომსახურების ახალ დარგებში, ძველი ოჯახური, ნათესაობრივი კავშირების რღვევა, მწარმოებლური ოჯახის მომხმარებელურზე გადასვლის პროცესი. რასაც ეკონომიკური ზრდის კვალობაზე დაემატა მოკვდაობის დონის შემცირება და შედეგად არ დააყოვნა - საზოგადოებაში თავი იჩინა ახალი დემოგრაფიული განწყობების შესაბამისი ქცევების ჩამოყალიბებამ.

ინდუსტრიულ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებათა შორის პაატა გუგუშვილი განსაკუთრებულ ყურადსაღებ მოვლენად მიიჩნევდა სიახლეებს შრომის დანაწილების სისტემაში, რის შედეგადაც ნათესაური უჯრედებისა და ოჯახის მრავალი მნიშვნელოვანი ფუნქცია გადავიდა ოჯახს მიღმა სპეციალიზირებულ დაწესებულებათა კომპეტენციაში. ოჯახური კავშირების სიმყარე შეასუსტა საზოგადოებრივ წარმოებაში ქალების მასობრივმა ჩართვამ. ასეთ ვითარებაში მინიმუმზე მეტ შვილს შეუძლია ხელი შეუშალოს ქალებს პროფესიულ საქმიანობასა და კარიერულ წინსვლაში. ამასთან შვილები უმრავლეს შემთხვევაში არავითარ როლს არ თამაშობენ იმ საქმიანობაში (საწარმოებში), რომლებშიც დასაქმებული არიან მშობლები. ოჯახი მართალია შენარჩუნდება როგორც ეკონომიკური ერთეული, მაგრამ როგორც წარმოებრივი ერთეული კარგავს თავის ფუნქციებს. ეს პროცესი განსაკუთრებით თავს იჩენს ქალაქად. ამას ემატება აგრეთვე ნივთიერი კეთილდღეობის ამაღლება, განათლების

<sup>12</sup> პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. 1973 წ. გვ. 13

გართულება და გახანგრძლივებაც. იზრდება მოსახლეობის კულტურული დონე, ხდება ქორწინებათა გადავადება. მიმდინარეობს მშობელთა მორალური პასუხისმგებლობის ზრდა და ძლიერდება შვილთა რაოდენობის შიგაოჯახური დაგეგმვის შესაძლებლობა. განათლებულ წრეებში სულ უფრო იზრდება კონტრაცეპტივების გამოყენება.

განხილულ მონოგრაფიაში კიდევ ერთ ასპექტს ავლნიშნავთ. ფერტილობის (შვილიანობის) დონის დაქვეითების ახსნისას, ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი ურბანიზაციის გავლენას მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპებზე. ბატონი პაატა აღნიშნავდა, რომ „მართალია ურბანიზაცია ინდუსტრიული და საერთოდ ეკონომიკური ზრდის ყველაზე ეკონომიკური გზაა, მაგრამ განვლილი ცივილიზაციის ისტორია მეტყველებს, რომ მოსახლეობის ბუნებრივი გამრავლების ტემპებით ქალაქი შესამჩნევად ჩამორჩება სოფელს“.<sup>13</sup>

ქალაქის მოსახლეობაში ჩამოყალიბებული რეპროდუქციული განწყობები შემდგომში გადაეცემა სოფლის მოსახლეობასაც, რაც სოფლად შობადობის დონის კლებას გამოიწვევს. ცნობილია, რომ „ქალაქებში მიგრანტების (სოფლიდან) შობადობის დონე რამდენადმე მეტია, ვიდრე მკვიდრი ქალაქელებისა. ამასთან ეს განსხვავება უკვე შემდგომი თაობისათვის ქრება. ქალაქის მოსახლეობაში სოფლის მოსახლეობასთან შედარებით მეტია განქორწინების დონე და სხვ.“<sup>14</sup> ამრიგად ქალაქად დაწყებული ოჯახის ტრანსფორმაციის პროცესები სოფლად იჩენს თავს.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ აკრიტიკებდა რა 1920-იან წლებში იმდროინდელ საბჭოთა კავშირში სქესობრივი მორალისა და ოჯახის საკითხებზე დისკუსიებზე გამოთქმულ ძირითადად ვულგარულ-მატერიალისტურ შეხედულებებს, რომლებიც ოჯახის გაქრობასაც წინასწარმეტყველებდნენ, ბატონი პაატა აღნიშნავდა, რომ „... საერთოდ საზოგადოებრივი მატერიალური და სულიერი წარმოების მთელი პროგრესი, რაც თავის განვითარების ზოგიერთ საფეხურზე რევოლუციის ხასიათს ღებულობს და მაშასადამე საფუძვლიანად ცვლის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისა და კერძოდ თვით ოჯახის სტრუქტურას... შორეული მომავლის სოციალური ცხოვრების კონკრეტული სურათების ხატვა, მეტ-ნაკლები ზომით, თუ ყოველთვის უტოპიური არაა, შეიძლება ვივიარაუდოთ, რომ წყვილის კავშირი - ოჯახი, რომელიც ჩაისახა და ჩამოყალიბდა მცირე ავტარკიული ჯგუფის სახით, დაუსრულებელი ფორმაცვა-

<sup>13</sup> პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. 1973 წ. გვ.46

<sup>14</sup> გ. წულაძე. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ. 2005 წ. გვ. 259

ლებადობის გზით წავა, მაგრამ კაცობრიობის განვითარების ყველა საფეხურზე დარჩება, როგორც ადამიანთა მოღვმის მარადიული აღწარმოების სოციალური და ბიოლოგიური აუცილებლობა“.<sup>15</sup>

ავთანდილ სულაბერიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ციცინო გვრიტიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

ვლადიმერ სულაბერიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი

---

<sup>15</sup>პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ. 1973 წ. გვ.71

სიტყვა

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაკრძალვის დღეზე

ძალზე სამწუხაროა, როდესაც სიკვდილი ართმევს საზოგადოებას საქვეყნო საქმისათვის უანგაროდ თავდადებული ადამიანის სიცოცხლეს.

არმინდა დავიჯერო, რომ მართლა დაგეარგეთ ძალ-ღონერული, ვაჟკაცი-მეცნიერი, აკადემიკოსი პაატა ბესარიონის ძე გუგუშვილი.

ვერ დავიჯერებ, რომ პაატაგუგუშვილი საქმემ დაღალა, შრომას გაერიდა და ამიტომ გულს ხელი დაიკრიფა.

მას უყვარდა სიცოცხლე, უყვარდა შრომა და გარჯა, უყვარდა თეთრად გათენებული ღამეები; გულით სწყუროდა თავისი სიცოცხლე ზვარაკად მიეტანა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მეცნიერების სამსხვერპლოზე და მიიტანა კიდევაც.

ამიტომაც აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელს ამკობს არა ზართა და შეხმობით მოთქმა-გოდება, არამედ მისი სპეტაკი ცხოვრების, მისი უმწიკვლო მოღვაწეობის, მისი კაცობის დიდება.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანია აკადემიკოს გუგუშვილის მეცნიერული, სასწავლო და საზოგადო მოღვაწეობა. მისი მეცნიერული კვლევა ეხება ეკონომიკას, ისტორიას, სახალხო მეურნეობის ისტორიას, ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიას, XIX და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ეხება სოციოლოგიას, სტატისტიკას, კერძოდ დემოგრაფიას, ფინანსებსა და კრედიტს, ჟურნალისტიკას, ქართულ ეკონომიკურ ტერმინოლოგიას და საერთოდ, საქართველოს ეკონომიკის პრობლემებს. მას მოცემული აქვს ეკონომიკური წყაროების ფართო მეცნიერული პუბლიკაცია, გაწეული აქვს ნაყოფიერი მუშაობა მარქსიზმის კლასიკოსების ქართული თარგმანების რედაქტირებაში.

აკად. პაატა გუგუშვილი ფრიად ნაყოფიერი მეცნიერი მწერალია, მის კალამს ეკუთვნის ასეული შრომა, ათეული მონოგ-

რაფია, წიგნი და სახელმძღვანელოები. მასთან მისი მეცნიერული შემოქმედება საყურადღებოა არა მარტო რაოდენობის და მოცულობის მხრივ, არა მარტო ლიტერატურული გაფორმებისა და გამართულობის მხრივ, არამედ მისი შინაარსისა და თვისების მხრივ. მისი შრომების უდიდესი ნაწილი ეხება საკითხებს, რომლებიც ყამირის ვითარებაში თვლემდნენ და ეხება იმდენად სიღრმისეულად, ფუნდამენტურად, რომ ამ საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუვლის.

პაატა გუგუშვილი თავის გამოკვლევებში მუდამ ახლის ძიებაში იყო. ის ყოველთვის ახერხებდა საგანს შეხებოდა ფართოდ და ღრმად და არსებით მომენტებს იჭერდა იქ, სადაც ერთი შეხედვით თითქოს ეს მოსალოდნელი არ იყო; ახერხებდა დიდი ხნით ცნობილ უკვე გამოყენებულ წყაროებში ეპოვა ისეთი, რომელიც მანამდე შეუმჩნეველი იყო. ის წერდა და ლაპარაკობდა გამართულად, მის გადმოცემას ყოველთვის ახასიათებდა შესასწავლი საგანის ცხოველი ინტერესი.

პაატა გუგუშვილმა სასახელოდ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესებზე, რასაც ადასტურებს მრავალი დადებითი რეცენზია სხვადასხვა ენებზე დაწერილი მისი მოხსენებებისა და შრომების შესახებ. ამასვე მეტყველებენ ჩვენი გამოჩენილი პოეტებისა და მწერლების – გოგლა ლეონიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას მაღალი შეფასებანი.

პაატა გუგუშვილმა გაამართლა მისი მასწავლებლების ჭეშმარიტი კორიფეების ი. ჯავახიშვილის, შ. გოგიჩაიშვილის, ნ. ნიკოლაძის იმედები.

პაატა გუგუშვილმა თავისი სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მან ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში მრავალი ასეული მაღალკვალიფიციური პიროვნება მოუმზადა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სახალხო მეურნეობას, უმაღლეს სასწავლებლებს, მოუმზადა მრავალი მეცნიერების დოქტორი და კანდიდატი, პროფესორი.

სრულიად განსაკუთრებულია და დაუფასებელი აკად. გუგუშვილის ღვაწლი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტე-

მაში ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაცია-დაარსების საქმეში.

გამოსათქმელად მეტად ძნელსა და რთულ პირობებში, სამამულლო ომის დროს, როდესაც მტერმა თბილისში ყუმბარაც ჩამოაგდო, როდესაც მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში მყოფი ხალხი სოფლისაგან გარბოდა, ჩვენი ძვირფასი პაატა განცხადებებით ხელში წლების მანძილზე მთავრობის დაწესებულებებში დადიოდა და ასაბუთებდა ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციის მიზანშეწონილობას. მაშინ მას მხარის დამჭერი ეკონომისტები ორიოდე კაცი თუ ჰყავდა, უმრავლესობა გვერდზე იდგა, ზოგიერთს კიდევ სასაცილოდ არ ჰყოფნიდა იმ პირობებში ინსტიტუტის დაარსებაზე ლაპარაკი. მაგრამ პაატა გუგუშვილს ამან გული ვერ გაუტეხა. მას ამხნევებდა იდეურობა, მისი მიზნის პროგრესულობის დრმა რწმენა. მან ვაჟკაცურად იბრძოლა, ყველა დაბრკოლება გადალახა და ინსტიტუტე დაარსდა.

ინსტიტუტის დირექტორმა პაატა გუგუშვილმა და სწავლულმა მდივანმა აკაკი კაკაბაძემ ინსტიტუტის მუშაობის დაწყების პირველ დღეს ქაღალდები და მელანი სახლიდან მოიტანეს. ეს ინსტიტუტე მალე დიდ ორგანიზაციად დაერთ-ერთ წამყვან დაწესებულებად გადაიქცა აკადემიის სისტემაში. ამ ინსტიტუტმა მოუმზადა ქვეყანას ათეული დოქტორი და პროფესორი, ასეული კანდიდატი და დოცენტი, ათეული შრომათა ტომი, ასეული საჟურნალო სტატია. მან განაახლა ჟურნალი "საქართველოს ეკონომისტის" გამოცემა, ინსტიტუტმა დანერგა მრავალი წინადადება სახალხო მეურნეობაში.

ამ ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ინსტიტუტი, რომელსაც გადაეცა ეკონომიკის ინსტიტუტში კვალფიცირებული და გამოწვრთნილი კადრების ნახევარი.შემდეგ ინსტიტუტე კვლავ შეივსო და დაემატა სამართლის სექტორი.

პაატა გუგუშვილი ოცდაათ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს. დღემამეს იქ ათენებდა. ეს ინსტიტუტე ძალზედ უყვარდა, მისი წინსვლისათვის არაფერს იშურებდა, გუგუშვილი ამ ინსტიტუტს არასდროს გან-



შორებია და თავისი სიცოცხლეც ამ ინსტიტუტში დაამთავრა. ა/წ 26 თებერვალის ნაშუადღევსინფაქტით გულ გაგლეჯილი წამოიყვანეს ინსტიტუტიდან და ამის შემდეგ მას არც თავის სახლი უნახავს და აღარც თავისი ინსტიტუტი. მე და პაატამ სამოცდაოთხი წლის წინათ გავიცანით ერთმანეთ იუნივერსიტეტში. ერთად მოვისმინეთ ბატონი ივ. ჯავახიშვილის პირველი ლექცია და შინ ერთად წავედით. გზაში ერთმანეთს ვუხიარებდით შთაბეჭდილებებს, მაცნობდა საკუთარ გეგმებს, ძალზედ აღფრთოვანებული, ვარდის ფერებში, ახალგაზრდული გატაცებით ხატავდი ცხოვრების მომავალს. მაგრამ სინამდვილე სხვაა.

ძვირფასო პაატა, უღმობელმა ცხოვრების ჩარხის ტრიალმა ბევრი მწარე დღეები გაგანცდევინა, სწორად სავალი გზები ბილიკებად გადაგიქცია, ეკლებით შემოსა, მაგრამ შენ ვაჟკაცურად მაინც სწორად იარე, მაინც ბევრი გააკეთე და გეგმების დიდი ნაწილი განახორციელე. ამ ხნის მანძილზე ჩვენი მეგობრობა არ შეწყვეტილა, რამდენჯერ დამის ორ საათზე დაგირეკია ტელეფონით, ხვალ აპირებ თუ არა ამა და ამ ღონისძიებებზე დასწრებას და თუ გეტყვოდა ვერ ვახერხებ, შენ გითქვამს: მაშინ არც მე წავალ ან გირჩევია როგორმე მოახერხე და წავიდეთო.

დღეს შენ ჩვენი მეგობრული პირობა დაარღვიე. პირობის თანახმად XXI საუკუნის დასაწყისს უნდა შეგეჯამებია XX საუკუნის ვითარება საქართველოში, რატომ აჩქარდი პაატავ, იქამდე თორმეტნახევარი წელიწადი რჩება. შენ დაარღვიე მეორე მეგობრული პირობაც - ჩვენ ხომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი ყოველი ხუთი წლის თავზე სურათს ვიდებდით, უკანასკნელად ასეთი სურათი გადავიდეთ ხუთი წლის წინათ და ორასი კაციდან იქ მხოლოდ ხუთია გამოსახული. წელს ივნისში მორიგი ხუთწლედია. არ ვიცი იმ სურათში რამდენი იქნებოდა, მაგრამ ის ვიცი, რომ უშენოდ ის სურათიც აღარ მინდა და მე იქ აღარც წავალ გადასადებად, იმ დღეს აქ მოვალ და გაუწყებ ამ თარიღს.

მშვიდობით ჩემო დაუვიწყარო ძმაო პაატავ!

ვასილ ჩანტლაძე

პ ა ა ტ ა გ უ გ უ შ ვ ი ლ ი

აზიური წარმოების წესი

საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების შესახებ უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმოებულმა დისკუსიამ უკვე ერთგვარი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენშიაც. სჯობია გვიან, ვინემ არასოდეს. მით უმეტეს, რომ არც ისე გვიანაა. ეს საკითხები დღემდე წამოადგენენ დაუცხრომელი კამათის საგანს, რაც იმით აიხსნება, რომ თემა არა მარტო თეორიული და ისტორიული ინტერესის შემცველია, არამედ იმავე დროს მეტად აქტუალურ პრაქტიკულ-პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, –სხვათაგან წარმოუდგენელიც არის.

როგორც ეს ცნობილია, საკითხის პირველი კვანძები დაიხლართა აღმოსავლური ქვეყნების ისტორიული განვითარების პრობლემათა შესწავლის გარშემო, რაც გამოწვეული იყო საფუძველზე იმ რევოლუციონურ მოძრაობათა მიზეზების და პერსპექტივების მეცნიერულად გამოკვლევისა, რომელიც კარგახანია დაენტო და რომელმაც გრანდიოზული ხასიათი მიიღო საერთოდ აღმოსავლეთში და განსაკუთრებით კი ჩინეთში, ერთის მხრივ, ულტრა-იმპერიალისტურ მტაცებლური ზრახვების წარმომადგენელ ბურჟუაზიული ევროპის, ამერიკის და იაპონიის კაპიტალისა და, მეორეს მხრივ, ჩინეთის მრავალმილიონიანი მშრომელი მასების ეკონომიკური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებისაკენ ლტოლვის ურთიერთთან გადამწყვეტი შეჯახების ნიადაგზე, რომელიც მას შემდეგ მეტნაკლების სიმწვავეით და ინტენსივობით დღემდეც გრძელდება და გაგრძელდება სანამ ჩინეთის პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელობით ამოძრავებელი რევოლუციონური გლეხობა საბოლოოდ არ გადაიგდებს თავიდან მონობის იმ უღელს, რომელიც მას იმპერიალისტურ-ბურჟუაზიული დაფედალურ-საშუალო საუკუნეებრივი ექსპლოატაციის ათასგვარი პირდაპირი თუ არაპირდაპირი, აშკარა თუ ფარული ფორმების სახით რომ აწევს.

დღეს ჩინეთის რევოლუციონური პროლეტარიატი, რომელსაც სათავეში უდგას ჩინეთის კომუნისტური პარტია, უკვე დარწმუნებულია, რომ ის საბოლოო გამარჯვებას ვერ მიაღწევს იმ რეაქციონურ ხალხოსნური თეორიის საფუძველზე, რომელიც „ჩინეთის

რეგულაციის მამად“ წოდებულ რეგულაციონურ დემოკრატ ს უ ნ - ი ა ტ - ს ე ნ მ ა თავის დროზე დასახა მისი პარტიის მთავარ პრობლემად: ნაციონალიზმი, დემოკრატია, სოციალიზმი და ხუთსაფეხურიანი კონსტიტუცია.) ს უ ნ - ი ა ტ - ს ე ნ ს ეყოფა დამსახურებად, რომ თითქმის ნახევარმილიარდიანი ჩინელი ხალხის მასსა გაანთავისუფლა 2000 წლის წინად ფ უ - გ უ ე ხ ი ს მიერ განმტკიცებული „სიბრძნის“ მონობიდან, რომ: მოქმედება – ძნელია, ხოლო ცოდნა კი – ადვილი. ს უ ნ მ ა თავისი მოღვაწეობით, რომელიც გაუღენთილი იყო გმირული, გულწრფელი და რეგულაციონური დემოკრატიზმით, გააცამტვერა ეს დროგასული და სქოლასტიკური თქმულება, რომელსაც ასე დიდხანს შეეხოჭა ჩინეთი, – მისი „გეგმა ჩინეთის გადახალისებისა“ 2). დღეს ჩინეთის პროლეტარიატი აშკარად ხედავს, რომ გზა სოციალიზმისაკენ შეიძლება გაკაფულ იქნას მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მხოლოდ და მხოლოდ იმ მეთოდებისა და პრინციპების საფუძველზე, რომელიც შეიმუშავეს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინმა.

როგორც უკვე ვსთქვით, ამგვარ პრაქტიკულ-პოლიტიკურ ნიადაგზე ფორმაციების შესახებ წარმოშობილმა დისკუსიამ იმთავითვე გაცხოველებული ხასიათი მიიღო და თავისთავად ცხადია, რომ თანმიმდევარი პროგრესიული ფორმაციებს შორის ყველაზე აქტუალური შეიქნა საკითხი „აზიური წარმოების წესის“ შესახებ.

დისკუსიის პირველ წლებში ჩამოყალიბდა ორი მთავარი შეხედულება. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ „აზიური ფორმაცია“ ეს სხვა არაფერია, როგორც პირველყოფილი ფორმაციაო და მადუნად მას აიგივებდნენ უკლასო საზოგადოებასთან. მეორე შეხედულება, რომელმაც თავისიგამოხატულება ჰპოვა კონტრ-რეგულაციონურ ტროცკიზმში და, აგრეთვე, ამხ. ლ. მ ა დ ა რ ი ს ა და კიდევ ზოგიერთ სხვა საბჭოთა ისტორიკოსების შრომებში, ამტკიცებდა, რომ „წარმოების აზიური წესი“ არის სავსებით დამოუკიდებელი, თავისებური და სხვებისაგან განხვავებული ფორმაციაო.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით გარკვევას საკითხისა, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული მარქსიზმ-ლენინიზმის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებზე მოძღვრებაში, ე. წ. „აზიური წარმოების წესი“ ანუ „აზიური ფორმაცია“.

სანამ უშუალოდ საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროა წინასწარ რამოდენიმე სიტყვა ითქვას ფორმაციებზე მარქსიზმის მოძღვრების განვითარების შესახებ.

დაწყებული 1843-1844 წლებიდან ვიდრე 1858-1859 წლამდე კ. მ ა რ ქ ს ი არსად არ იხსენებს „წარმოების აზიურ წესს“. ამ ხანებში მ ა რ ქ ს ი ს მიერ დაწერილ თხზულებებში – „გერმანული იდეოლოგია“, „წერილი ანენკოვს“, „ფილოსოფიის სილატაკე“, „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“, „მანიფესტი“ და მრავალ სხვაში – ჩვენ საქმე გვაქვს უმთავრესად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „გერმანულ იდეოლოგიაში“ მოხსენებულ „საკუთრების პირვანდელ ფორმას“, რომელსაც მ ა რ ქ ს ი და ენგელსი უწოდებდნენ „საგვარეულო საკუთრებას, <sup>3)</sup> სამ ფორმაციასთან. ესენია: ანტიკური, ფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობანი.

ამ პერიოდის ნაწერთა შორის კ. მ ა რ ქ ს ს ეს შეხედულება განსაკუთრებით პოპულარულად აქვს გამოთქმული „დაქირავებულ შრომასა და კაპიტალში“: „საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებშიაც ადამიანები წარმოებას ეწევიან, საზოგადოებრივი საწარმოო ურთიერთობანი იცვლებიან, გარდაიქმნებიან ნივთიერ საწარმოო საშუალებათა საწარმოო ძალთა ცვლილებასა და განვითარებასთან. საწარმოო ურთიერთობანი ერთობლივად შეადგენენ იმას, რასაც საზოგადოებრივ ურთიერთობათ, საზოგადოებას უწოდებენ; მხოლოდ განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ საფეხურზე მყოფ საზოგადოებას, თავისებური, განსხვავებული ხასიათის მქონე საზოგადოებას. ასეთ საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობას წარმოადგენს ა ნ ტ ი უ რ ი საზოგადოება, ფ ე ო დ ა ლ უ რ ი საზოგადოება, ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი საზოგადოება, და თითოეული ეს საზოგადოება წარმოადგენს ამასთანავე განვითარების განსაკუთრებულ საფეხურს კაცობრიობის ისტორიაში“.

ზემოთ მე აღვნიშნე, რომ 1859 წლამდე მ ა რ ქ ს ი არ იხსენიებდა „აზიური წარმოების წესს“. ახლა კი აქ უნდა დავსძინოთ, რომ უფრო ადრე, სახელდობრ, 1853 წლის 1 ივნისს ე ნ გ ე ლ ს ი ს ა დ მ ი გაგზავნილი მისი კერძო წერილიდან სჩანს, რომ მ

ა რ ქ ს ი მისთვის ჩვეული ენერჯით სწავლობს აღმოსავლეთის ხალხთა, განსაკუთრებით, ინდოეთისა და ჩინეთის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიას. ხსენებულ წერილში მ ა რ ქ ს ი სწერს:

„აღმოსავლეთის ქალაქთა აღორძინების შესახებ ყველაზე ბრწყინვალე შესანიშნავ და აშკარად დასანახ დახასიათებას იძლევა მოხუცი ფ რ ა ნ ს უ ა ბ ე რ ნ ი ე, რომელიც ცხრა წელიწადი იყო ექიმად აურენგზებესთან. (ფ რ ა ნ ს უ ა ბ ე რ ნ ი ე – „მოგზაურობა, რომელიც შეიცავს აღწერას სახელმწიფოსი დიდი მოგოლისა და სხვ.“). იგი ძალიან კარგად აგვიწერს, თუ როგორ ეწყობოდა ამ უზარმაზარი ჯარების მომარაგება და საერთოდ რა მდგომარეობაში იყო სამხედრო საქმე, ის სხვათა შორის ამბობს: „ლაშქრის გულს შეადგენს ცხენოსნობა, ქვეითი ჯარი ისე მრავალრიცხოვანი არაა, როგორც ამბობენ, თუ ნამდვილ მოლაშქრეთ არ შეურევთ მოსამსახურეებსა და ვაჭრებს, რომლებიც თან დაყვებიან ხოლმე ჯარს, ყველას თუ ჩავთვლით, მაშინ საერთო ჯამში, რომელიც მთავართან ერთად იძვრის ხოლმე, შეიძლება იქნეს 200.000-დან 300.000 კაცამდე; ხანდისხან მეტიც იქნება, ეს იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილია, რომ მთავარი დიდი ხნით სტოვებს დედა ქალაქს. ეს შეუძლებლად არ მოეჩვენება იმას, ვინც იცის ეს უანგარიშო, უღვევი კარავი, სამზარეულო, ჯოგი, სხვადასხვა ქონება, ხშირად ქალებიც, მაშასადამე, სპილოები, აქლემები, ხარები, ცხენები, მუშები, მოიჯადრაგენი და მოსამსახურენი, მოვაჭრენი, რომელნიც თან მისდევენ უკან ჯარს: ეს არ გაუკვირდება იმას, ვინც იცნობს ქვეყნის თავისებურ წყობილებას და მის მთავრობას, ვინც იცის, რომ მთავარი ერთად-ერთი მესაკუთრეა სახელმწიფოს მთელი ბერნიექალაქი, მაგ. დელი ანუ აგარა განსაკუთრებით ჯარით ცხოვრობს და იძულებულია გაყვეს მთავარს, როცა იგი მოგზაურობს ხოლმე თავის ქვეყანაში“.

და შემდეგ მ ა რ ქ ს ი ამ წერილის დასასრულს დასძენს: „ყველა საადგილმამულო ურთიერთობის საფუძველს აღმოსავლეთში ის (ბერნიე, ჰგულისხმობს ოსმალეთს, სპარსეთს, ინდოეთს) სრულიად სამართლიანად ხედავს იმაში, რომ იქ არ არის მიწაზე კერძო საკუთრება. აი ნამდვილი გასაღები აღმოსავლეთის ცისათვის“ (კურსივი ჩვენია – პ. გ.).

ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი კი თავის საპასუხო წერილში, 6 ივნისს იმავე 1835 წ. სწერს:

„მიწაზე კერძო საკუთრების არ არსებობა მართლაც გასაღებია მთელი აღმოსავლეთისათვის. ამაში მდგომარეობს მთელი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ისტორია. მაგრამ რითი ავხსნათ, რომ აღმოსავლეთის ხალხნი ვერ მივიდნენ კერძო საკუთრებადის, ვერ მიაღწიეს ფეოდალურ საკუთრებამდეც-კი?“ და თვითონვე იძლევა პასუხს: „მე მგონია უმთავრესი მიზეზია ჰავა და ნიადაგის თვისება, განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში უდაბნოთა დიდ ზოლს, რომელიც გრძელდება სახარიდან მოყოლებული არაბეთით, სპარსეთით, ინდოეთით და სათათრეთით აზიის უდიდეს მთა-ზეგანამდე. აქ მიწათმოქმედების მთავარი პირობაა ხელოვნური მორწყვა. ეს კი ან თემის საქმეა, ან საოლქო მმართველობისა, ან კიდევ ცენტრალური მთავრობისა... თავისუფალმა მეტოქეობამ იქ სრულიად შეირცხვინა თავი. მიწა იქ ხელოვნურად ნოყიერდება. ამიტომ იმ შემთხვევაში, თუ წყალსადენი ფუჭდება, მიწათმოქმედებაც იღუპება, ამით აიხსნება ის საყურადღებო ფაქტი, რომ მთელი ოლქები, წინად შესანიშნავად დაშუშავებულნი, დღეს გავერანებული და გაპარტახებულია (მაგ., პალმირა, პეტრა, ჰიმენის ნანგრევნი, ეგვიპტის ადგილები, სპარსეთი და ინდოეთი). ამით აიხსნება ის მოვლენაც, რომ საკმაოა ერთი განმანადგურებელი ომი, რათა მთელი ქვეყანა დაცალიერდეს და საუკუნეებით გაველურდეს. ჩემის აზრით, ამავე მოვლენათა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე სამხრეთ არაბეთის ვაჭრობის მოსპობაც მაჰმადამდე, რასაც შენ სრულიად სამართლიანად სთვლი მაჰმადიანური რევოლუციის უმთავრეს მომენტად“.

ამგვარად, როგორც სჩანს, მ ა რ ქ ს ი ს ა და ე ნ გ ე ლ ს ი ს მიერ ერთმანეთისათვის მიწერილი კ ე რ ძ ო ხასიათის წერილები ნათელყოფენ იმ მუშაობას, რომელიც მათ ამ მხრივ უწარმოებიათ, და აგრეთვე მათი, ამ საკითხზე, შეხედულების ჩამოყალიბების გზებსაც. უმთავრესი რამ, თითქმის უკვე თქმულია ამ წერილებში. ხოლო აქედან დაწყებული, რამოდენიმე წლის შემდეგ კ. მ ა რ ქ ს ი უკვე საჯაროთ აქვეყნებს თავის შეხედულებებს აღმოსავლეთზე. აზიური ქვეყნების განვიტარების თავისებურებაზე, გარდა ჩვენ მიერ მოყვანილი ადგილებისა, მარქ-ენგელსის ნაწერებიდან კიდევ მრავალი ადგილების აღნიშვნა და დასახე-

ლება შეიძლება ამ საკითხზე, სადაც ისინი აღიარებენ, ხაზს უსვამენ და აღნიშნავენ აზიის ქვეყნების თავისებურებათ<sup>4</sup>).

როგორც ცნობილია, კ. მ ა რ ქ ს მ ა პირველად ეს საკითხი ნათლად და ყველასთვის გასაგებად წამოაყენა უკვე მხოლოდ 1859 წელს, თავის თხზულებაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, რომლის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: ფართო მოხაზულობით შესაძლებელია აზიურ, ანტიკურ, ფეოდალურ და თანამედროვე ბურჟუაზიულ წარმოების წესს ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესიული ეპოქები ეწოდოს“.

შემდეგ უკვე იგივე აზრები განვითარებულია „კაპიტალის“ ყველა ტომებში: „ყოველი წინაკაპიტალისტური წარმოების დროს მევახშე თამაშობს რევოლუციონურ როლს, მხოლოდ იმდენად რამდენადაც ის ანგრევს და ანადგურებს ფორმებს საკუთრებისა, რომელთა მყარ ბაზისზე და ერთსა და იმავე ფორმაში შეუწყვეტელ ხელახლა წარმოებაზე დამყარებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება. აზიური ფორმების დროს მევახშეობას შეუძლია იარსებოს ძლიერ დიდხანს, არ გამოიწვევს რა სხვა რაიმეს, გარდა ეკონომიური დაცემისა და პოლიტიკური კორუპციისა“<sup>5</sup>).

„მონათმფლობელურ ურთიერთობაში, ბატონყმურ ურთიერთობაში, მოხარკეობის ურთიერთობაში (ე. ი. აზიურ ურთიერთობაში – პ. გ.) ( რამდენადაც პრიმიტიულ თემებს მივიღებთ მხედველობაში) პროდუქტის მიმთვისებელი და, მაშასადამე, გამყიდველი არის მონათმფლობელი, ფეოდალური მებატონე, ხარკის მიმღები სახელმწიფო“; შემდეგ: „აღნიშნულ წარმოების წესთა არსებობის დროს ზედმეტი პროდუქტის მთავარი მფლობელი, რომლებთანაც ვაჭარს საქმე აქვს, – მონათმფლობელი, ფეოდალური მებატონე, სახელმწიფო (მაგალ., აღმოსავლეთის დესპოტი), – მომხმარებელ სიმდიდრეს წარმოადგენენ“<sup>6</sup>).

ინდოეთის და საერთოდ აზიური ხალხების ისტორიული განვითარების თავისებურებათა პირობებისა და მიზეზების დახასიათებათაგან, რომელსაც იძლევიან მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი შეიძლება კიდევ მოყვანილ იქნას შემდეგი ადგილები:

„წყლის მიწოდების მოწესრიგება ერთ-ერთი ნივთიერი საფუძველი იყო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების, რომელიც ვრცელდებოდა ინდოეთის წვრილ და ურთიერთშორის კავშირს მოკლებულ საწარმოო ორგანიზმებზე. ინდოეთის მაჰმადიან მბრძანებ-

ლებს ეს უფრო კარგად ესმოდათ, ვიდრე მათ „ინგლისელ მემკვიდრეებს“, ხოლო ამავე გვერდზე „კაპიტალისა“ მ ა რ ქ ს ი აკეთებს შენიშვნას, რომელსაც შემდეგ უკუღმართული დასკვნების გამოყვანის დროს არაერთხელ უბრუნდება პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ცე: „იმ აუცილებლობამ რომ უნდა გამოეანგარიშნათ ნილოსის წყალდიდობის პერიოდები, შეჰქმნა ეგვიპტური ასტრონომია და მასთანავე მოგვცა ქურუმთა კასტის, როგორც მიწათმოქმედების ხელმძღვანელის ბატონობა 7).

ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი „ანტიდიურინგში“ სწერდა: „მთელ აღმოსავლეთში, სადაც მიწის მესაკუთრე ან თემია ან სახელმწიფო, ენას აკლია თვით სიტყვა მემამულე, ამის შესახებ ბატონ დ ი უ რ ი ნ გ ს შეუძლია ცნობა მიიღოს ინგლისელი იურისტებისაგან, რომელნიც ინდოეთში... ამოდ იტყვიან თავს კითხვის გამოსარკვევად – ვინ არის მამულის მესაკუთრეო... აღმოსავლეთში პირველად თურქებმა შემოიღეს მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში ერთგვარი მიწათმფლობელური ფეოდალიზმი“ 8).

ვფიქრობ მეტი ამონაწერების მოყვანა საჭირო არ არის, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს ის გარკვეული შეხედულება, რომელიც ამ მხრივ მ ა რ ქ ს მ ა და ენგელსმა გამოიმუშავეს – მაშინდელი ისტორიოგრაფიაში აღმოსავლეთის მცოდნეობის საფუძველზე.

ხედმეტი არ იქნება აქვე აღინიშნოს, რომ გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ მ ა დოგმატიურად გამოიყენა შეხედულება „წარმოების აზიურ წესზე“, რამაც მას თავის განთქმულ შრომაში – „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“ – „საშუალება მისცა“, ე. წ. გეოგრაფიული მატერიალიზმის საფუძვლებზე შემდგარიყო და რ ა ტ ც ე ლ ი ს თეორია გაემართლებია. პლექსანოვს მოყავს რა ციტატი „პოლიტ. ეკონომ. კრიტიკის“ წინასიტყვაობიდან, სწერს:

„აქ ჩვენს წინაშეა ნამდვილი, – და ამავე დროს წ მ ი ნ დ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი, – „აღგებრა“ საზოგადოებრივი განვითარებისა. ამ აღგებრაში არის ადგილი, როგორც „ნახტომებისათვის“, – სოციალურ რევოლუციათა ეპოქებისათვის, – ასევე თანდათან ცვლილებათათვის. ნივთთა მოცემული წესის თვისებებში თანდათან რაოდენობითი ცვლილებებს მიყვავართ, და-



სასრულ თვისობრივ ცვლილებებისაკენ, ე. ი. წარმოების ძველი წესის, – ანდა როგორც აქ მ ა რ ქ ს ი გამოსთქვამს – ძველი საზოგადოებრივი ფორმაციის დაცემისაკენ და მისი ახალით შეცვლისაკენ. თანახმად მ ა რ ქ ს ი ს შენიშვნისა აღმოსავლეთის, ანტიკური, ფეოდალური და ჩვენი თანამედროვე ბურჟუაზიული წესები წარმოებისა, შეიძლება განხილულ იქნან, ფართო მოხაზულობით, როგორც თანმიმდევარი („პროგრესიული“) ეპოქები საზოგადოების ეკონომიური განვითარებისა; მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც მ ა რ ქ ს ი შემდეგში გაეცნო მ ო რ გ ა ნ ი ს წიგნს პირველყოფილ საზოგადოებაზე, მაშინ მან, ალბათ, შეიცვალა თავისი შეხედულება ანტიკური წარმოების წესის აღმოსავლეთური წარმოების წესისადმი მიმართებაში; და ნამდვილადაც, ფეოდალური წარმოების წესის ეკონომიური განვითარების ლოგიკამ მიგვიყვანა სოციალურ რევოლუციამდე, რომელიც დაგვირგვინდა კაპიტალიზმის ზემოთ, მაგრამ ჩინეთის ანუ ძველი ეგვიპტის ეკონომიური განვითარების ლოგიკას სავსებითაც არ მივყევართ ანტიკური წარმოების წესის წარმოშობისაკენ. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია განვითარების ორ ფაზაზე, რომელშიაც ერთი მოსდევს მეორეს და იქმნება მისგან, მეორე შემთხვევაში კი ჩვენ გვაქვს ორი პარალელურად არსებული ტიპები ეკონომიური განვითარებისა.

ანტიკურ საზოგადოებამ შესცვალა საზოგადოების საგვარეულო ორგანიზაცია და იგივე ორგანიზაცია იყო წინამსროლი აღმოსავლეთური საზოგადოებრივი წყობის წარმოშობისა. ეკონომიური წყობის თითოეული ამ ორი ტიპთაგანი შედეგი იყო საწარმოო ძალთა იმ განვითარებისა, რომელიც წარმოებდა საგვარეულო ორგანიზაციის წიაღში და რომელსაც, ბოლოს და ბოლოს აუცილებლობით უნდა გამოეწვია მისი გახრწნა, და თუ ეს ორი ტიპი მეტად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მათი მთავარი განმასხვავებელი ნიშნები ჩამოყალიბდნენ გეოგრაფიული გარემოს გავლენის ქვეშ, რომელიც საწარმოო ძალთა ზრდის გარკვეულ საფეხურამდე მიღწეულ საზოგადოებას ერთ შემთხვევაში წინდაწინ კარნახობს საწარმოო ურთიერთობათა ერთ ერთობლივობას, ხოლო მეორეში – მეორეს, რომელიც მეტად განსხვავდება პირველისაგან“.

როგორც ვხედავთ პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ს „წარმოების აზიური წესი“, „აღმოსავლეთური საზოგადოებრივი წყობა“ ანუ „აზიური ფორმაცია“ მიაჩნია განსაკუთრებულ საწარმოო ურთიერთობათ, რომელიც როგორც ანტიკური ფორმაცია წარმოიშვა საგვარეულო საზოგადოების წიაღიდან, ე. ი. პირველყოფილი ფორმაციის განვითარების შედეგად და ამასთანავე პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს შეხედულებით საწარმოო ურთიერთობის ეს ორი ტიპი, ე. ი. ანტიკური და აზიური ფორმაციები თუ დიდათ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ეს არის მიზეზი იმ გეოგრაფიულ გარემოს გავლენისა, რომელშიაც ვითარდებოდა თითოეული მათგანი, რადგან პირველ შემთხვევაში გეოგრაფიული გარემო „წინდაწინ კარნახობს საწარმოო ურთიერთობათა ერთ ერთობლივობას, ხოლო მეორეში – მეორეს, (ე. ი. ანტიკურს) რომელიც მეტად განსხვავდება პირველისაგან“ (ე. ი. აზიური ურთიერთობისაგან<sup>9</sup>).

ამგვარად, საწარმოო ურთიერთობის ჩამოყალიბებაში პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი პრიმატს გეოგრაფიულ ფაქტორებს ანიჭებს. ცნობის მოყვარეობის აღმძვრელია, რომ ჰ ე გ ე ლ ი ს „ლექციებს ისტორიის ფილოსოფიაზე“, როდესაც უკანასკნელი სპეციალურად ჩერდება „მსოფლიოისტორიის გეოგრაფიულ საფუძველზე“ („Geographische Grundlage der Weltgeschichte“), ე. ლ ე ნ ი ნ ი შენიშნავს, რომ ეს „დამახასიათებელი სათაურიაო“; იქ, სადაც იმავე თავის პირველ გვერდზე ჰ ე გ ე ლ ი სწერს – „ბუნებას არ შეიძლება მივსცეთ არც მეტად მაღალი და არც მეტად დაბალი შეფასება; იონიის უხვი ცა, უეჭველია ბევრ რამეში ხელს უწყობდა ჰ ო მ ე რ ო ს ი ს პოეზიის სიმშვენიერეს, თუმცა მხოლოდ მარტო მას არ შეეძლო წარმოეშვა ჰომეროსები, იგივე ცა მათ წარმოშობს აგრეთვე არა ყოველთვის. ოსმალთა ბატონობის ქვეშ არ ჩნდებიან მგოსნები“, – სწორედ აქ ლ ე ნ ი ნ ი იხსენებს პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ს,<sup>10</sup>), რომელსაც ნოტაბენეთი აღნიშნავს, და ადარებს ჰ ე გ ე ლ ს, რომელსაც, ამ მხრივ, აშკარად შორს გაუსწრო რ ა ტ ც ე ლ ი ს გავლენის ქვეშ მოყოლილ პ ლ ე ხ ა ნ ო ვ მ ა.

რაც შეეხება თანამედროვე სოციალ-ფაშიზმის თეორეტიკოსს კ. კ ა უ ც კ ი ს „წარმოების აზიური წესი“ მას 1878 წ. მიაჩნდა ურთიერთობის განსაკუთრებულ ფორმად, ხოლო 1912 წელს გ. ს ა ლ ვ ი ო ლ ი ს ცნობილი წიგნის – „კაპიტალიზმი ანტიურ

ქვეყანაში“ – ფრანგულიდან, მისი შვილის კარლოს მიერ შესრულებული გერმანული თარგმანის გამოცემას მამა კარლ კ ა უ ც კ ი მ წაურთო წინასიტყვაობა საზოგადოებრივი ფორმაციების, უკეთ ვსთქვათ ისტორიული განვითარების კანონზომიერების შესახებ.

ამ წერილში კ. კაუციკი იძლევა შემდეგნაირ პერიოდიზაციას: „ყველაზე უფრო ადრინდელ წესად წარმოებისა მარქსს მიაჩნია პირველყოფილი კომუნიზმი“.. ამ ფორმაციის კ შემდგომ, მაღალ საფეხურს განვითარებისა, მისი დაცემის შემდეგ ისტორია თითქმის ხელახლა თავიდან, ისევე პრიმიტიული მდგომარეობიდან იწყება, შემდეგ ამ ფორმაციებს, კ ა უ ც კ ი ს პერიოდიზაციით მოსდევს ახალი მეურნეული ელემენტი, რომელიც გვევლინება მხოლოდ სამხრეთ ევროპაში მეხუთმეტე საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც უკანასკნელისათვის დადგა ეპოქა პირვანდელი დაგროვებისა; ამ ნიადაგზე კი სამხრეთის სახელმწიფოები, ატლანტიკის სანაპიროებს გასწვრივ, შესაფერ გარემოებათა ხელსაყრელი თანხვდომის წყალობით, მივიდნენ იქამდე, რომ მოსახლეობის უმრავლესობა პროლეტარიზაციიდან და დიდ სიმდიდრეთა მცირეოდენტა ხელში კონცენტრაციიდან, მსოფლიო კავშირის (მიმოსვლის) ერთდროული განვითარებასთან ერთად, განავითარეს ახალი წესი წარმოებისა – კაპიტალიზმი <sup>11</sup>).

ამგვარად, ამ წერილში ნახსენებიც არ არის „აზიური წესი წარმოებისა“; მეორეს მხრივ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კ ა უ ც კ ი ჯერ კიდევ ამ წერილის დაწერის დროსაც „აკრიტიკებს“ რა კ ა რ ლ ბ ი უ ხ ე რ ი ს „ჰეროსტრატესებურ-განთქმულ“ სქემას მეურნეული ცხოვრების განვითარებისა, <sup>12</sup>), რევერანსებს აკეთებს კ. ბ ი უ ხ ე რ ი ს წინაშე; ხოლო ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ თავის უკანასკნელ სენსაციურ ორტომიან ნაშრომში<sup>13</sup>), კ. კ ა უ ც კ ი უკვე აშკარად სავსებით აყალბებს და ამახინჯებს მარქსიზმის მოძღვრებას ისტორიული განვითარების კანონზომიერებაზე და ეკონომიურ ფორმაციებზე. კ ა უ ც კ ი ახლა აღიარებს „აზიურ ფორმაციას“, როგორც ისეთ წესს წარმოებისა, რომლის მსგავსი არ ახსოვს ევროპის ხალხების ისტორიულ განვითარებას და ამგვარადმისი პოზიცია შეხმატებილებულია ევროპის იმპერიალიზმის კოლონალურ პოლიტიკასთან აღმოსავლეთში, რომლის თეორეტიკოსი – მ ა კ დ ე ნ ა ლ დ ი ს

„გაგრძელება“ – გ ა ნ დ ი, ამ პოლიტიკას ასაბუთებს აღმოსავლეთის ხალხთა (ინდოეთი, ჩინეთი) თავისებური, ევროპის ხალხთა საზოგადოებრივი განვითარებისაგან განსხვავებული, მდგომარეობით; ეს ის პოზიციაა, რამაც კ ა უ ც კ ი ევროპის და ამერიკის იმპერიალიზმის მტაცებლური პოლიტიკის გასამართლებლად მოგონილი რასობრივი თეორიის აღიარებამდე მიყვანა.

როგორც ცნობილია, დღევანდელი სახით, რასობრივი თეორიის, ბიუფონი, პეშელი, მარტონი, კრაფორდი, გრაფ გობინო და სხვ. – შინაარსი იმაში მდგომარეობს, თითქოს: 1) რასიულ (ფიზიკურ) თვისებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ჯგუფების კულტურულ განვითარებაში; 2) განასხვავებენ „მაღალ“ ბუნებრივად უფრო დაჯილდოებულ გონებრივი განვითარების უნარიან რასებს და „დაბალ“ რასებს, რომლებსაც ან სავსებით არ აქვთ გონებრივი განვითარების უნარი, ანდა – უმნიშვნელო ხარისხით; 3) რასის ძირითადი თვისებანი არ იცვლებიან და არ არიან დამოკიდებულნი არც სოციალურ-ეკონომიურ პირობებთან და არც გეოგრაფიულ გარემოსაგან. რასობრივ თეორიასთან დაკავშირებულია აგრეთვე, ე.წ. „მიგრაციის თეორიაც“ (რ ა ტ ც ე ლ ი და სხვები), რომლის თანახმად, თანამედროვე ადამიანის წინაპართა ნაშთები, რომლებიც დღეს რეკონსტრუირებულია პიკანტროპუსის, ჩინანტროპუსის, ჰაიდელბერგელის, ნეანდერტალელის და კორმანონელი ადამიანების სახით და, რომლებიც ადამიანთა მოღვმის თანმიმდევრული განვითარების სხვადასხვა საფეხურის წარმომადგენლებია, განიხილება, როგორც სხვადასხვა რასები, რომელთა მიგრაციების დროს ერთიმეორის დაპყრობით და განადგურებით მიიღება ზემოხსენებული „განვითარება“. ამ თეორიების რეაქციონური და იმპერიალისტური ხასიათი იმდენად აშკარაა, რომ განმარტებასაც არ საჭიროებს.

ახლა საჭიროა შევჩერდეთ ამხ. ლ. მ ა დ ი ა რ ი ს და სხვა მისი მომბაძველი მექანისტების კონცეპციაზე „აზიური წარმოების წესის“ საკითხის შესახებ. ლ. მ ა დ ი ა რ ი უკანასკნელ ხანებში წარმოებული დისკუსიების პროცესში აშკარად გამოეყო, როგორც ერთგვარი მეთაური და „თეორეტიკოსი“ წარმოების „აზიური წესის“, როგორც განსაკუთრებული ფორმაციის დამცველთა შორის.

ამხ. ლ. მ ა დ ი ა რ მ ა თავის მთელ რიგ შრომებში ჩინეთის ეკონომიკის განვითარების შესახებ და აგრეთვე საზოგადოებრივ ეკონომიურ ფორმაციებზე დაწერილ გამოკვლევებში, საბოლოო ანგარიშით, ჩამოაყალიბა თავისი კონცეპცია „აზიური ფორმაციის“ დასაცავად, რომელიც მის მიერ აგრარულ საკითხზე მომუშავე მარქსისტთა კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

აზიური წარმოების წესი, ე. ი. აზიური ფორმაცია წარმოიშობა და ვითარდება იქ, 1) სადაც მიწათმოქმედებისათვის პირველ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ხელოვნური მორწყვა, ასე რომ გეოგრაფიული ფაქტორის გადამწყვეტი მნიშვნელობა უდაოა; 2) კლასობრივი საზოგადოების წარმოშობა დაკავშირებულია ხელოვნური მორწყვის ორგანიზაციის აუცილებლობასთან. თემის მსახურნი – საგვარეულო იყო ის, სასოფლო, თუ რელიგიოზური – რომლებიც ასრულებდნენ მორწყვის ორგანიზაციის ფუნქციებს, განვითარებათა მსვლელობაში ყალიბდებიან გაბატონებულ კლასად, რომელიც ჩაგრავს და ყვლეფს თემს ან გვარს, ითვისებს რა უშუალო მწარმოებელთა ზედმეტ შრომას; 3) მიწაზე კერძო საკუთრების არ არსებობა წარმოადგენს აზიური წარმოების წესის უმნიშვნელოვანეს დამახასიათებელ ნიშანს. სახელმწიფო არის უზენაესი მესაკუთრე მიწისა; სუვერენიტეტი აქ – სამიწო საკუთრებაა, რომელიც კონცენტრაციაქმნილია ნაციონალური მასშტაბით. არ არსებობს მიწის კერძო საკუთრება. თუმცა არსებობს, როგორც კერძო, ისე თემური მფლობელობა და სარგებლობა მიწისა; 4) ზედმეტი შრომის მითვისება ხდება რენტა-ხარკის სახით. რენტა და ხარკი გათქვეფილია ერთმანეთში; 5) აზიური წარმოების წესის დროს სახელმწიფო ფორმას წარმოადგენს აღმოსავლური დესპოტია.

ასევე ან თითქმის სავსებით ასევე სვამს საკითხს „აზიური ფორმაციის“ მეორე დამცველი ბ ე რ ი ნ ი ც, როდესაც იგი ლაპარაკობს რომ „მთელი საქმე ემყარება ბუნებრივ პირობებს, უფრო სწორად იმას, რომ მიწათმოქმედება მორწყვის გარეშე აზიის უმრავლეს ქვეყნებში შეუძლებელია“. საერთო საზებში ასხეტსავე შეხედულებას იცავენ მ ა დ ი ა რ ი ს მოწაფეები კ ო კ ი ნ ი, პ ა პ ა ი ა ნ ი და სხვებიც, რის გამოც მათ ამოწერას ჩვენ აქ

არ შეეუდგებით; მხოლოდ დაესძინო რომ ყველა ისინი ერთხმად, ლ. მაღიარის პირით, აცხადებენ:

«Нет никакого сомнения в том, что, по мнению М а р к с а, в Китае колониальная политика разрушила именно экономическую основу азиатского производства. Нет никакого сомнения в том, что такие гиганты марксистской мысли, как Л е н и н и П л е х а н о в, не только признавали существование азиатского способа производства но, как мы увидим ниже, развили Марксово учение о нем».

„ქვემოთ“ კი ჩვენ ვხედავთ ყოველგვარი ფაქტიური, კონკრეტული ისტორიული მასალების გარეშე, – თუ მხედველობაში არ მივიღებთ კ ო კ ი ნ ი ს წიგნს („ცზინ-ტიან“), რომელსაც ხშირად თვით მ ა დ ი ა რ ი ც არ ეთანხმება, – ჩვენ მიერ ზემოდ მოყვანილ სქემას აღმოსავლეთის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშნებისა, რომელიც ამხ. მ ა დ ი ა რ მ ა „ჩამოაყალიბა“ მ ა რ ქ ს ი ს ა და ე ნ გ ე ლ ს ი ს თხზულებათაგან დოგმატიურად და ამდენადვე დამახინჯებულად ამოგლეჯილი ციტატების საფუძველზე.

როგორც ვხედავთ აზიური ფორმაციის დამცველები ცდილობენ ეს აზრი თავზე მოახვიონ პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ს ა და ლ ე ნ ი ნ ს. ჩვენ ზემოდ ვნახეთ, რომ პლექსანოვი მართლაც იდგა ამ თვალსაზრისზე; ხოლო ახლა აქ უნდა ვაჩვენოთ, რომ ლენინს არსად და არასოდეს არ გაუზიარებია ის აზრი, რომ ჩინეთში და ინდოეთში ჩვენ საქმე გვაქვს აზიურ ფორმაციასთან, – ურთიერთობასთან, რომელიც უცნობია ევროპის ხალხთა ისტორიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ „აზიური ფორმაციის“ დამცველები ერთხმად მიუთითებენ ლ ე ნ ი ნ ი ს სიტყვაზე, რომელიც წარმოთქმულ იქნა სტოკჰოლმის ყრილობაზე რუსეთის ს.-დ. მ. პარტიისა. აქ პ ლ ე ხ ა ნ ო ვ მ ა გაილაშქრა ლ ე ნ ი ნ ი ს მიერ წარმოდგენილი მიწის ნაციონალიზაციის პროექტის წინააღმდეგ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ამტკიცებდა, რომ ლ ე ნ ი ნ ი ს პროექტის განხორციელება ეს იქნებოდა პეტრეს-წინააღმდეგელი რუსეთის მდგომარეობის აღდგენა, როდესაც იყო გაბატონებული აზიური წარმოების წესი (როგორც ცნობილია პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი თავის ცნობილ თხზულებაშიც – „რუსული საზოგადოებრივი აზრის განვითარება“ – ამტკიცებს, რომ რუსეთში იყო აზიური წარმოების წესი).

იმავე ყრილობაზე პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს წინააღმდეგ გამო-  
სული ლ ე ნ ი ნ ი ლაპარაკობდა: „დაუშვათ ერთი წუთით, რომ  
მოსკოვის პეტრეს-წინაღროინდელ რუსეთში, მე-XVII საუკუნეში  
ნამდვილად არსებობდა მიწის ნაციონალიზაცია, რა გამომდინა-  
რეობს აქედან? გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს ლოგიკით აქედან  
გამომდინარეობს, რომ ნაციონალიზაციის გატარება ნიშნავს ხე-  
ლის შეწყობას მოსკოვის დროინდელი რუსეთის რესტავრაციი-  
სათვის, მაგრამ ასეთი ლოგიკა – სახელდობრ სოფიზმია და არა  
ლოგიკა, ანუ სიტყვების თამაშია, მოვლენათა ეკონომიური საფუძ-  
ვლის ანუ ცნების ეკონომიური შინაარსის გარეშე. რამდენადაც  
მოსკოვის რუსეთში იყო (ანუ: თუ მოსკოვის რუსეთში იყო) მიწის  
ნაციონალიზაცია, იმდენადაც მისი ეკონომიური ს ა ფ უ ძ ვ ე ლ  
ი ი ყ ო ა ზ ი უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს წ ე ს ი. ამავე  
დროს, რუსეთში მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან განმტკიცდა,  
ხოლო მე-XX საუკუნეში უკვე უდაოდ გაბატონებული შეიქნა წარ-  
მოების კაპიტალისტური წესი. რაღა დარჩა პლექსანოვის მტკიცე-  
ბიდან? ნაციონალიზაცია, რომელიც დაფუძნებულია წარმოების  
აზიურ წესზე, მან აურია ნაციონალიზაციაში, რომელიც დაფუძ-  
ნებულია წარმოების კაპიტალისტურ წესზე: სიტყვათა იგივეობის  
გამო მან მხედველობიდან გაუშვა ეკონომიური, სახელდობრ სა-  
წარმოო ურთიერთობათა განსხვავება“<sup>14</sup>).

რა გამომდინარეობს აქედან, რომელსაც ასე ჩააცვიდენ „აზიურ-  
რი ფორმაციის“ დამცველი მექანიზტები და კონტრრევოლუ-  
ციონური ტროცკისტები? ლ ე ნ ი ნ ი აქ, როგორც სჩანს, მხო-  
ლოდ იმას ამტკიცებს რომ პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი მ ა ზემოხსენებულ  
საკითხში დაუშვა მეტად უხეში შეცდომა. ლ ე ნ ი ნ ი ს სიტყ-  
ვის ზემოდ მოყვანილი ადგილის მთელი შინაარსი, თავიდან ბო-  
ლომდე მხოლოდ უარყოფაა პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს აბსურდული  
დებულებისა და მეტი არაფერი. აქედან არავითარ შემთხვევაში  
არ შეიძლება იმ აზრის გამოყვანა, რომ თითქოს ლ ე ნ ი ნ ი  
იცავდა „აზიური წარმოების წესის“ არსებობას და ისიცრუ-  
სეთში, რომლის ფეოდალური განვითარების შესახებ მას არა  
ერთგან აქვს გამოთქმული თავისი მტკიცე აზრი. ამისათვის საკმა-  
რისია თუნდაც ზერელე გადათვალთვალება ლენინის რომელიმე  
თხზულებისა, მაგ., „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, სა-  
დაც ნათლადაა დამტკიცებული, კონკრეტული მასალების

ანალიზზე, რომ რუსეთში კაპიტალიზმი განვითარდა ფეოდალიზმის, ე. ი. ბატონყმობის ნიადაგზე, ხოლო უკანასკნელი წარმოიშვა პატრიარქალური (პირველყოფილი) ურთიერთობიდან. ამიტომ „რუსეთში ამ მხრით კაპიტალიზმის პროგრესიულობა განსაკუთრებით აშკარაა, რადგან ჩვენში მწარმოებლის პირადი დამოკიდებულება (ე. ი. ბატონყმობა – პ. გ.) არსებობდა (რამოდენიმედ დღესაც არსებობს) არა მარტო მიწათმოქმედებაში, არამედ გადამმუშავებელ მრეწველობაშიაც (ბატონყმურ შრომაზე დამყარებული „ფაბრიკები“), სამთო-საქარხნო მრეწველობაშიაც და თევზის მრეწველობაშიაც და სხვ; – სწერს ლენინი თავის ამ თხზულებაში<sup>15</sup>).

მაგრამ მიუხედავად ამისა ლ ე ნ ი ნ ი თუ მაინც ლაპარაკობს „აზიური წარმოების წესზე“ რუსეთში ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მის ტერმინოლოგიაში აზიური წარმოების წესი გაიგივებულია ფეოდალურ ფორმაციასთან; და რომ ეს ასეა ჩვენ ამაში ახლავე დავრწმუნდებით. ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ ლ ე ნ ი ნ ი ხშირად ხმარობს ცნებას „აზიური წარმოების წესი“, „აზიური საზოგადოება“, „აზიური ექსპლოატაცია“ და მისთანებს, მაგრამ ყოველთვის, როგორც წესი იგი მის მიერ განიხილება როგორც ბატონყმური, ფეოდალური ურთიერთობის სინონიმი.

ასე მაგალითად, 1911 წელს ლ ე ო ნ ტ ო ლ ს ტ ო ი ს შესახებ ვ. ლენინი სწერდა, რომ ტოლსტოის მსოფლმხედველობა ეს არის „აღმოსავლური წყობილების, აზიური წყობილების იდეოლოგია, რომ ის არის „მხოლოდ იდეოლოგიური გადმონაშუქი ძველი („გადატრიალებული“) წყობილებისა, ბატონყმური წყობილებისა, აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრების წყობილებისა“<sup>16</sup>).

კიდევ უფრო გვიან, 1913 წელს დაწერილ წერილში – „თანამედროვე ხელისუფლების აგრარულ პოლიტიკის შესახებ“ – ლ ე ნ ი ნ ი სწერდა: „ეს არ არის კაპიტალიზმი, ეს არაა ევროპული წესი მეურნეობისა...არა, ეს სავსებით არ არის ევროპიულად. ეს არის ძველ-ჩინური. ეს არის თათრული, ეს არის ბატონყმური“. აქ უკვე ასე ნათლადაა თქმული, რომ „ევროპული წესი“ ეს არის კაპიტალისტური, ხოლო ის გადმონაშთები, რაც ბატონობდა მაშინდელ რუსეთში – ეს არის ჩინური, თათრული, ე. ი. აზიური, ე. ი. ბატონყმური ანუ ფეოდალური<sup>17</sup>. ისე როგორც ზემოდაც, ტ ო ლ ს ტ ო ი ს შესახებ წერილში, ლ ე ნ ი ნ ი ლაპარაკობს ორ



ეკონომიურ ურთიერთობაზე: კაპიტალისტურზე, ე. ი. ევროპულზე და ფეოდალურზე, ე. ი. აღმოსავლურზე ანუ აზიურზე – რაც გამოსატყვევდა მაშინდელ მსოფლიოს: კაპიტალისტურ ევროპას და ფეოდალურ აზიას.

მაგრამ ახლა საინტერესოა ვიკითხოთ, თუ რა აზრის იყო ლ ე ნ ი ნ ი, კერძოდ თვით ჩინეთის ხალხის მიერ თავის ისტორიული განვითარების პროცესში განვლილი საწარმოო ურთიერთობის შესახებ.

1912 წლის ივლისს ლ ე ნ ი ნ ი თავის წერილში, „დემოკრატია და ხალხოსნობა ჩინეთში“, სწერდა: „ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირობები, ჩინეთისა, ჩამორჩენილი, მიწათმოქმედური, ნახევრად-ფეოდალური ქვეყნისა, დღის წესრიგზე სვამენ ამ თითქმის ნახევარმილიარდიანი ხალხის ცხოვრებაში მხოლოდ ერთ გარკვეულ, ისტორიულად თავისებურ სახეობას ამ ჩაგვრისა და ექსპლოატაციისა, სახელდობრ ფეოდალიზმისა. ფეოდალიზმი ემყარებოდა მიწათმოქმედური ყოფიერებისა და ნატურალური მეურნეობის ბატონობაზე: ჩინელი გლეხის ფეოდალური ექსპლოატაციის წყარო იყო მისი ამა თუ იმ ფორმით მიწაზე მიმაგრება. ამ ექსპლოატაციის პოლიტიკური გამომხატველნი იყვნენ ფეოდალები, ყველანი ერთად და ყოველი ცალ-ცალკე ბოგდიხანთან, როგორც სისტემის მეთაურთან, ერთად“.

იმავე წერილში, ს უ ნ – ი ა ტ – ს ე ნ ი ს აგრარული პოლიტიკის შესახებ, ლ ე ნ ი ნ ი სწერს: „როგორ ეკონომიურ აუცილებლობამ გამოიწვია აზიის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ გლეხურ ქვეყანაში გავრცელება ყველაზე მოწინავე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პროგრამისა მიწის მიმართ?“ და იქვე უპასუხებს: „აუცილებლობამ ფეოდალიზმის დანგრევისა ყველა მის სახეებში და გამოვლინებებში“<sup>18</sup>).

განა ამის შემდეგ ნათელი არ არის, რომ ლ ე ნ ი ნ ი „აზიურ საზოგადოებას“, „აზიურ წარმოების წესს“, „ჩინურ მეურნეობას“ განიხილავს როგორც დახასიათებას ჩამორჩენილი ფეოდალური ურთიერთობისა? ლ ე ნ ი ნ ი პირდაპირ სწერს, რომ ჩინეთში გაბატონებული იყო ბატონყმური ექსპლოატაცია, რაიც დამყარებული იყო გლეხების მიწაზე მიმაგრებაზე; ეს ხომ ფეოდალური ექსპლოატაციის სპეციფიკური დამახასიათებელი მოვლენაა, რომელიც განვითარების გარკვეულ პერიოდში გაბატონებული იყო

როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში, როგორც ინგლისში, ისე რუსეთში, როგორც იაპონიაში, ისე ჩინეთში და რომელიც ევროპაში უფრო ადრე მოისპო, ვინემ აზიაში, სადაც ის კიდევ დიდხანს რჩება. სწორედ ამიტომ **ლ ე ნ ი ნ ი** ხშირად კაპიტალისტური წარმოების წესის სინონიმად ხმარობს ევროპიულს, დასავლეთურს, ხოლო ფეოდალურისათვის – კი აზიურს, ჩინურს, თათურულს. მაგალითად: „აღმოსავლეთი საბოლოოდ შესდგა დასავლეთის გზაზე“, – სწერს ლენინი, ჩინეთის კაპიტალისტური განვითარებისა და აქედან გამომდინარე ჩინეთის მუშათა კლასის ამოძრავების შესახებ. ანდა კიდევ: „რუსეთი ფრიად მრავალ და მეტად არსებით ურთიერთობაში, უეჭველად წარმოადგენს ერთ-ერთ აზიურ სახელმწიფოს და ამასთანავე, ერთ-ერთ ყველაზე ველურ, საშუალო საუკუნეებრივ (ე. ი. ფეოდალურ – პ. გ.) სამარცხვინოთ ჩამორჩენილ აზიურ სახელმწიფოთაგანს“<sup>19</sup>).

და თუ ყოველივე ამის შემდეგ კოკინი და პაპიანი და მეორეს მხრივ, კონტრრევოლუციონური ტროცკიზმი ცდილობს და მაინც არ იშლის, რომ აქედან გამოიყვანონ „აზიური ფორმაციის“ აღიარება, ჩვენ ისინი სხვას არას მოგვაგონებენ, როგორც იმ ცხოველს, რომელსაც ცხენიდან ჯორი „გამოყავს“. თუმცა, როგორც ერთგან მჭერმეტყველურად შენიშნავს **მ ა რ ქ ს ი**, საჭირო არაა ინდოელი იყოს კაცი, რომ თაყვანი სცეს ძროხა-საბალას და იუპიტერი იყოს, რომ ხარად გადაიქცეს“.

იმის შესახებ, რომ ჩინეთში ადგილი ჰქონდა ფეოდალურ ურთიერთობას და, მაშასადამე, დღეს იქ ადგილი აქვს გადმონაშთებს ბატონყმური ურთიერთობისა, მრავალი ითქვა აგრეთვე, ე. წ. „ჩინური დისკუსიის“ პერიოდში სკ. პ. (ბ) ცეკაში და კომინტერნის აღმასკომშიაც, სადაც **ტ რ ო ც კ ი** და მისი მომხრენი სავსებით უარყოფდნენ ჩინეტში ფეოდალური ეპოქის ნაშთების მნიშვნელობას. ამხ. კ. **რ ა დ ე კ ი** მაშინ ამტკიცებდა, რომ ჩინეთის სოფელში ბატონობს სავაჭრო კაპიტალი და არა ფეოდალური ყოფიერების ნაშთები.

ისტორიულ მატერიალიზმში ლენინური ეტაპის შემდგომი განმავითარებელი ამხ. **ს ტ ა ლ ი ნ ი** ყოველთვის ენერგიულად ილაშქრებდა ამგვარი უმგვანო, ანტიისტორიული და ანტიმარქსის-

ტული გამოსვლების წინააღმდეგ. 1927 წ. 24 მაისს კომინტერნის აღმასკომის სხდომაზე ის ლაპარაკობდა: „კომინტერნი გამოდის იქიდან, რომ ნაშთები ფეოდალიზმისა ჩინეთის სოფელში და მთელი მილიტარისტულ-ბიუროკრატიული ზედნაშენი ამ ნაშთებზე, ყოველგვარი ძიუძიუნებით, გუბერნატორებით, გენერლებით, ჩან-ძოლინებით დასხვ. წარმოადგენენ იმ ბაზას, რომელთა საფუძველზე წარმოიშვა და გაიშალა თანამედროვე აგრარული რევოლუცია. თუ 70 % გლეხობის შემოსავლისა მთელ რიგ პროვინციებში ეკუთვნის მემამულეს და ჟენტრის, თუ მემამულეები, შეიარაღებულნი თუ უიარაღონი, წარმოადგენენ არა

მხოლოდ ეკონომიურ, არამედ ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელი-სუფლებათ, თუ დღემდე კიდევ მთელ რიგ პროვინციებში პრაქტიკაშია საშუალო საუკუნეებრივი ყიდვა-გაყიდვა ქალებისა და ბავშვებისა, მაშინ არ შეიძლება არ ვიცნოთ, რომ ფეოდალური ყოფიერების ნაშთები მთელი მათი მილიტარისტულ-ბიუროკრატიული ზედნაშენით,

წარმოადგენენ ჩაგვრის ძირითად ფორმას ჩინეთში“. შემდეგ ამხ. სტალინი განაგრძობს, რომ ჩინეთში

არსებულ ფეოდალური ყოფიერების გადმონაშთებს ზურგს უმაგრებს იმპერიალიზმიმთელი მისი ფინანსური და სამხედრო ძლიერებით; და ამიტომ „შეუძლებელია ჩინეთში ფეოდალური ნაშთების ლიკვიდაცია, თუ ამასთანავე ერთად არ ვაწარმოებთ რევოლუციონურ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში“.

ამხ. სტალინი ეხება რაკრადეკის შეცდომას ამ საკითხში სწერს: „ამხ. კ. რადეკის შეცდომა იმაშია, რომ მან ვერ გაიგო ეს თავისებურება, ეს გადაჯვარედინება ფეოდალური გადმონაშთების სავაჭრო კაპიტალის არსებობასთან ერთად ბატონობა ჩინეთის სოფელში, ფეოდალურ-საშუალო-საუკუნეებრივი ექსპლოატაციის და გლეხობის ჩაგვრის მეთოდების დაცვით“.<sup>20</sup>

ამავე აზრს ანვითარებს ამხ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის ჩინეთის კომისიაში 1926 წ. 30 ნოემბერს წარმოთქმულ სიტყვაშიაც: „ჩინეთის რევოლუციის მესამე თავისებურება... იმაში გამოიხატება, რომ მის გვერდით არსებობს საბჭოთა კავშირი, რომლის რევოლუციონური გამოცდილებას და დახმარებას არ შეუძლია არ გაადვილოს ჩინეთის პროლეტარიატის ბრძოლა

იმპერიალიზმისა და ფეოდალურ-საშუალო საუკუნეების ნაშთების წინააღმდეგ ჩინეთში“<sup>21</sup>. ამავე აზრს ანვითარებდა ის აგრეთვე აგრარულ საკითხზე მომუშავე მარქსისტთა კონფერენციაში წარმოთქმულ სიტყვაშიაც.

დასასრულ, უნდა მოვიყვანოთ თვით ჩინეთის კომპარტიის მე-VI ყრილობის რეზოლუციიდან ერთი ნაწყვეტი ამ საკითხზე:

„ეგრეთწოდებულ საზოგადოებრივი მიწებიდან რენტა გარეგნულად გვეჩვენება საზოგადოებრივი დაწესებულების შემოსავლად, ფაქტიურად კი ის წარმოადგენს ჯენტრის შემოსავალს“; მაგრამ ახლა ჩვენ ვიკითხოთ თუ ვინ არის ჯენტრი? – ჯენტრები, უჭირავთ რა საზოგადოებრივი მიწები და ღებულობენ რა რენტას მეიჯარადრებიდან, ეკონომიურად წარმოადგენენ მემამულეებს. ჯენტრი არის ძველი ჩინური „ში-ს, „და-ფუ-ს“ (ე. ი. არისტოკრატის) კლასის სახელწოდება; ახლა სახელმწიფო მოხელეები, ოფიცრები, მდიდარი ვაჭრებიც კი, ყველანი იწოდებიან „ჯენტრი-ვაჭრებად“. უწინარეს ყოვლისა ჩინეთში მემამულეთა კლასი – ეს არის ჯენტრის კლასი...ჯენტრი მემამულეთა კლასი არის გაბატონებული კლასი ჩინურ ფეოდალიზმში, ეს არის კლასი, რომელიც ანხორციელებს პოლიტიკურ ჩაგვრას ჩინელი გლეხებისა“ (ციტირებულია ამხ. ჩჟუ-უ-შანის მიხედვით).

ამგვარად საკითხი უკვე საბოლოოდ გარკვეულია ჩინეთში, ისევე როგორც ინდოეთში და საერთოდ აზიაში ჩვენ გვაქვს და გვქონდა ისტორიული განვითარების შესაფერ პერიოდებში არა რაღაც განსაკუთრებული ფორმაცია, რომელიც უცნობია ევროპის ხალხთა ისტორიაში, არამედ იგივე ფეოდალური, ე. ი. ბატონყმური ურთიერთობა, რაც გაიარა ევროპის ყველა ხალხებმა. მაშასადამე. მაშასადამე, როგორც უფრო ნათლად ამას ჩვენ ქვემოდაც დავინახავთ მარქსიზმის კლასიკოსების (მარქსი, ენგელსი, ლენინი) მიერ გამოყენებულია ცნებები „აზიური წარმოების წესი“, „აზიური საზოგადოება“, „აღმოსავლური ურთიერთობა“ და სხვ. მისთანანი წარმოადგენენ სხვას არაფერს, როგორც ფეოდალურს, ბატონყმურს, – საწარმოო ურთიერთობის ფორმას, რომელიც მსგავსად ევროპის ხალხებისა, გაიარეს აზიის ხალხებმაც, თუმცა თავისებური ხასიათის მატარებელი ფორმით, და როგორც ჩვენ ზემოდ დავინახეთ, მთელ თანამედროვე მარქსისტულ ისტორიოგრაფიასთან ერთად, ლ ე ნ ი ც ა აღნიშნავს ამ თავისებურებას,

რომელიც ახასიათებდა აზიის ხალხების, კერძოდ ჩინეთის ფეოდალური განვითარების თავისებურებას, როდესაც სწერს, რომ ჩინეთის თითქმის ნახევარმილიარდიანი ხალხი განიცდის „ისტორიულად თავისებურ სახეობას ამ ჩაგვრისა და ექსპლოატაციისა, სახელდობრ ფეოდალიზმისა“.

უდაოა, რომ აზიის ხალხებმა გაიარეს ფეოდალური ურთიერთობა და ამასთანავე ისიც უდაოა, რომ ეს ფეოდალიზმი ხასიათდება გარკვეული თავისებურებით ევროპიულ, მაგ., ფრანგულ ფეოდალიზმთან შედარებით; ისიც უდაოა, როგორც ამას სამართლიანად ამტკიცებენ ამხ. ს ა ფ ა რ ო ვ ი თავის ნაშრომებში – „კლასები და კლასობრივი ბრძოლა ჩინეთის ისტორიაში“, „ჩინეთის პრობლემები“, – და ამხ. ე. ი. ო. ლ. კ. ი. თავის საინტერესო გამოკვლევებში – „ძველი ჩინეთის საზოგადოებრივი წყობის საფუძვლებისათვის“ და სხვ. – რომ პირველყოფილი ურთიერთობის საფუძვლებიდან წარმოშობილი და განვითარებული ფეოდალიზმი ჩინეთში, ხასიათდება მნიშვნელოვანი თავისებურებებით, მაგ., ფრანგულ და სხვ. ფეოდალიზმთან შედარებით; და ისიც უდაოა, რომ ეს თავისებურება აღმოსავლური ფეოდალიზმისა გამომდინარეობდა იმ გეოგრაფიული პირობებისაგან, რომლის წიაღშიც იგი ვითარდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ს უ ნ-ი ა ტ-ს ე ნ ი ც კი უდიდეს მნიშვნელობას აწერს ჩინეთის განვითარებაში ამ გარემოებას, თავის საინტერესო ნაშრომში – „ჩინეთის საერთაშორისო განვითარების გეგმა“ – ის აღნიშნავს დიდი მდინარეებისა (ხუან-ხე – ყვითელი მდინარე, იან-ცზი – ტრედისფერი მდინარე, სი-ცზიან – დასავლეთის მდინარე) და არხების არსებული სისტემის გრანდიოზულ მნიშვნელობას ქვეყნის მორწყვის საქმეში,<sup>22</sup> და, მაშასადამე, მიწათმოქმედების, ე. ი. ყველა წინაკაპიტალისტური ფორმაციებისათვის მეურნეობის ყველაზე უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებაში. მაგრამ ჩვენთვის ცხადზე უცხადესია, რომ თვით ამ ხელოვნური მორწყვის სისტემის ორგანიზაცია, მაშასადამე, იმ უდიდესი მდინარეების ჩვენს დროისათვისაც განსაცვიფრებელი, გრანდიოზული, არხების საფუძველზე გამოყენება იმ თავითვე განსაზღვრული იყო არსებობისათვის ბრძოლის პროცესში შექმნილი და დაგროვილი საწარმოო ძალებით, რაშიაც უნდა ვეძიოთ, როგორც თვით ხელოვნური მორწყვის სისტემის ჩამოყალიბების

სახეები, ისევე საწყისებიც თვით საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, ამ სისტემის რეგულარული ექსპლოატაციის საფუძველზე რომ უნდა შექმნილიყო.

მ ა რ ქ ს ი როდი უარყოფს გეოგრაფიული ფაქტორის გავლენას საზოგადოების განვითარებაზე. მაგრამ მარქსისათვის ყოველად მიუღებელია ჩვენ მიერ ზემოდ ამოწერილი პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს დებულება, რომ თითქოსგეოგრაფიული ფაქტორი განსაზღვრავდეს, კარნახობდეს საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმებს. გეოგრაფიული ფაქტორები ეკონომიური თვალსაზრისით განიყოფება ორ დიდ ჯგუფად: საარსებო საშუალებისა (ნოციერი ნიადაგი, ნადირით მდიდარი ტყე) და შრომის საშუალების (ჩანჩქერები, მადნეულით მდიდარი ნიადაგი) მიხედვით. რაც უფრო დაბალია კულტურა, მით უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირველს, ხოლო რაც უფრო მაღალია იგი, ეს მდგომარეობა ენიჭება მეორეს. ამასთანავე ერთად, როდესაც ჩვენ ვიხილავთ საზოგადოებრივი მდგომარეობის საკითხს, ერთიწუთითაც არ უნდა იქნას გაშვებული მხედველობიდან კლასობრივი მომენტ. ამასთანავე „ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მხოლოდ ზედმეტი შრომის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ არასოდეს არ ქმნის თავისთავად ზედმეტ შრომას“; მეორეს მხრივ, ვიდრე შრომის ნაყოფიერება განსაზღვრულ საფეხურს არ მიაღწევს, მუშას არ მოეპოება ზედმეტი დრო, ურომლისოდ არ არსებობს ზედმეტი შრომა და, მაშასადამე, შეუძლებელია არსებობდეს ექსპლოატაციის ესა თუ ის ფორმაც.

კ. მ ა რ ქ ს ი სწერს, რომ „დედამიწა ადამიანის საზრდოს თავდაპირველი საკუჭნაოც არის და შრომის საშუალებათა თავდაპირველი არსენალიცო“, <sup>23</sup>; მაგრამ ამასთანავე ერთად მხედველობიდან როდი უშვებს იმ გარემოებას, რომ წარმოების საშუალებათა მეკატრონის(მონათმფლობელის, ფეოდალის, კაპიტალისტის) უშუალო ურთიერთობა უშუალო მწარმოებლისადმი (მონისადმი, ყმისადმი, პროლეტარიატსადმი), ურთიერთობა, რომლის ყოველი მოცემული ფორმა (მონობა, ბატონყმობა, კაპიტალიზმი) ყოველთვის ბუნებრივად შეესაბამება შრომის საშუალებათა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს და ამიტომაც შრომის საზოგადოებრივ საწარმოო ძალასაც – არის ის ქვაკუთხედი, რომლის მიხედვითაც უნდა ახსნილ იქნას მთელი საზო-

გადღობრივი წყობილების საიდუმლოება; ამასთანავე ერთად როგორც მ ა რ ქ ს ი სწერს ეს არ ეწინააღმდეგება იმას, რომ „ერთსადაიმავე ეკონომიურ ბაზისს – ერთსადაიმავეს მთავარ პირობათა მხრივ – დაუსრულებელივ სხვადასხვაგვარ ემპირიულ გარემოებათა, ბუნებრივ პირობათა, რასიულ ურთიერთობათა. გარედან მომქმედ ისტორიულ გავლენათა და სხვ. წყალობით – თავის გამოვლინებაში შეუძლია გამოააშკარავოს დაუსრულებელი ვარიაციები და გრადაციები, რომელთა გაგება შეიძლება მხოლოდ ამ ემპირიულად მოცემულ გარემოებათა ანალიზის წყალობით“<sup>24</sup>.

აი, ის უდიდესი მნიშვნელობის მქონე მარქსიზმის მეთოდოლოგიური დებულება, რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს ყოველ მარქსისტ მკვლევარმა ისტორიისა და კერძოთ აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიისა, რომელშიაც ბუნებრივ პირობებმა უდაოდ დიდი როლი ითამაშეს, მაგრამ მთავარ პირობათა მხრივ, ერთდაიგივე ეკონომიური ბაზისი, მართალია სხვადასხვაგვარ ემპირიულ გარემოებათა გავლენით აშკარავდება დაუსრულებელ ვარიაციებში და გრადაციებში, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, ყველგან და ყოველთვის, ძირითად ხაზებში, ერთ და იმავე საზოგადოებრივ ურთიერთობას წარმოშობს და განავითარებს.

ახლა ჩვენ შეგვიძლია შევჩერდეთ კიდევ ერთ საინტერესო საკითხზე სახელდობრ იმ პირობებზე, რომლებმაც გამოიწვიეს „აზიური წარმოების წესის“ შესახებ მ ა რ ქ ს ი ს ა და ე ნ გ ე ლ ს ი ს მიერ მოცემული შეხედულება და საკითხზე, თუ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით კაცობრიობის ისტორიული განვითარების სქემად მიღებულ წინაკაპიტალისტურ-პირველყოფილ, ანტიკურ, ფეოდალურ – ფორმაციებში, თუ რომელს უნდა მიეკუთვნოს ის დახასიათებანი, რომელიც მოცემულია მარქსისა და ენგელსის თხზულებებში „აზიური ფორმაციის“, „აღმოსავლური საზოგადოების“, „პირველყოფილი ინდური თემის“, „წარმოების აზიური წესის“ სპეციფიკურობათა დახასიათების სახით.

ლ. მ ა დ ი ა რ ი და „აზიური ფორმაციის“ სხვა დამცველები ხშირად აღნიშნავენ, რომ ვითომ, მ ა რ ქ ს ი ს მიერ აზიურ საზოგადოებაზე თავისი შეხედულების ჩამოყალიბებაში

ერთგვარი გავლენა იქონია ჰ ე გ ე ლ მ ა, რომელიც თავის „ისტორიის ფილოსოფიაში“ კაცობრიობის ისტორიული განვითარების პერიოდებად დაყოფის შედეგად ასახელებს „აღმოსავლეთურ მსოფლიოს“, რომელშიაც შედიან ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, ეგვიპტედა სხვ., როგორც პირველ პერიოდს. ჰეგელის ისტორიოსოფიის შესახებ ჩვენ თავის ადგილას გვქონდა მსჯელობა<sup>25</sup> და აქ არ შევჩერდებით. მხოლოდ მადიარის ამ უკანასკნელი მოსაზრების შესახებ უნდა ითქვას, რომ ის აშკარად შემცდარია; რაც თუნდაც იქიდან სჩანს, რომ მ ა რ ქ ს ი და არც ე ნ გ ე ლ ს ი იმ დროიდან დაწყებული, როდესაც მათ ანგარიში გაასწორეს „ძველ ფილოსოფიურ სინდისთან“, ვიდრე 1859 წლამდე არსად, ერთი სიტყვითაც კი, არ იხსენებს „აზიურ ფორმაციას“, ხოლო უფრო ადრე კი, როდესაც იგი ნაწილობრივ კიდევ ჰეგელიანელი იყო, სახელდობრ 1843 წელს იხსენებს საზოგადოებრივი განვითარების „აზიური დესპოტიის ტიპს“, რომელსაც უპირისპირებს ანტიკური ურთიერთობის ფორმას<sup>26</sup>. აქედან: მარქსი და ენგელსი რომ ამ პერიოდში (1845-1859წ.წ.) ამ საკითხის გარშემო ჰეგელის გავლენის ქვეშ ყოფილიყვნენ, თავისთავად ცხადია, არ დაივიწყებდენ სათანადო ადგილებში „აზიური ფორმაციის“ შესახებ თავიანთი აზრების გამუტქმას, ხოლო, თუკი, სამოციანი წლებიდან დაწყებული მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი უკვე აყალიბებენ შეხედულებას „აზიური წარმოების წესზე“. ეს ცხადია აიხსნება არა ჰ ე გ ე ლ ი ს გავლენით, არამედ ისტორიოგრაფიის იმდროინდელი მდგომარეობით.

ახლა კი განვიხილოთ, თუ რა „ბედი“ ეწვია ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარების წყალობით თვით მ ა რ ქ ს ი ს ა და ე ნ გ ე ლ ს ი ს ხელში „აზიური წარმოების წესის“ საკითხს (ჩვენ უკვე ზემოდ დავინახეთ, თუ როგორ ანვითარებენ ამ საკითხში მარქსიზმს ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი).

„წარმოების აზიური წესი“ მ ა რ ქ ს ი ს ა და ე ნ გ ე ლ ს ი ს თხზულებებში განიხილებოდა როგორც ყველაზე ადრინდელი ტიპი თანამიმდევარ პროგრესიულ ფორმაციებს შორის. მაგალითად, მ ა რ ქ ს ი სწერს: „ფართო მოხაზულობით შესაძლებელია აზიურ, ანტიურ, ფეოდალურ და თანამედროვე ბურჟუაზიულ წარმოების წესს საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის პროგრესიული ეპოქები ეწოდოს“, –



როდესაც ფორმაციების ჩამოთვლა ხდება წარსულიდან თანამედროვეობისაკენ; ხოლო მაშინ, როდესაც მარქსი მათ ჩამოთვლის თანამედროვეობიდან წარსულისაკენ მიმავალი ხაზით, იგი სწერს: ბ უ რ ქ უ ა ზ ი უ ლ მ ა ეკონომიამ მხოლოდ მაშინ მიადწია ფეოდალური, ანტიური და აღმოსავლეთური საზოგადოების გაგებას, როგორც კი ბურჟუაზიული საზოგადოების თვითკრიტიკა დაიწყო“ და სხვ.<sup>27</sup>

ამგვარად, მ ა რ ქ ს ი ს მიერ „აზიური წარმოების წესი“ განიხილება, როგორც ყველაზე ადრინდელი საზოგადოება. ახლა კიდევ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ საზოგადოებას მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი ახასიათებენ როგორც პირველყოფილ თემურ ურთიერთობას. მაგალითად, მარქსი ს წ ე რ ს: „მუშათა და წარმოების საშუალებათა თავდაპირველ ერთიანობას – აქ ჩვენ გვერდს უვლით ურთიერთობას მონობის დროს, როდესაც მუშა თვითონ ეკუთვნის შრომის ობიექტურ პირობებს, – აქვს ორი მთავარი ფორმა: აზიური თემური (პირველყოფილი თემი) და წვრილი საგვარეულო სასოფლო მეურნეობის“<sup>28</sup>. ანდა კიდევ: „ინდოეთის პირველყოფილი მცირე თემები, რომლებიც ნაწილობრივ დღესაც განაგრძობენ არსებობას, დამყარებული არიან სათემო მიწათმფლობელობაზე, მიწათმოქმედების უშუალო კავშირზე ხელოსნობასთან და შრომის მტკიცე დანაწილებაზე, რომელიც ახალი თემების დაარსების დროს წარმოადგენს მზა გეგმას და სქემას“. ხოლო „შესავალში პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს წინაკაპიტალისტური ფორმაციების შესასწავლად და რომელიც ერთგვარ პროტოტიპს წარმოადგენს „პოლიტ. ეკ. კრიტიკისათვის“-ის წინასიტყვაობისა, მ ა რ ქ ს ი სწერს: „ისტორია... გვიჩვენებს, რომ პირველყოფილი ფორმა სათემო საკუთრება იყო (მაგ., ინდოელებსა, სლავიანებსა, ძველ კელტებში და სხვ.), ეს თემური საკუთრება დიდხანს თამაშობს მნიშვნელოვან როლს“.

ამასთანავე ერთად, ეს პირველყოფილი სათემო (ინდური, აზიური) საკუთრება მ ა რ ქ ს ს ა და ე ნ გ ე ლ ს ს მიცანიათ, როგორც ამოსავალი პუნქტი ანტიკური (ე. ი. რომაული) და ფეოდალური (ე. ი. გერმანული) საკუთრებისათვის. 1859 წ. მ ა რ ქ ს ი სწერდა, რომ „ამ ბოლო დროს გავრცელდა სასაცილო ცრუ შეხედულება, ვითომ ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ა დ ა ლ მ ო ც ე ნ ე ბ უ

ლი სათემო სათემო საკუთრების ფორმა სპეციფიკურად სლავური ან მხოლოდ და მხოლოდ რუსული ფორმა იყოს. ნამდვილად იგი საკუთრების პირველყოფილი ფორმაა, რომელსაც ჩვენ ვხვდებით რომაელებსა, გერმანელებსა და კელტებს შორის; ინდოეთში კი დღესაც მოიპოება ამის მრავალგვარი ნიმუშები, თუმცა ნაწილობრივ უკვე დაშლილი სახით. სათემო საკუთრების აზიური, განსაკუთრებით ინდური ფორმების ზედმიწევნითი შესწავლა ჩვენ დაგვანახებდა, თუ ბუნებრივად აღმოცენებული სათემო საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან როგორ წარმოსდგება მათი რღვევის სხვადასხვა ფორმები. ასე, მაგალითად, რომაული და გერმანული კერძო საკუთრების სხვადასხვა პირვანდელი ტიპები შეიძლება ინდური საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან იქნეს გამოყვანილი“.

იმ დროისთვის, როდესაც ეს სტრიქონები იწერებოდა, ჯერ კიდევ არ იყო კონკრეტულად შესწავლილი პირველყოფილი კომუნისტური ფორმაცია. მეორეს მხრივ, ყოველად შეუძლებელი იყო განვითარების პირვანდელი წარმონაქმნის სახით წარმოედგინათ ანტიკური და, მით უმეტეს, ფეოდალური ფორმაციის ესოდენ განვითარებული კულტურა. ამასთანავე ერთად კაცობრიობის ისტორიული განვითარების ისეთ კოლოსალურ მენცარს და მოაზროვნეს, როგორც იყო მ ა რ ქ ს ი არ შეეძლო არ ედია საწყისები ამ ფორმაციებისა; და, აი მის თანამედროვე ისტორიოგრაფიამ ის მიიყვანა დასკვნამდე, რომ როგორც ანტიური, ისე ფეოდალური ფორმაცია წარმოიშობიან აზიური, ე. ი. ინდური საკუთრების რღვევის სხვადასხვა ფორმებიდან, ხოლო ეს ინდური თემური საკუთრება, როგორც უკვე დავინახეთ, განიხილებოდა როგორც საკუთრების პირველყოფილი ფორმა.

ამ შემთხვევაში მოხდა ის, რომ მ ა რ ქ ს მ ა „აზიური საზოგადოება“ ნაწილობრივ, ვიმეორებთ მხოლოდ ნაწილობრივ, გააიგივა შემდეგ აღმოჩენილ პირველყოფილ ფორმაციასთან, რომელიც ნამდვილად არის ამოსავალი პუნქტი როგორც ანტიკური ფორმაციისთვის (საბერძნეთი, რომი), ისე ფეოდალური ფორმაციისათვისაც. (ჩინეთი, იაპონია, რუსეთი, გერმანული სახელმწიფოები, ფრანკთა მონარქია, ინგლისი, ეგვიპტე, სპარსეთი, ოსმალეთი, საქართველო); და რომ ეს ასეა სჩანს მ ა რ ქ ს ი ს ა და ე ნ გ ე ლ ს ი ს როგორც 1859 წლამდე, ისე მას შემდეგ

დროინდელი, და განსაკუთრებით პირველყოფილი საზოგადოების აღმოჩენის მერმინდელი ნაწერებიდან.

ამის საბოლოოდ დასამტკიცებლად მოვიყვანოთ კიდევ რამოდენიმე საბუთი მ ა რ ქ ს ი ს ა და ე ნ გ ე ლ ს ი ს ნაწერებიდან.

1843 წელს მ ა რ ქ ს ი სწერდა კერძო საკუთრების ინსტიტუტის წარმოშობაზე რომაულ და გერმანულ ქვეყანაში „მეტისმეტად ჭკუის მასწავლებელი იქნება, რომ აქ გავიყვანოთ ერთი და იმავე ინსტიტუტის განვითარების პარალელი ამ ორ პოლუსს შორის... წინააღმდეგ გერმანული მაიორატისა და სხვ. რომში ა ნ დ ე რ ძ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა წარმოადგენს შედეგს კერძო საკუთრებისა. ამ უკანასკნელ წინააღმდეგობაში მდგომარეობს მ თ ე ლ ი განსხვავება კერძო საკუთრების განვითარების რომაულ და გერმანულ ტიპს შორის“<sup>29</sup>.

1845 წელს მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი სწერენ: „საკუთრების პირველი ფორმა, როგორც ანტიკურ მსოფლიოში, ისე საშუალო საუკუნეებში (ე. ი. ფეოდალურ ურთიერთობაში – პ. გ.) ე ს ა რ ი ს ტ ო მ უ რ ი (ე. ი. პირველყოფილი სასოფლო თემური) საკუთრება, რომელიც გამოწვეული იყო რომაელებში უმთავრესად ომით, ხოლო გერმანელებში – მეჯღოგეობით“<sup>30</sup>.

1858 წელს მ ა რ ქ ს ი სწერს, რომ „რომაული და გერმანული კერძო საკუთრების სხვადასხვა პირვანდელი ტიპები შეიძლება ინდური საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან იქნეს გამოყვანილი“<sup>31</sup>.

1867 წელს დამთავრებულ „კაპიტალში“ ვკითხულობთ: „წვრილი გლეხური მეურნეობა და დამოუკიდებელი ხელოსნური წარმოება ნაწილობრივად ფეოდალური წარმოების წესის საფუძველს შეადგენს, ნაწილობრივად მისი დაშლის შემდეგ კაპიტალისტურ წარმოებასთან განაგრძობს არსებობას. ამავე დროს ისინი კლასიკური საზოგადოების საფუძველს შეადგენენ მისი აყვავების ხანაში, როდესაც უკვე დაშლილი იყო აღმოსავლეთის პირვანდელი სათემო მფლობელობა, ხოლო მონობას ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად არ დაეპყრო წარმოება“<sup>32</sup>.

ახლა უკვე პირველყოფილი საზოგადოების აღმოჩენის მერმინდელი ნაწერებიდან (ლ. მ ო რ გ ა ნ ი ს წიგნი გამოიცა 1877 წელს).

1881 წელს ვ ე რ ა ზ ა ს უ ლ ი ჩ ი ს ა დ მ ი მიწერილი წერილის პირველ თავში მ ა რ ქ ს ი ს წერდა: „სასოფლო თემი გერმანიაში წარმოიქმნა (ამოხეტა) უფრო არქაიული ტიპის თემიდან. ის მასში წარმოსდგა როგორც პროდუქტი დამოუკიდებელი განვითარებისა, და სრულებითაც არ იყო მზა სახით მოტანილი აზიიდან. იქ – აღმოსავლ ინდოეთში – მას ვხვდებით აგრეთვე, და ყოველთვის როგორც ფორმას უკანასკნელი ეტაპისა ანუ არქაიული ფორმაციის (ე. ი. პირველყოფილი ფორმაციის – პ. გ.) უკანასკნელი პერიოდისა“<sup>33</sup>; კიდევ სხვა ადგილას, მ ა რ ქ ს ი ს წერს: სასოფლო თემი არის რა საზოგადოების პირველადი წარმონაქმნის უკანასკნელი ფაზისი, იმავე დროს არის გარდამავალი ფაზისი მეორედი წარმონაქმნისაკენ, ე. ი. გარდამავალი ფაზისი საზოგადოებიდან, რომელიც დამყარებულია საერთო საკუთრებაზე საზოგადოებისაკენ, რომელიც დამყარებულია კერძო საკუთრებაზე. მეორედი წარმონაქმნი, იგულისხმება შემოიცავს რიგს საზოგადოებათა, რომელნიც დამყარებულნი არიან მონობაზე და ბატონყმობაზე. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ სასოფლო თემის ისტორიულ გზამ ფატალურად (აუცილებლად – პ. გ.) უნდა მიგვიყვანოს ამ გამოსავალზე? სრულებითაც არა. მ ი ს ი თ ა ნ დ ა ყ ო ლ ი ლ ი დ უ ა ლ ი ზ მ ი (ორადობა პ. გ.) შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ს ხ დ ი ს ა ლ ტ ე რ ნ ა ტ ი ვ ა ს (ორში ერთის არჩევის აუცილებლობას – პ. გ.): ან საკუთრების საწყისი იმარჯვებს მასში კოლექტიურ საწყისზე, ანდა უკანასკნელი იმარჯვებს პირველზე. ყოველივე დამოუკიდებელია ისტორიულ გარემოზე, რომელშიც იგი იმყოფება“.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? მხოლოდ იმას, რომ როგორც მონობაზე დამყარებული, ასევე ყმის შრომაზე დამყარებული საზოგადოება, ე. ი. როგორც ანტიკური ისე ფეოდალური ფორმაცია წარმოადგენენ „მეორედ წარმონაქმნებს“, ე. ი. როგორც პირველი, ისე მეორე წარმოიშობა პირველყოფილი ფორმაციის რღვევის სხვადასხვა ფორმებიდან, სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა პირობებში; რადგან პირველყოფილი ფორმაციის უკანასკნელ პატრიარქალურ სტადიას (სასოფლო თემს) ახასიათებს თანდაყოლილი დუალიზმი.

ამ საკითხში მ ა რ ქ ს ი ს ა და ე ნ გ ე ლ ს ი ს სხვარიგად გაგება ეწინააღმდეგება მთელ საფუძვლებს მათი მო-

ღვრებისა. საქმე იმაშია, რომ ანტიკური ფორმაცია გაიარეს მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე მდებარე ძველ კულტურულ ქვეყნებში „მაგალითად, ძველ საბერძნეთში და რომში, რომლებიც, როგორც სწერს ლენინი, მთლიანად დამყარებულნი იყვნენ მონობაზე“<sup>34</sup>; თუმცა მონობა (პატრიარქალური ფორმით) გაიარეს თითქმის ყველა ხალხებში, მაგრამ როგორც მეურნეობის ყველა დარგებში გაბატონებული წესი წარმოებისა, ის უცნობია აღმოსავლეთში, სადაც იყო განვითარებული საოჯახო მონობა, რაც როგორც მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი სწერენ არც კი მიიღება მხედველობაში, როდესაც ლაპარაკია საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებზე. ამგვარად, იმ ქვეყნებში, რომლებსაც არ გაუვლიათ მონური ფორმაცია, როგორც მეორედი წარმონაქმნი, ჩვენ გვაქვს ფეოდალური ფორმაცია, როგორც მეორედი წარმონაქმნი, ე. ი. როგორც ურთიერთობა, რომელიც წარმოიშვება პირველყოფილი ფორმაციიდან.

ყოველივე ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რადგან ჩვენს სინამდვილეში მოიპოვებიან „კრიტიკულად“ მოაზროვნე „ისტორიკოსები“, რომლებსაც ეს ჭეშმარიტება დღემდე ვერ გაუვლიათ და, რომლებიც, ამგვარად არაპირდაპირ იცავენ აზიური ფორმაციის განსაკუთრებულობას. ეს ის ხალხია, რომლებსაც – დაოს ჩ უ ა ნ – ც ზ ი ს მსგავსად, რომელიც სიზმარსა და სინამდვილეს შორის ვერ ერკვეოდა,<sup>35</sup> – თავისი უბადრუკი უმეცრება და ლაყვ ტვინით ნაბოდვარი მარქსიზმ-ლენინიზმი ჰგონია. ასეთ „ისტორიკოსს“ ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ ვუთხრათ ის სიტყვები, რომლებიც თავის დროზე ფრ. ე ნ გ ე ლ ს მ ა კ. მ ა რ ქ ს ი ს „კრიტიკოს“ ლ უ ი ო ბ რ ე ნ ტ ა ნ ო ს მსგავსი მოქმედებისათვის გაუმეორა: „Asinus manebis in secula seculorum!“

ასე მაგალითად, უნდა აღინიშნოს, რომ ა. ვ. შმიდტი თავის შრომაში – „პირველყოფილ საზოგადოებაზე მარქსის შეხედულებათა განვითარების შესახებ“ – დაასკვნის, რომ მორგანის წიგნის გამოსვლის შემდეგ, სახელდობრ 1881 წელს ვერა ზასულიჩისადმი მიწერილი წერილების შავებში მარქსი თითქოს იცავს „აზიური ფორმაციის“ როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმას. ამ თავის „კვლევა-ძიებაში“ შმიდტი იქამდეც კი მიდის, რომ „თანაგრძნობით“ ამხელს ენგელსის „შეცდომებს“. იგი სწერს: „ენგელსი რამოდენიმედ სცდებოდა“, როდესაც „კო-

მუნისტური პარტიის მანიფესტის“ დებულებას, რომ „ისტორია დღემდე არსებული მთელი საზოგადოებისა არის კლასთა ბრძოლის ისტორია“, უკეთებდა ცნობილ შენიშვნას იმის შესახებ, რომ იგი შეეხება მხოლოდ წერილობით გადმოცემულ ისტორიას. შმიდტის აზრით, პირველყოფილი საზოგადოებრივი ფორმა მარქსსა და ენგელსს თავდაპირველად (ე. ი. „მანიფესტის“ შედგენის პერიოდში) წარმოედგინათ, როგორც კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოების კლასობრივი ისტორია. მაშასადამე, თითქოს მათი წარმოდგენით კლასები და კერძო საკუთრება ყოველთვის არსებობდა.

მაშინ, როდესაც იმავე წელს ენგელსის მიერ დაწერილ „კომუნისმის პრინციპებში“, რომელიც ერთგვარი პროტოტიპია „კომუნისტური მანიფესტისა“, ნათქვამია: „ყოველგვარი ცვლილება საზოგადოებრივ წყობილებაში, ყოველი გადატრიალება საკუთრების პირობებში წარმოადგენენ აუცილებელ შედეგს ახალ საწარმოო ძალთა განვითარებისა, რომლებიც არ შეესაბამებიან საკუთრების ძველ ურთიერთობათ. ამგვარად წარმოიშვა კერძო საკუთრებაც, რომელიც აგრეთვე ყოველთვის არ არსებობდა“ (იხ. „Cor.“ V, 473). ამასთანავე ერთად, მარქსის მიერ სამოციანი წლების დასაწყისში (1853) დაწერილ წერილებში ინდოეთის შესახებ მრავალჯერაა მოცემული მიწის საერთო საკუთრებაზე დამყარებული პირველყოფილი თემების დახასიათება. ხოლო იმავე წელს იმავე გაზეთში (ნევ-იორკის ტრიბუნა) დაბეჭდილ წერილში ინგლისის შესახებ კ. მარქსი სწერდა: „კლანში (ე.ი. საგვარეულო თემში – პ. გ.) ყოველ შემთხვევაში მიწა წარმოადგენს საკუთრებას გვარისა, რომლის შიგნით, სისხლით ნათესაობის მიხედვით, არსებობენ ისეთი განსხვავებანი საზოგადოებრივ მდგომარეობაში, როგორც ყველა ძველ აზიურ საგვარეულო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში“ აქ გარდა იმისა, რომ მარქსი პირდაპირ ლაპარაკობს მიწის საზოგადოებრივ ე.ი. თემურ (კლანურ) და არა კერძო საკუთრებაზე, ამასთანავე ერთად აღნიშნავს, რომ კლანური (ე.ი. შოტლანდური გვარის) სისტემა ისევეა ორგანიზებული, როგორც ძველი აზიური საგვარეულო საზოგადოებანი. მაშასადამე, აქედან ასე აშკარად სჩანს აგრეთვე ფეოდალიზმისა და ე.წ. „აზიური საზოგადოების“ იგივეობაც. ამაში მკითხველი მით უფრო დარწმუნდება, როდესაც იგი იმავე წერილ-

ში გაეცნობა, თუ როგორ აგვიწერს ქვემოთ მარქსი შოტლანდური კლანების საფუძველზე, ე.ი. პირველყოფილი საგვარეულო წყობილების საფუძველზე ფეოდალური ურთიერთობის განვითარებას.

შემდეგ სამოციანი წლების მიწურულს (1858) თავის „პოლიტ. ეკონომიის კრიტიკისათვის“-ში მარქსი სწერდა: „დასასრულ, თემური შრომა მისი ბუნებრივად აღმოცენებული ფორმით, როგორც ჩვენ მას ყველა კულტურულ ხალხთა ისტორიის ბჭეზე ვპოულობთ. აქ შრომის საზოგადოებრივი ხასიათი, ცხადია, წარმოსდგება არა იმ გზით, რომ ცალკე ინდივიდუუმის შრომა საყოველთაობის აბსტრაქტულ ფორმას, ანუ მისი პროდუქტი საყოველთაო ეკვივალენტის ფორმას იღებს. აქ წარმოების წინამძღვარია თემური წყობილება, რაც ხელს უშლის, რომ ცალკე პიროვნების შრომა კერძო შრომად და მისი პროდუქტი კერძო პროდუქტი იყოს, და რის გამოც ცალკე შრომა, უფრო, გვევლინება უშუალოდ როგორც საზოგადოებრივი ორგანიზმის წევრის ფუნქცია“. რას ნიშნავს ყოველივე ეს მხოლოდ ამას, რომ ამ შემთხვევაში კ. მარქსი ჩვენ აგვიწერს კოლექტიურ საწყისებზედამყარებული საზოგადოებრივ ურთიერთობას.

მაგრამ ჯერ კიდევ „გერმანულ იდეოლოგიაში“ (1845) მარქსი და ენგელსი სწერდნენ: „კერძო სამართალი ვითარდება პარალელურად კერძო საკუთრებისა, ბუნებრივად განვითარებული კოლექტიურობის დაშლის პროცესიდან, რომლებშიც კერძო საკუთრების და კერძო სამართლის განვითარებას არ ქონდა შემდგომი სამრეწველო და სავაჭრო შედეგები რადგან მათი წესი წარმოებისა უცვლელი რჩება. თანამედროვე ხალხებში, რომლებშიც ფეოდალური საზოგადოებრივობა გახრწნეს მრეწველობამ და ვაჭრობამ, კერძო საკუთრებისა და კერძო სამართლის წარმოშობით დაიწყო ახალი ფაზა, რომელიც შემდგომი განვითარების უნარიანი აღმოჩნდა. შემდეგ აქვე მარქსი და ენგელსი არა ერთხელ ლაპარაკობენ თემურ და ტომურ საკუთრებაზე, მაგალითად: „პირველი ფორმა საკუთრებისა, როგორც ანტიურ ქვეყნებში, ისე საშუალო საუკუნეებში, ეს არის – ტომური საკუთრება“, ე.ი. თემური საკუთრება, კოლექტიური საკუთრება, რაც დამახასიათებელია პირველყოფილი კომუნისტური ფორმაციისა.

ამგვარად, აქედან ის აზრი გამომდინარეობს, რომ ენგელსის სიტყვები: „1847 წელს თითქმის სრულიად უცნობი იყო პირველ-

ყოფილი საზოგადოების ისტორია”, როდი ნიშნავს იმას, რომ იგი სავსებით უცნობი იყო. მორგანის შრომამ (1877), როგორც ღვნიშნე, აუარებელი ფაქტიური მასალების თავმოყრით ხელი შეუწყო მარქსსა და ენგელსს მხოლოდ საბოლოოდ ჩამოეყალიბებინათ, მეტი კონკრეტიზაცია შეეტანათ, მათ მიერ კერძო საკუთრებისა და კლასების წარმოშობის შესახებ, უკვე დიდი ხნის წინათ განვითარებული შეხედულებისათვის.

მაგრამ შმიდტი კიდევ შორს მიდის ის მარქსსა და ენგელსს სამოციან წლებამდე ბიოლოგისტებადაც კი აცხადებს, რომლებიც ცხოველთა და ადამიანთა საზოგადოებას ერთმანეთში ურევენ! ჩვენმა „კრიტიკოსმა“ აქ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მართლაც რომ „საჭირო არაა ინდოელი იყოს კაცი, რომ თაყვანი სცეს ძროხა-საბაღს და იუპიტერი იყოს, რომ ხარად გადაიქცეს!”

ახლა მოუსმინოთ ფრ. ენგელსს, თუ რას სწერს იგი ამავე სასკითხზე ლუის მორგანის წიგნის გამოსვლის შემდეგ, როდესაც თავისი „ოჯახის... წარმოშობის” სახით კიდევ განავითარა მარქსიზმის მოძღვრება საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებზე: „მორგანის უდიდესი დამსახურება იმაშია, რომ მთავარ ხაზებში აღმოაჩინა და აღადგინა ჩვენი წერილობითი ისტორიის ეს პრეისტორიული საფუძველი და აღადგინა ჩვენი წერილობითი ისტორიის ეს პრეისტორიული საფუძველი და ჩრდილო ამერიკელი ინდიელების გვაროვნულ კავშირებში იპოვა გასაღები, რომელიც უბედურების ბერძნული, რომაული (ე.ი. ანტიკური – პ. გ.) და გერმანული (ე.ი. ფეოდალური – პ. გ.) ისტორიის უმნიშვნელოვანეს დღემდე გადაუჭრელ ამოცანებს ხსნის”.

მაშასადამე, რა აღმოაჩინა მორგანმა? – მან აღმოაჩინა პირველყოფილი საზოგადოება, ხოლო ეს უკანასკნელი კი წარმოადგენდა გასაღებს ანტიკური და ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის მანამდე გადაუჭრელ ამოცანისა. თუმცა, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, მარქსსა და ენგელსს ისტორიულ მოვლენებში გარკვევის მათმა უდიდესმა გნიალობამ, რაიც გამოძინარეობდა მათ მიერვე შექმნილ ისტორიის დიალექტიკურ მატერიალური გაგებისაგან, შესაძლებლობა მისცა მორგანს ეპოქის შექმნილ აღმოჩენამდეც ვთქვათ, რომ ანტიკური და ფეოდალურისაკუთრება წარმოიშვენ ტომური საკუთრებიდან, რომ რომაული და გერმანული საკუთრების სხვადასხვა პირვანდელი



ტიპები შეიძლება ინდური (პირველყოფილი) საკუთრების სხვადასხვა ფორმებიდან იქნეს გამოყვანილი“. ე. ი. მორგანის აღმოჩენამ მხოლოდ საბოლოოდ გაამართლა მარქსისა და ენგელსის მიერ დიდი ხნით ადრე წამოყენებული შეხედულება („შეიძლება...იქნეს გამოყვანილი“), რომელსაც ისინი მანამდეც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში იცავდნენ.

გამოირკვა, რომ პირველყოფილი სასოფლო თემი და მასზე უფრო ადრე საგვარეულო თემი, რომლის მხოლოდ ინდური ტიპი იყო მანამდე ცნობილი, ყოფილა არა სპეციფიურად აზიური, არამედ საყოველთაო მოვლენა.

ამგვარად, როგორც ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი სწერს:

„ნამდვილად მიწის თემური მფლობელობა წარმოადგენს ინსტიტუტს, რომელიც გვხვდება განვითარების დაბალ საფეხურზე ყოველ ინდოგერმანულ ხალხებში ინდოეთიდან ირლანდიამდე და იმ ხალხებშიც, რომლებიც ინდოეთის გავლენის ქვეშ ვითარდებოდნენ, მაგ., ი ა ვ ა ზ ე. კიდეც 1608 წ. თემური მიწათმფლობელობა, რომელიც არსებობდა ირლანდიის ახლად დაპყრობილ ჩრდილოეთში, ინგლისელებს ემსახურებოდა საბაბით, რომ მიწა გამოეცხადებიათ არავის კუთვნილებად და როგორც ასეთის მისი კონფისკაცია ექნათ ხაზინის სასარგებლოდ. ინდოეთში დღემდე არსებობს მთელი რიგი თემური საკუთრების ფორმებისა, გერმანიაში ის იყო ყოველგან: დასავლეთ ევროპაში და აგრეთვე პოლონეთში და მალდოროსიაში თემური მფლობელობა განვითარების გარკვეულ საფეხურზე შეიქმნა ბორკილად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და სულ უფრო და უფრო ისპობოდა. ვ ე ლ ი კ ო რ უ ს ე თ შ ი ს დღემდე შენარჩუნებულ იქნა და უწინარეს ყოვლისა წარმოადგენს იმის მოწამეს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მისი შესაბამისი სოფლის საზოგადოებრივი პირობები იმყოფებიან აქ კიდეც ძლიერ დაბალ საფეხურზე, რაიც მართლაც ასე არის. რუსი გლეხი ცხოვრობს და შრომობს მხოლოდ თავისი თემის ფარგლებში; მთელი დანარჩენი ქვეყანა მისთვის არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის ერევა ამ მის თემში... და ეს იმ ხარისხით, რომ სრულიად ერთი და იგივე სიტყვა „Мир“ ნიშნავს ერთის მხრივ მსოფლიოს და მეორეს მხრივ „გლეხთა თემს“. მთელი „Мир“ - ი, მთელი მსოფლიო გლეხისათვის ნიშნავს თემის წევრთა კრებას...

ასეთი სრული ცალკეულობა ერთმანეთშორის ცალკე თემებისა, რომელიც ჰქმნის მთელ ქვეყანაზე, თუმცა ერთგვარ, მაგრამ ამავე დროს პირდაპირ დაპირისპირებულ საზოგადოებრივ ინტერესებს, წარმოადგენს ბუნებრივ საფუძველს აღმოსავლეთის დესპოტიისა და ინდოეთიდან რუსეთამდე, ეს საზოგადოებრივი ფორმა, იქ სადაც ის მოვევლინა გაბატონებულად, ყოველთვის შობდა ასეთს“<sup>36</sup>.

მაშასადამე, აღმოჩნდა, რომ, როგორც ე ნ გ ე ლ ს ი შენიშნავს „კომუნისტური მანიფესტის“ მერმინდელ გამოცემაში, – „სოფლის თემი საერთო მიწათმფლობელობით იყო პირველყოფილი ფორმა საზოგადოებისა ინდოეთიდან დაწყებული ირლანდიამდე“. ხოლო მათი შემდგომი განვითარების თავისებურება იმაშია, რომ სადაც ძველი თემი გადარჩა, იგი ათასი წლების განმავლობაში უტლანქესი სახელმწიფოებრივი ფორმის, აღმოსავლური დესპოტიზმის საფუძველს წარმოადგენს ინდოეთიდან რუსეთამდე. მხოლოდ იქ, სადაც იგი დაიშალა, ხალხები წინ წავიდნენ დამოუკიდებლად და მათი უახლოესი ნაბიჯი ეკონომიური პროგრესის გზაზე მდგომარეობდა წარმოების გაძლიერებასა და განვითარებაში მონური შრომის შემწეობით.

მაგალითად, რუსულ თემმა იარსება მთელი საუკუნეები ისე, რომ მისგან არასოდეს არ გამოვლინებულა მისწრაფება თვით თავისთავისაგან განვეითარებია მაღალი ფორმა საზოგადოებრივი საკუთრებისა; ის აქ არ არის ისევე, როგორც არ იყო გერმანულ მარკაშიაც, კელტურ კლანშიაც, ინდურ და სხვა თემებშიაც პრიმიტიულ-კომუნისტური წყობილებით. ყველა ისინი დროთა ვითარებაში, გავლენით მათი გარშემომცველი, ანუ თვით მათ საკუთარ წიადში წარმოშობილ და თანდათან მათში გამჯდარი საქონლური წარმოებისა და გაცვლისა, ცალკე ოჯახებსა და ცალკე პირებს შორის. სულ უფრო და უფრო ჰკარგავდნენ თავიანთ კომუნისტურ ხასიათს და იქცეოდნენ ურთიერთის მიმართ დამოუკიდებელ მიწათმფლობელ თემებად.

ყოველივე აქედან იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ პირველყოფილ ფორმაციის აღმოჩენის შემდეგ ე. წ. „აზიური ფორმაცია“ ეკუთვნის უკვე არა მარქსიზმის მეთოდოლოგიის, არამედ მარქსიზმის ისტორიის საკითხს, ხოლო აქამდე მ ა რ ქ ს ი ს ა და ე ნ გ ე ლ ს ი ს ნაშრომებში „აზიური წარმოების

წესის“ ქვეშ მოცემული დახასიათებანი და ანალიზი საზოგადოებრივი განვითარებისა უნდა გაგებულ იქნას იმგვარად, რომ მისი ის მხარეები, რომლებიც მოცემულია საერთო მიწათმფლობელობაზე დამყარებული საგვარეულო და ნაწილობრივ სასოფლოთემის სახით, – რასაც მ ა რ ქ ს ი ხშირად „ძველ-ჩინურსაც“ უწოდებს. – წარმოადგენს პირველყოფილი ფორმაციის, სახელდობრ მისი უკანასკნელი სტადიის, როდესაც უკვე მოცემულია ექსპლოატაციის ასე თუ ის გარკვეული ფორმების თავისებურებათა დახასიათებას; მთელი დანარჩენი ნაწილი კი თავისთავად ცხადია, მიეკუთვნება აღმოსავლეთურ ხალხებში (ჩინეთი, ინდოეთი) განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის სპეციფიკურობათა დახასიათებას.

დასასრულ, უნდა დავსძინოთ, რომ წინასიტყვაობის ფარგალი სამწუხაროდ საშუალებას არ იძლეოდა ეს დასკვნა კიდევ ერთხელ დაგვემტკიცებინა თანამედროვე ისტორიოგრაფიის განკარგულებაში მყოფი ფაქტიური მასალებით – კონკრეტული ისტორიით: ცხადია იმედს ვერ შეველევი, რომ ახლო მომავალში საშუალება მექნება ამ საკითხზე ჩემს ხელში დაგროვილი მასალები წარუდგინო დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას.

1. Сунь-Ят-Сен \_ „Записки китайского революционера“, 1926, 133.
2. Сунь-Ят-Сен \_ „ Капиталистическое развитие Китая“, 1925. М. 192.
3. К. Маркс и Энгельс \_ „ Сочинения“, IV. 1933. 12, 52; „ Архив“, 1, 254.
4. იხ. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი – „წერილები“ ტფ. 103-104, К. Маркс и Энгельс \_ „ Сочинения“, IX, 347-348.
5. К. Маркс \_ „Капитал“, III, II, 1930, 137.
6. კ. მარქსი „კაპიტალი“ 1933 ტფ. 283, 288.
7. კ. მარქსი „კაპიტალი“, I, 1930, 460.
8. ფრ. ენგელსი – „ანტიდიურიზმი“, 1933, ტფ. 143.
9. Плеханов Г. В., \_ „ Сочинения“, XVIII, 1925, 216; არის ქართული თარგმანიც. პლექსანოვი – „მარქსიზმის ძირითადი საკითხები“, მეორე გამოცემა, 1931, ტფ. 62-64.
10. Ленинский сборник , XII, 1931 157.

11. Г. Сальвиоли \_ "Капитализм в античном мире" 1923, Харьков.
12. К. Бюхер \_ "Возникновение народного хозяйства", 1923 М.
13. К. Каутский \_ "Материалистическое понимание историй" т. II. 1931.
14. Ленин \_ "Сочинения", IX, 410.
15. ვ. ლენინი – „თხზულებანი“, III, 1930, ტფ. 580; აგრეთვე: 51, 153, 169-231, 425 და სხვ.
16. Ленин \_ "Сочинения", XV, 101; კურსივი ყველგან ჩვენია.
17. Ленин \_ "Сочинения", XVI, 459.
18. Ленин \_ "Сочинения", XXVI, 428, 430.
19. Ленин \_ "Сочинения", XVI, 428.
20. Сталин \_ "Об оппозиции", 562.
21. ი. სტალინი – „ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივები“, 1927, ტფ. გვ. 2 და 25.
22. Сунь-Ят-Сен \_ "Капиталистическое развитие Китая", 24-26.
23. კ. მარქსი „კაპიტალი“ I, თავი XIV, 457, თავი V, 140.
24. К. Маркс \_ "Капитал.", III, II, 267. კურსივი ჩვენია.
25. პ. გუგუშვილი – „ეკონომიური ფორმაციებისათვის“, 1933, 16-24.
26. К. Маркс \_ "критика философии государственного права Гегеля " (К Маркс и Энгельс \_ "Сочинения:, I, 1928, 557 ).
27. კ. მარქსი \_ „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, 1932, 42, 30.
28. Маркс \_ "Теории прибавочной ценности", 1924, III, 329, 324.
29. Маркс и Энгельс \_ "Сочинения ", I, 635.
30. Маркс и Энгельс \_ "Сочинения", IV, 1933, 452.
31. კ. მარქსი \_ პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, 1932, 54.
32. კ. მარქსი „კაპიტალი“ I, 288.
33. "Архив Маркса и Энгельса", I, 272.
34. Ленин \_ "Сочинения", XXIV, 374.
35. ჩინური იგავი დაოს (ქურუმ) ჩუან-ცზის შესახებ: როგორღაც ძილში ჩუან-ცზის თავისი თავი პეპელად დაესიზმრა; იგი დაფრინავდა ყვავილებზე და არ იცოდა, რომ ნამდვილად არის ჩუან-ცზი. როდესაც ბოლოს გაიღვიძა მან ვერაფრით

ვერ შესძლო გადაეწყვიტა საკითხი: ჩუნ-ცზიმ სიზმარში დაინახა, რომ ის პეპელაა, თუ ესლა პეპელას ესიზმრება, რომ ის ჩუნ-ცზია? და ხომ არ იყო აქ უბრალო ორი გადაქცევა რაღაც ერთარსებაში?

36. Энгельс \_ „Очерки социальной жизни России“, 13-14 და 22-23.

„აზიური წარმოების წესის“ გარშემო წარმოებული დისკუსიის ლიტერატურა:

**Е. Иолк** \_ „К вопросу об азиатском способе производства“ („N. S. M.“, 1931, №3);

**С. М. Дубровский** \_ „К вопросу о сущности азиатского способа производства феодализма крепостничества и торгового капитала“, 1829; „Спорные вопросы методологии истории“ 1930; „Против механических тенденций в исторической науке“, 1930; „Дискуссия об азиатском способе производства“, 1931; „Об азиатском способе производства“, 1930;

**Е. Иолк** \_ „К вопросу об основах общественного строя древнего Китая“, 1933;

**Фокс** \_ „Взгляды Маркса и Энгельса на азиатский способ производства и их источники“ („Л. М.“, XIII);

**Л. Мадьяр** \_ „К вопросу о Марксовом учении об общественных формациях“;

**Л. Мадьяр** \_ „Очерки по экономике Китая“, 1931;

**Л. Мадьяр** \_ „Экономика сельского хозяйства в Китае“, 1932;

**А. И. Штуссер** \_ „Маркс и Энгельс об Индии“, 1930;

**Б. И. Равдоникас** \_ „К вопросу о социологической периодизации палеолита в связи с взглядами Маркса и Энгельса на первобытное общество“ (Известия ГАИМК т. IX, вып 2);

**А. Шмидт и Равдоникас** \_ „О развитии взглядов Маркса на первобытное общество“, 1931;

**Кокин и Папаян** \_ „Цзин-Тянь“, 1930;

**Бернштам и Кричевский** \_ „К вопросу о закономерности развития архаической формации“, 1933;

- А. Таксер** \_ Проблемы общественно-эконом формации (1932 „N. S. M.“, №2);
- Сафаров** \_ „Классы и классовая борьба в истории Китая“;
- А. Ефимов** \_ „Концепция экономикических формаций у Маркса и Энгельса и их взгляды на структуру восточных обществ“ („Историк Марксист т. 16);
- Эж. Паппер** \_ „Европейско-американский империализм и китайская контрреволюция“ („Правда“ от 1/ V);
- М. Варга** \_ „Перспективы китайской революции“;
- Генрих Я-н** \_ „К вопросу о пережитках феодализма в современном Китае“ ;
- И. Смирнов** \_ „Против попытки ревизии марксистско-ленинского учения о социально-экономических формациях“;
- Е. Кричевский** \_ „Больше марксистско-ленинской четкости в истории доклассового общества“ (Сообщения ГАИМК, №11-12);
- პ. გუგუშვილი – „სახალხო მეურნეობის ისტორია“, განაკვეთი I, 1930;
- პ. გუგუშვილი – „ტექნიკის მარქსისტულ ისტორიის შესახებ“, 1932;
- პ. გუგუშვილი – „ეკონომიური ფორმაციებისათვის“, 1933.

პაატა გუგუშვილი  
1933. 1. 20  
ტფილისი.





აკადემიკოსი  
ვასილ ჩანტლაძე  
(1905-1995)





საერთაშორისო აღიარების მქონე ქართველი ფინანსისტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსები კათედრის გამგე, აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე ქართული ფინანსური სკოლის გამორჩეული მოღვაწეა. ის იყო დიდი მეცნიერი და შესანიშნავი პედაგოგი. მას ქართველ ფინანსისტთა არაერთი თაობა ჰყავს გამოზრდილი.

საყურადღებოა, რომ აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძეს ცნობილი მონოგრაფია “ფინანსების თეორია” ითარგმნა ჩინურ ენაზე და გამოიცა ჩინათში, რაც მისი ნაშრომის დიდი აღიარების მაჩვენებელი იყო.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო თუ კვლევით დაწესებულებებში წარმატებით აგრძელებენ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ბ-ნი ვასილის მოწაფეები.

აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი



აკადემიკოს  
პასილ  
ჩანტლაძის  
ცხოვრება და  
მოღვაწეობა



მეცნიერების ჭეშმარიტი რაინდი – ძალიან მოკლედ, ამ სამი უაღრესად ტყვადი სიტყვით შეიძლება დავახასიათოთ ვასილ ჩანტლაძე, ჩინებული მასწავლებელი და აღმზრდელი, შესანიშნავი მეგობარი და სამაგალითო მამულიშვილი. რაინდობა კი მეცნიერებაში თავისთავად გულისხმობს მძლავრ ინტელექტუალურ სირმესთან და სიმაღლესთან ერთად უზარმაზარ, ამოუწურავ სულიერ და ზნეობრივ ენერჯიას, რომელიც სათავეს იღებს პროფესიონალური მოღვაწეობისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და თავდადების საერთო წიაღიდან.

ბუნებას ვ. ჩანტლაძისათვის არაფერი დაუშურებია, არც ფენომენალური ნიჭი და უნარი, არც დაუშრეტელი სასიცოცხლო ენერჯია და ახლის ძიების დაუცხრომელი წყურვილი. ამით აიხსნება ის მარტლაც იშვიათი მღვთმარეობა, რომ ბატონი ვასილი ერთადერთი ქართველი ეკონომისტია, რომელიც უაღრესად ნაყოფიერი მეცნიერ-პედაგოგიური ცხოვრებით სუნთქავდა 70წლის მანძილზე და 90 წლის ასაკში ჭაბუკურიგატაცებით ეწეოდა აქტიური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მძიმე და საპატიო ჭაპანს.

ღიას! ასეთი ცხოვრება არის შეუვალი და უკომპრომისო ბრძოლა ამადლებული მიზნის მისაღწევად, ჭეშმარიტების დასადგენად და ნამდვილად ბედნიერია ვასილ ჩანტლაძე, როგორც მეცნიერი და პედაგოგი, რომელმაც არსებობის ყოველი წუთი ასეთ ბრძოლაში მოპოვებული, ბრწყინვალე გამარჯვებებით დააგვირგვინა. ბედნიერები ვართ ჩვენც, მისი ახლობლები, მოწაფეები, მეგობრები და კოლეგები, რამეთუ კარგად ვიცით, ვისთვის უნდა მიგვებაძა, რა გზით უნდა გვევლო, ვინ მიგვეჩნია ჩვენი ცხოვრებისა და შემოქმედებითი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ნიმუშად.

მან თავისი ცხოვრებით და მოღვაწეობით ცხადად გვიჩვენა, რომ ნებისმიერი მეცნიერისადმი ფართო საზოგადოების პატივისცემასა და სიყვარულს, აღიარებასა და მოკრძალებას მთლიანად, განაპირობებს მკვლევარში დიდი მეცნიერული ცოდნისა და მაღალი ადამიანური უნარ-ჩვევების ჰარმონიული შეერთება, როგორც დიდი ილია ბრძანებს: „გაწვრთნილი ზნე-ხასიათისა და განვითარებული გონების შეუღლება“. ამიტომაც, ბატონი ვასილი ნამდვილი მასწავლებელი, ბრძენი მოძღვარი, ადამიანის სულიერ

სამყაროში ღრმად ჩახედული კაცი იყო, რომელსაც საოცრად ემარჯვებოდა შეუცდომლად განესაზღვრა თავისი მოსწავლეების შესაძლებლობები, მათი მისწრაფებები და მიდრეკილებები და მიეცა მათთვის განვითარებისა და განმტკიცების ფართო ასპარეზი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ხომ ქართველ ეკონომისტ – მეცნიერთა მთელი თაობა აღიზარდა, რომლებმაც მნიშვნელოვანი მიღწევებით საყოველთაო პატივი და აღაირება მოიპოვეს. ბატონი ვასილის ხელმძღვანელობით დაცული მრავალრიცხოვანი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია ამის უტყუარი საბუთია.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბატონი ვასილი აღმოჩნდა თავისი დიდი მასწავლებლის, ქართული ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის – ფილიპე გოგინაიშვილის ღირსეული მოწაფე, სახელოვანი მიმდევარი და მისი ტრადიციების თანმიმდევრული გამგრძელებელი და განმავითარებელი.

ვასილ ჩანტლაძე დაიბადა 1905 წლის 8 იანვარს ქ. ზესტაფონში. საშუალო განათლება საქვეყნოდ ცნობილ თბილისის ვაჟთა I გიმნაზიაში მიიღო, სასწავლებელში, სადაც აღიზარდა ქართველი ხალხის სახელოვან შვილთა მთელი პლეადა. გიმნაზიის დამთავრებისთანავე, 1923 წელს, იგი ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. სწორედ აქ, ეროვნული კადრების დიდ სამჭედლოში, გამოამუღავნა ბატონმა ვასილმა განსაკუთრებული ინტერესი, ალლო და ნიჭი მეცნიერული კვლევისადმი. მალე თავისი მასწავლებლის, ფილიპე გოგინაიშვილის ყურადღებაც მიიპყრო და მისი წინადადებით, 1927 წელს, უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, დატოვებულ იქნა იქვე, როგორც მომავლის მქონე პერსპექტიული ახალგაზრდა. დიდი მეცნიერისა და პატრიოტის ეს იმედი მალე გამართლდა. სულ რაღაც სამ წელიწადში ბატონი ვასილი აქვეყნებს რამდენიმე ნაშრომს.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის საკვალიფიკაციო კომისიის 1932 წლის 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას და შესანიშნავ მკვლევარს, დოცენტის წოდება მიენიჭა, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1941 წელს დისერტაციის (გადასახადები და სიღარიბე, ჰენრი ჯორჯი და მისი თანამოაზ-

რენი“) დაცვის საფუძველზე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, ეკონომიკისა და იურიდიული ფაკულტეტების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1954 წელს ვ. ჩანტლაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ფინანსები რეფორმადელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.)“, რის საფუძველზეც მას მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ 1959 წელს მიანიჭა პროფესორის წოდება.

პროფ. ვ. ჩანტლაძე 1967 წელს ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგედ აირჩიეს და ამ თანამდებობაზე იმუშავა 21 წლის მანძილზე. 1974 წელს მას ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წელს – აკადემიკოსად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით 1944 წელს ჩამოყალიბდა ეკონომიკის ინსტიტუტი, სადაც მისი დაარსებიდან 1980 წლამდე ვასილ ჩანტლაძე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თეორიული და დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობის აქტუალური პრობლემების დამუშავებაში.

პირველი ნაშრომი, რომელიც ვასილ ჩანტლაძემ 1930 წელს გამოაქვეყნა, იყო „კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ფინანსური მოძღვრება“. ახალგაზრდა მკვლევარის ეს ნაშრომი არ არის ჩვეულებრივი, იმ დროისათვის ხარკის მოხდის მიზნით თითქმის სავალდებულო, ტრაფარეტული ფორმალური განხილვა მარქსისა და ენგელსის ფინანსური შეხედულებებისა. იგი მართლაც რომ საკითხისადმი შემოქმედებითი მიდგომით, პრობლემების ყოველმხრივი ანალიზის ერთ-ერთი სამაგალითო ნიმუშია, რის კვალობაზე ჩამოყალიბებულ დასკვნებსა და დებულებებს ძალა და სიცოცხლისუნარიანობა დღესაც შენარჩუნებული აქვს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბატონი ვასილის ყველა ნაშრომი, რომელიც შექმნილია საბჭოთა ეპოქაში, ისეა გაჯერებული ღრმა მეცნიერული არგუმენტებით, რომ იდეოლოგიური ზეგავლენა მათზე არსებით კვალს ვერ ტოვებს და თითოეული მათგანის თეორიული და



პრაქტიკული ფასეულობის მაღალი დონე ყველა დროისათვის გარანტირებულია.

ზემოთ აღნიშნულ პირველ ნაშრომში ვასილ ჩანტლაძე ეხება ბურჟუაზიულ-ფინანსურ ლიტერატურაში იმ დროისათვის გაგრძელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც კ. მარქსს თითქოს არ აინტერესებდა ფინანსური საკითხები. ვ. ჩანტლაძე მიდის დასკვნამდე, რომ ფინანსური საკითხები კ. მარქსს გათვალისწინებული აქვს თავისი კვლევა-ძიების გეგმის მესამე ნაწილში, რაც აიხსნება მისი მეთოდოლოგიის თავისებურებით, რომლის მიხედვითაც, ყოველ კატეგორიას კვლევა-ძიებისა და გადმოცემის არსიდან გამომდინარე, ზედასვლის პროცესში თავისი ზუსტად განსაზღვრული ადგილი უჭირავს. ავტორმა თავის შრომებში დაასაბუთა, რომ სწორი არ არის ფინანსური კატეგორიების იმგვარი გადმოცემა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფინანსურ ლიტერატურაში. კ. მარქსის მიხედვით, კატეგორიათა გადმოცემის თანმიმდევრობა განისაზღვრება აბსტრაქტულიდან კონკრეტულამდე ზედასვლის გზით. მან ფინანსურ კატეგორიათა კვლევისა და გადმოცემის დიალექტიკა გაშლილად და დასაბუთებულად მოგვცა თავის მეორე ნაშრომში – „ფინანსურ კატეგორიათა ადგილი კ. მარქსის ეკონომიკურ სისტემაში“.

ვ. ჩანტლაძე ჯერ კიდევ 1930-იან წლებში ამტკიცებდა, რომ კ. მარქსის სისტემაში ფინანსური მეცნიერება პოლიტიკური ეკონომიის ნაწილია, რომ გადასახადი, როგორც ეკონომიკური კატეგორია, უფრო კონკრეტული კატეგორიაა, ვიდრე მიწის რენტა, სასესხო კაპიტალი და სხვა, რომ კ. მარქსის ფინანსური მოძღვრება განუყრელი ნაწილია მისი ეკონომიკური მოძღვრებისა: ფინანსური კატეგორიები წარმოადგენენ ეკონომიკურ კატეგორიათა გაშლი ფორმას.

ბატონი ვასილის გამოკვლევებს როგორც სპეციალისტები, ისე მკითხველი საზოგადოება დიდი ინტერესით შეხვდა, მაგრამ მათ შორის მაინც მინდა აღვნიშნო ფართოდ გახმაურებული კაპიტალური მონოგრაფია – „ფინანსების თეორიის საკითხები“, რომელმაც ავტორს საქვეყნო აღიარება და სახელი მოუტანა. მსოფლიოში ცნობილმა სპეციალისტებმა ეს შრომა შეაფასეს როგორც ეკონომიკური მეცნიერების ოქროს ფონდში შეტანილი დიდი წვლილი. იგი ითარგმნა უცხოურ ენებზე, მათ შორის ჩინურადაც

და მილიონობით ტირაჟით გამოიცა საზღვარგარეთ, რამაც მის ავტორსა და მთელ ქრთულ მეცნიერულ-ეკონომიკურ აზროვნებას ავტორიტეტი მნიშვნელოვნად აუმაღლა.

შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევად ჩაითვალოს ბატონი ვასილის ასაკში (მაშინ 89 წლისა იყო) გამოცემული შესანიშნავი მონოგრაფიული გამოკვლევა, „ფინანსური მენციერების საფუძვლები“. ამ ნაშრომში გამოკვეთილია ფინანსური ურთიერთობების მისადაგება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პრინციპული მოთხოვნებისადმი, სიახლის გრძნობა და ამ საკითხის ავტორისეული ნათელი და დამაჯერებელი გადმოცემის შეუდარებელი ოსტატობა.

ბატონმა ვასილმა თავისი მეცნიერული კვლევა-ძიებით ბევრ პრობლემატურ საიდუმლოებას ახადა ფარდა, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ მაინც მინდა რამდენიმე მათგანზე თქვენი ყურადღების შეჩერება. სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ფინანსებს მეცნიერების დიდი ჯგუფი ზედნაშენურ კატეგორიად მიიჩნევდა, ზოგიც, შედარებით ვიწრო წრე მეცნიერებისა, მას ბაზისს მიაკუთვნებდა. დავა მათ შორის სათანადო მეცნიერული დასაბუთების სიღარიბით ათეული წლობით გრძელდებოდა. ბატონმა ვასილმა სათანადო წყაროების დრმა მეცნიერული ანალიზით ამ დავას წერტილი დაუსვა და დამაჯერებლად ცხადყო, რომ ფინანსები იყო, არის და იქნება ისეთი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც მიეკუთვნება ბაზისს და არა ზედნაშენს. ეს აზრი კი ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია.

ფინანსურ ლიტერატურაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ ფინანსები გაანაწილებს და გადაანაწილებს ეროვნულ შემოსავალს, და ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს. ეს დებულება, ვ. ჩანტლაძის მტკიცებით, არ არის ზუსტი, რამდენადაც ეროვნული შემოსავალი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილია და ამ ორ ცნებას შორის „და“ ზედმეტია. ეს ისევე არალოგიკურია, როგორც გამონათქვამი: „პეტრემ იცის ყველა ევროპული ენა და ფრანგული ენა“. ცნებები – „ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი“ და „ეროვნული შემოსავალი“ მოცულობის მიხედვით არა ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია, არამედ პირველი დაქვემდებარებული ცნებაა, ხოლო მეორე-დაქვემდებარებული. პირველი ცნების მოცულობა შეიცავს მეორე ცნების

მოცულობას. ამასთანავე, ეს მოცულობა უმართებულოა იმ მხრივაც, რომ ფინანსები ანაწილებს და გადაანაწილებს არა მარტო ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს, არამედ ეროვნულ სიმდიდრესაც.

დიდია და ფასდაუდებელი ბატონი ვასილის მეცნიერული ღვაწლი ფულის, კრედიტისა და ფინანსების გენეზისის განსაზღვრაში. საქმე ისაა, რომ ეკონომისტთა ერთი ნაწილი უარყოფდა ფინანსების არსებობას კაპიტალიზმამდე არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში და მას კაპიტალიზმისა და სოციალისტური წყობილების სიკეთედ მიიჩნევდა. ბატონმა ვასილმა მისთვის ჩვეული სიღრმით განიხილა ეს საკითხი და სათანადო მასალებზე დაყრდნობით დაასაბუთა ფინანსების არსებობა მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებებშიც. მისი მეცნიერული დასკვნა იმის შესახებ, რომ ფული და კრედიტი წარმოშობილია პირველყოფილი საზოგადოების განვითარების მაღალ საფეხურზე, ხოლო ფინანსები – მონათმფლობელურ საზოგადოებაში, კერძო საკუთრების კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ, ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ვ. ჩანტლაძეს ორიგინალური განმარტებები აქვს მოცემული ფინანსური მეცნიერების საგნის მეთოდისა და ამოცანების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა მისი მონოგრაფიები – „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“ და „ფინანსური თეორიის საკითხები“. განსაკუთრებით უკანასკნელი, რომელშიც მოცემულია, საბჭოთა კავშირში ფინანსური თეორიის განვითარების შეჯამებასთან ერთად, მრავალი ახალი ორიგინალური დებულება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეკონომიკური და, კერძოდ, ფინანსური მეცნიერების აქტუალური საკითხების შემდგომ დამუშავებასა და გადაწყვეტას. ამ შრომებში ვ. ჩანტლაძემ მოგვცა ფულისა და ფინანსების ორიგინალური დასაბუთება და ახსნა, თუ რა შემთხვევაში იქცევა ფული ფინანსებად. საქონლურ-ფულადი მეურნეობის პირობებში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის გაფართოებული აღწარმოება იწვევს საზოგადოებრივი ფონდების ფორმირებას ფულის სახით. ფული გამოცალკევდება საქონლის მიმოქცევისაგან და იწყებს შედარებით დამოუკიდებელ მოძრაობას. ამ საფუძველზე იქმნება

ფულადი მიმოქცევა და ფულადი ფონდები, როგორც არის ბიუჯეტური ფონდები, საკრედიტო ფონდები, გამოცალკავებულ გაერთიანებათა ფულადი ფონდები და მოსახლეობის ფულადი ფონდები. ისინი, ფუნქციონირების ხასიათიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად დებულობენ ფინანსურ ფორმას.

ფულადი ფონდი, რამდენადაც ემყარება ფულის ფუნქციონირებას, არ არის ფინანსური ფონდი. ასეთ შემთხვევაში ფული არის მხოლოდ ფული და არა ფინანსები. მაგრამ, როდესაც ფული რამდენიმე ან ყველა მისი საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებისას ახალ თვისებებს იძენს, ისე, რომ გამოიყენება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის განაწილება – გადანაწილების, მეურნეობრივი ანგარიშიანობის გატარების და კონტროლის საშუალებად, მაშინ ფინანსებად იქცევა. ამგვარად, ფორმირებული და გამოყენებული ფულადი ფონდი არის ფინანსური ფონდი. ფულადი ფონდი ფინანსურ ხასიათს დებულობს იმისგან დამოუკიდებლად, ის ფულის ერთ რომელიმე ფუნქციას ასრულებს თუ სამივეს ერთად.

ვასილ ჩანტლაძემ ორიგინალური კვლევა მოგვცა მე-11 და მე-12 საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ნაშრომის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის გაგებისათვის. ტექსტის ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „თქმულ არს ესეცა, დაღათუ მაუწყებელ არს სიტყვა, ვითარმედ თვისთა ხელითა ამისცა შვრებოდა, რომელ მის დღისა საჭამადი მის დააფასოს და რაოდენი დღივ შესჭამის, ხელსაქმარსა მისსა განყიდის და ეგოდენსა ფასსა გლახაკთა ახელსაქმნის და მისცის არა სამეფოს შემოსავლითგან“.

ისტორიკოსები ამას აძლევენ შემდეგ ახსნას: თამარ მეფე ყოველდღიურ თავის „საჭამადს“ აფასებდა და მის ღირებულებას ურიგებდა ღატაკებს არა სამეფო შემოსავლიდან, არამედ თავისი ხელსაქმეობით დამზადებული ნივთების გაყიდვის ამონაგებიდან. ეს ახსნა ვასილ ჩანტლაძეს არ მიაჩნდა სწორად და მოგვცა შემდეგი ორიგინალურად დასაბუთებული ახსნა: თამარი როგორც თავისი ხელით აკეთებდა საქმეებს, ასევე გლახაკებსაც ასაქმებდა, ე.ი. ხელსაქმეს აკეთებინებდა. დასაქმებულ მუშებს აძლევდა ულუფას, დღიურ საზრდოს. მათ დღიურ „საჭამადს“ აფასებდა წარმოების დანახარჯების გაანგარიშებისათვის. ამა თუ იმ

ოდენობის პროდუქტების დამზადების პერიოდში, რამდენი დღისასაც შეჭამდნენ, მხედველობაში ღებულობდნენ მათი ხელსაქმარის გაყიდვიდან ამოღებული წმინდა შემოსავლის გამოსაანგარიშებლად. ამგვარად, დასაქმებული გლახაკები დახმარებას ღებულობდნენ არა სამეფო შემოსავლიდან, ე.ი. არა ბიუჯეტური წყაროდან, არამედ ამ წარმოებაში მათ მიერვე შექმნილი ღირებულებიდან.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბატონი ვასილის ყველა ნაშრომი, სტატია თუ ზეპირი გამოსვლა, სიახლით სუნთქავს. შეუძლებელია საქმეში ჩახედულმა კაცმა მათში არ დაინახოს, არ იგრძნოს ავტორის დიდი რუდუნება და საკითხისადმი შემოქმედებითად მიდგომის გასაოცარი უნარი. ეს კი რჩეულთა ხვედრია და ბატონი ვასილიც მათ შორის ამაღლებულ, საპატიო ადგილს იკავებს.

ბატონმა ვასილმა, დიდმა პატრიოტმა, ქართველი ხალხის სხვა ღირსეულ მამულიშვილთა მსგავსად, კვლევითი მუშაობის ძირითად საგნად გაიხადა ეროვნული აზროვნების უმდიდრეს და მრავალფეროვან წიაღში ეკონომიკური სიბრძნის ელვარე მარგალიტების მოძებნა – გამომზეურება და საერთაშორისო მეცნიერულ ასპარეზზე წარმოდგენა, როგორც ბრწყინვალე მაგალითი ქართველი ხალხის ეკონომიკური აზრის სიღრმისა, მრავალსაუკუნოვანი ასაკისა, გამძლეობისა და სიცოცხლისუნარიანობისა. ამ დიდ საქმეს უძღვნა მრავალი შრომა, სტატია და სხვადასხვა შეკრებებსა და სიმპოზიუმებზე საყურადღებო გამოსვლები. ჯერ კიდევ სადოქტორო დისერტაციაში, „ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში“, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმატებით დაიცვა 1954 წელს, ბატონმა ვასილმა ჩვეული სიცხადითა და საოცარი ლოგიკური მსჯელობით გვიჩვენა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფინანსების, როგორც ქართული ეკონომიკური აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების მეცნიერული ცოდნის დონე საკმაოდ მაღალი იყო და მრავალმხრივ ორიგინალური, აზრთა სიღრმით – საინტერესო და პრაქტიკული თვალსაზრისით – პროგრესული. ეს ნაშრომი ცალკე წიგნად გამოვიდა 1975 წელს და წარმოადგენს კაპიტალურ გამოკვლევას, სადაც მოცემულია ფინანსების განვითარების კანონზომიერება რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში. შეიძლე-

ბა ითქვას, რომ ამ ნაშრომში, მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით, ფართო ისტორიოგრაფიული და მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზისის მეცნიერული გამოყენებით გამოკვლეულია რიგი ეკონომიკური და ეკონომიკურ-ისტორიული მეცნიერების მიერ შეუსწავლელი საკითხებისა.

ამ დარგის პრობლემათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომა „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი“. იგი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ წარმოადგენს პირველ ცდას სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებისა და დასაბუთებისა და მეცხრამეტე საუკუნემდელი ქართული ეკონომიკური აზრის შესწავლისა.

ნაშრომი იწყება ეპოქის ისტორიული მიმოხილვით და საბას სოციალურ შეხედულებათა დახასიათებით. ამის შემდეგ განხილულია მწერლის შეხედულებანი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლის, სიმდიდრის წყაროს, ფასის, ფულის როგორც კაპიტალის, ზედმეტი პროდუქტის პრობლემების, ხელფასის, კრედიტისა და ფინანსების შესახებ და მთავრდება საბას თავგამოდებითი ბრძოლის დახასიათებით საქართველოს ეროვნული მთლიანობისა და მეურნეობრივ-პოლიტიკური აღორძინებისათვის. საბას ეკონომიკური შეხედულებანი შესწავლილია არა მარტო თავისთავად, არამედ შედარებითი ხერხის გამოყენებით, იგი განხილულია მსოფლიო ეკონომიკური აზრის განვითარების ასპექტში. ამ შრომაში დასაბუთებულია იმ დროისათვის პროგრესული დებულება სულხან-საბა ორბელიანისა, რომლითაც იგი 70 წლით წინ უსწრებს ფიზიოკრატიული მიმართულების მამამთავარს – ფრანსუა კენეს. ეს საკითხი მოხსენდა ეკონომისტ-ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესს ლენინგრადში 1970 წლის აგვისტოში. მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა და გავრცელდა რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ვ. ჩანტლაძის დამსახურებას წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ მან არა მარტო გამოიკვლია ეს საკითხი, არამედ დანერგა კიდევც. ეს აღმოჩენა საერთაშორისო კონგრესზე გაიტანა და მისი კვლევის საფუძველზე პოლიტიკური ეკონომიის ენციკლოპედიის რედაქციამ ენციკლოპედიაში შეიტანა სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ფიზიოკრატიული სკოლის წინამორბედი თავისი ეკონომიკური შეხედულებებით.

ეროვნული ეკონომიკური აზროვნების სიღიადისა და უკვდავების დიდი ჰიმნია ბატონი ვასილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნამდვილი „მარგალიტი“ – შოთა რუსთაველის ეკონომიკური იდეები. ამ წიგნის შესახებ კვლავაც ბევრი დაიწერება, მის შეფასებას დიდი დრო, ცოდნა და ენერჯია სჭირდება, მაგრამ ძალიან მოკლედ და ზოგადად აქაც რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო. კარგ მოქმელს კარგი გამგონე უნდაო, ზუსტად ამ ნაშრომზეა ნათქვამი. გენიალური პოეტის მხატვრულ ქარაგმაში მოქცეული ეკონომიკური შეხედულებები ბატონმა ვასილმა გამოიცნო დიდი სიზუსტითა და სისრულით. იგი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ მარტივად და გასაგებად წაიკითხა ეკონომიკის ენაზე და ასე მარტივად, მიმზიდველად და საინტერესოდ მიაწოდა იგი მკითხველს. მაგრამ მთავარია, რა მიაწოდა? პირველი ის, რომ XII საუკუნეში ჩვენს ერს ჰყავდა უზარმაზარი პოეტი, რომელმაც თავის უკვდავ ქმნილება „ვეფხისტყაოსანში“ გასაოცარი სიღმრით ჩააქსოვა „ეკონომიკური პოეზია“, ეპოქის ეკონომიკური სუნთქვის მამოძრავებელი ძალები და კანონზომიერებები; მეორე ის, რომ ეს ძალები და კანონზომიერებები, ეროვნული ელფერის მიუხედავად, ნამდვილად იდგა განათლებული მსოფლიოს ეკონომიკური სტანდარტების დონეზე; მესამე ის, რომ შოთა რუსთაველის „ეკონომიკური პოეზია“ არ იყო მარტო XII საუკუნის ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი. იგი სრულყოფილად ასახავდა მომავალი საუკუნეების პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების სანუკვარ მიზნებსა და ინტერესებს და ამ მხრივ იგი უკვდავია; მეოთხე ის, რომ სახელმწიფო სიძლიერე, საზოგადოების სისხლსავსე ცხოვრება, ადამიანის ბედნიერება წარმოუდგენელია მტკიცე ეკონომიკური ბაზისის გარეშე პატიოსანი შრომის, ბარაქისა და დოვლათის სიუხვის გარეშე; მეხუთე ის, რომ ასეთი პირობების შექმნისათვის აუცილებელია ეპოქის შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომლის ძირითადი მიზანი იქნება: ხალხის, მთელი საზოგადოების კეთილდღეობა, პროგრესის უანგარო სამსახური, ბოროტების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, სინდისისა და პატიოსნების წინა პლანზე წამოწევა, მოწყალებისა და ქველმოქმედების ფართოდ გაშლა და ა.შ.

ამ ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ავტორი, კონკრეტული ეკონომიკური პოზიციე-

ბიდან გამომდინარე, მკაცრი ლოგიკურობით ნათელს ჰყვენს „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებულ რიგ სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ და სხვა საკითხებს, ამის გამო იგი შეფასებულ უნდა იქნას როგორც ნათელი მაგალითი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანის“ მაღალი მხატვრული სახეები ასხივოსნებენ აზრებს, ბრძნული აზრებით, თავისი მხრივ, ელვარებას მატებენ „მხატვრულ სახეებს“. ეს ჰარმონია კი უკვდავყოფს მის შემოქმედს. დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ვასილი, სხვა რომ არაფერი შეექმნა, მარტო ამ გამოკვლევითაც დაიმკვიდრებდა ამაღლებულ, საპატიო ადგილს ეროვნული ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში.

დიდი ამაგი დასდო ბატონმა ვასილმა ქართველი ხალხის უკვდავი შვილის, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური იდეების შესწავლა-გამომხეურებას, პროგრესული განვითარებადი მხარეების ჩვენებას, ამ იდეების ორიგინალური ხასიათის, მაღალი დონისა და სიცოცხლისუნარიანობის საყოველთაო აღიარებას.

მოკრძალებული პატივისემით და სიყვარულითაა გამსჭვალული ბატონი ვასილის შრომები, რომელიც ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის ეკონომიკურ-ფინანსური შეხედულებების შესწავლას. ამ შრომებში დამტკიცებულია, რომ ივანე ჯავახიშვილი არის პირველი მკვლევარი, რომელმაც საქართველოს ეკონომიკურ-ფინანსური აზროვნების ისტორია მტკიცე მეცნიერულ სისტემაში მოაქცია და ამით დასაბამი მისცა მის თანმიმდევრულ და სისტემატურ კვლევა-ძიებას.

პროფ. ვ. ჩანტლაძემ საკმაოდ დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე ეკონომიკის ტერმინოლოგიის დამუშავების ხაზით. მიიღო მონაწილეობა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკის ტერმინოლოგიის შედგენაში, შეადგინა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ფინანსურ-საკრედიტო ტერმინოლოგია და აგრეთვე რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული სტატისტიკური ტერმინოლოგია. ამასთანავე, დაწერა განმარტებანი რიგი ტერმინებისა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის I-XII ტომებისათვის; გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია ქართულ ენაზე ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინის გაგების საკითხთან დაკავშირებით.

ბატონმა ვასილმა დიდი ცოდნა და ენერგია მოახმარა ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობის სტუდენტებისათვის ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნას, რომლებიც ნათარგმნ და



ქართულ ენაზე დაწერილ სხვა სახელმძღვანელოებზე გაცილებით გამძლე და სტაბილური აღმოჩნდა. ამ სახელმძღვანელოთა რიგს მიეკუთვნება „კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები“, „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“, „ფინანსები და კრედიტი“, „ფულის, კრედიტის და ფინანსების ისტორია“ და სხვა. სწორედ ამ სახელმძღვანელოებზე აღიზარდნენ სპეციალისტთა მთელი თაობები. ასეთი ტრიუმფი კი განაპირობა არა მარტო დიდმა მეცნიერულმა ცოდნამ და არაჩვეულებრივმა მეთოდოლოგიურმა ოსტატობამ, არამედ ყველაფერთან ერთად, ნამდვილად შესაშურმა პედაგოგიურმა ნიჭმა და ალღომ, ჭეშმარიტი მასწავლებლისათვის დამახასიათებელმა უნარ-ჩვევებმა.

70 წელიწადი ვასილ ჩანტლაძე ლექციებს კითხულობდა განუწყვეტელი სტაჟით, დიდი ცოდნითა და ენთუზიაზმით. მან აღუზარდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული მრავალი სპეციალისტი ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს და ქვეყნის სახალხო მეურნეობის და კულტურის სხვადასხვა დარგს.

ვასილ ჩანტლაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და სხვ.

ბოლო წლებში თავს დატეხილი ტრაგიკული განცდების გამო უსაშველო და უთქმელი სევდით გულამოვსებული მეცნიერი, მასწავლებელი და აღმზრდელი, ამქვეყნიურ ცხოვრებას სამარადისოდ განეშორა.

1995 წლის იანვარში დაბადების 90 წლის იუბილე გადავუხადეთ. იქნებ სიმბოლურიც იყო საიუბილეო წელში მისი დიდი სიცოცხლის დასრულება. მიუხედავად ხანდაზმულობისა, მის მესსიერებას ბზარი არ შეჰპარვია, ჩვეული შეუპოვრობითა და შრომისმოყვარეობით კითხულობდა ლექციებს და ბრწყინვალე მეცნიერული მემკვიდრეობა დაუტოვა მომავალ თაობას.

არავისთვის საკამათო არ გამხდარა, რომ ვასილ ჩანტლაძე უზარმაზარ ცოდნას ფლობდა, არასოდეს გამორჩებოდა არა მარტო მსოფლიო ფინანსისტ-ეკონომისტთა, არამედ სხვა დარგების მეცნიერთა უკანასკნელი ნაშრომები და მიღწევები. ჩამოთვლაც კი

გამიჭირდებოდა ყველა დარგისა, იმდენად ფართო და ყოვლისმომცველი იყო მისი მეცნიერული ინტერესების სფერო, თვალსაწიერი.

ბატონ ვასილთან, როგორც ჩემს მასწავლებელთან მრავალი წლის ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა და არ მახსოვს მასთან არც ერთი შეხვედრა, სადაც არ მეგრძნო მისი სიტბო, სიკეთე, მაღალი კულტურა, უბრალოება, თავმდაბლობა, თანადგომა და პატივისცემა. მის პიროვნებაში პედანტობის ნატამალსაც ვერ აღმოაჩენდით. თავისუფალ დროს საოცრად უყვარდა თავის მეგობრებთან, კოლეგებთან, სტუდენტებთანაც კი ექსკურსიები, მოლხენა და პურობა. ვერ იტანდა ხელმოცარულთა ქედმაღლობას, ყოყონობას, ადამიანის უპირველეს ღირსებად თავმდაბლობა მიაჩნდა, ყველგან და ყველაფერში ამაღლებულს, მშვენიერსა და ლამაზს ეძებდა. კაცურად იცხოვრა და დიდებულადაც შეასრულა თავისი დიდი მოვალეობა თავისი ხალხის წინაშე, როგორც მეცნიერების ჭეშმარიტმა რაინდმა, მეცნიერების სინდისმა და ნამუსმა, გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ, როგორც უბადლო მეგობარმა და მასწავლებელმა.

პროფ. გედევან ხელაია  
28.11.14

ვასო ძიას ხსოვნას

ბიბლიოთეკა და კაბინეტი

დაახლოებით ათი წლის ასაკში სოციალური კლასიფიკაციის პირველი იდეა მომივიდა თავში: არიან ადამიანები (ოჯახები), რომელთა ბინაში არის წიგნები (ბიბლიოთეკა) და არის საწერი მაგიდა (კაბინეტი); და არიან ადამიანები (ოჯახები), რომლებსაც ასეთი რამ არ გააჩნიათ...

მამაჩემის ახლო მეგობრებს, ყველას ჰქონდა ბიბლიოთეკა-კაბინეტი.

არსებითად, პაატა გუგუშვილის ოჯახი ბიბლიოთეკაში იყო განთავსებული. თითქმის ყველა ოთახში იყო კარადები ან ჭერამდე თაროები გაჭედილი ლიტერატურით. ყველას ჩვენ-ჩვენი ბიბლიოთეკა გვქონდა - მამას ათასობით მეცნიერული წიგნი, ჟურნალი და სქელი საქაღალდე; დედას რამდენიმე თარო ქართული და რუსული ან რუსულად ნათარგმნი რომანები და ლიტერატურული ჟურნალები; მე და ჩემს ძმას საკმაოდ დიდი კარადა სამეცნიერო-პოპულარული, საბავშვო ლიტერატურა, რომელთა შორის თანდათანობით უპირატესად მეცნიერული ფანტასტიკის წიგნები სჭარბობდა.

მერვე კლასიდან მე საკუთარი საწერი მაგიდაც გამიჩნდა, რომელზეც ბოლოს საკანდიდატო დისერტაცია დავწერე და პირველი ქართული კომპიუტერული დამწერლობა შევქმენი.

როდესაც თბილისის ბინაში წიგნები უკვე აღარ გვეტეოდა დ მათი ნაწილი წყნეთის აგარაკზე ავიტანეთ, სადაც ამისთვის, ბოლოს მომცრო ცალკე სათავსოც ავაგეთ.

მამის ტოლა და სადარი კაბინეტი-ბიბლიოთეკები ჰქონდათ მის მეგობრებს დ ვასო ძიას და ბატონ შალვა ნუცუბიძეს. ყრმობისას ვასო ძიას ბიბლიოთეკაში საკმაროდ ბევრი დრო მიტარებია. როდესაც მშობლები წვეულების სუფრას უსხდნენ, მე ნება მქონდა დართული აქ ენციკლოპედიები მეკითხა - ჩემი საყვარელი ლიტერატურა. ვასო ძიასთან ყველაზე უფრო მომწონდა რევოლუციამდელი "ბროკჰაუზისა და ეფრონისა". მისი დიდი ნაწილი აქ წავიკითხე ყველა თემაზე, განურჩევლად.

მამა, ზოგადად თავის კაბინეტში ცხოვრობდა და ეძინა კიდეც, დანარჩენი ოჯახის წევრებისგან ძლიერ განსხვავებულ რეჟიმში,

რომლის გამოც არსებითად მამას მხოლოდ ტრადიციული ოჯახური სადილისას ვხვდებოდით.

ამ თემასთან დაკავშირებით ერთი მომენტი მახსენდება. დაახლოებით სამოცდაათიან წლებში მამა ერთმა "დიდმა კაცმა" მიიწვია ოჯახში ნადიმზე. მამამ ბინა შეათვალიერა და გაკვირვებულმა ჰკითხა მასპინძელს: ოჯახში წიგნები არ გაქვთო? მასპინძელმა ამაყად უპასუხა: როგორ არა, ტელეფონების საცნობარო წიგნი გვაქვსო... მამა მაშინათვე ადგა და უსიტყვოდ გაეცალა "დიდი კაცის" წვეულებას...

ტელევიზორს არც მამა და არც ვასო ძია არ უყურებნენ, არსებითად გაზეთებსაც არ კითხულობდნენ. ჩვენს ოჯახში მამას დეკრეტი ასეთი იყო: ტელევიზორი არაუმეტეს 2 საათი დღეში - ახალი ამბები და თუ სასარგებლო რამე კინოფილში იყო... სამაგიეროდ დამამა გვიან ღამით ხშირად უსმენდა "რადიო თავისუფლებისა" და "ამერიკის ხმის" გადაცემებს -- თავისი ძვირიანი და ძლიერი რადიოთი, ძალზე დაბალ ხმაზე, ისე რომ უცხოს არ გაეგო...

#### ვასო ძია სუფრაზე

ათობით წლის განმავლობაში, პაატა გუგუშვილის ოჯახში, უფრო კვირა დილით, თვეში სულ ცოტა ორ-სამჯერ იმართებოდა წვეულება უახლოესი მეგობრებისთვის უფრო ხშირად ხაშის თემაზე. თვეში თუნდაც ერთხელ კი საღამოს წვეულება უფრო ფართო წრისათვის. არ მახსოვს თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ ვასო ძია და ძაგული დეიდა არ ყოფილიყვნენ სუფრასთან.

ვასო ძიამ ყველასგან განსხვავებული, უნიკალური სადღეგრძელოები იცოდა, განსაკუთრებით თუ ეს უახლოეს მეგობრებს ეხებოდა. მისი ყოველი ასეთი სადღეგრძელო მოთხრობილი ან მცირედ გაღიქსილი პატარა ნოველა იყო, როგორც წესი რომანტიკულ ჟანრში, მაგალითად როგორც სასიყვარულო წერილი... და, ეს სადღეგრძელო-ნოველა აუჩქარებლად, რბილი და თბილი არტისტიზმით ითქმოდა. არაა გასაკვირი, რომ ვასო ძიას ვაჟი, თენგიზი ძალზე პოპულარული არტისტი გახდა. მასწავლებელი მას ოჯახში ჰყავდა. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ თენგიზი ვასო ძიაზე უფრო ნიჭიერი არტისტი იყო...

არანაკლებ ხშირად მართავდა წვეულებას ძაგული დედიდაც,

სტუმრების თითქმის იმავე შემდგენლობით. ხოლო, როდესაც თენგიზ ჩანტლაძე პოპულარული და ძალზე ცნობილი გახდა, ჩანტლაძეების ოჯახში უკვე გახშირდა ხალხმრავალი ნადიმები, რომლებზეც სტუმრების უდიდესი ნაწილი უკვე მსახიობები და სხვა შემოქმედებითი დარგების წარმომადგენლები იყვნენ, შესაბამისი დონის სიმღერებითა და გალობით.

მამასთან, სუფრაზე კი ვიწრო წრეში, დაბალ ხმაზე წაუღი-  
დინებდნენ, უფრო ხშირად მამაჩემის საყვარელ სიმღერას, ასე:

„ბინდისფერია სოფელი, თანდათან უფრო ბინდდება,  
წარმავალია ნათელი სულ მოსაჩვენად ბრწყინდება  
რა არის ჩვენი სიცოცხლე ჩიტივით გაგვიფრინდება,  
ჩვენს ნასახლარზე ოდესღაც ბალახი აბიბინდება.“

იმასაც მოკლედ უვლია, ვინც გრძლად ეგონა იარა,  
თოფს ჟანგი შეჭამს, ჟანგს მიწა, კაცის გულს დარდის იარა,  
მოვა სიკვდილი უჩინო, ერთ წამში აგვეყრის იარადს,  
ჩვენ რას წავიღებთ იმქვეყნად, სხვას არა წაუღია-რა...“

მაგრამ, ამ ნაღვლიანს უფრო ოპტიმისტურს მიაყოლებდნენ:

„დავლოთ სანამ ერთად ვართ,  
სანამ ერთმანეთს ვხედავთო,  
ჯავრი მაშინაც გვეყოფა  
შავ ლოდს რომ ამოვხედავთო“

ღამის მოციონები

სულ ცოტა ორი ათეული წელი, მამასა და ვასო ძიას პირადი ურთიერთობის ძირითადი ნაწილი ღამის თითქმის ყოველდღიური მოციონისას ხდებოდა. რასაც ძირითადად მხოლოდ ერთ-ერთის ავადმყოფობა ან ძლიერი უამინდობა შეიძლებოდა აღდგომოდა წინ.

მოციონი იწყებოდა და მთავრდებოდა “მრგვალ ბალთან“ და კარგ ამინდში და კარგი განწყობისას “ვაკის პარკამდე“ გრძელდებოდა. მოციონს ახლდა განუწყვეტელი საუბარი და აზრთა

გაცვლა-გამოცვლა -- თემატიკა კი უკიდუგანო იყო. ერთხელ ხუმრობით დაუუნგარიშე -- სულ ცოტა 7-8 ათასი საათი გაქვთ ასეთ საუბრებში გატარებული, მეთქი. მე მეტი მეგონაო -- მომიგო...

ძალზე ხშირად სანამ მამა და ვასო ძია სეირნობდნენ -- დედა და ძაგული დეიდა ტელეფონით საუბრობდნენ -- დაწყებული ოჯახური გარემოებებით, ჯანმრთელობით, კერძების დამზადებითა და პარკეტის უკეთ გაპიალების მეთოდებით დამთავრებული...

ვასო ძიას და ძაგული დეიდას სიყვარულით,  
ბესარიონ გუგუშვილი

მნიშვნელოვანი ღონისძიებები

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე  
წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები

2015 წლის 10 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში ჩატარდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“.

კონფერენციის პლენარული სხდომა გახსნა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, ემდ., პროფ. რამაზ აბესაძემ, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა ქართველ და უცხოელ მეცნიერებს კონფერენციაში მონაწილეობისათვის. ემდ. პროფ. რ. აბესაძემ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დამსახურებაზე, კონფერენციის თემატიკასა და კონფერენციის მნიშვნელობაზე, როგორც ეკონომიკური მეცნიერების განვითარების, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო კავშირების გაფართოების თვალსაზრისით.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა და წარმატებები უსურვა თსუ-ს რექტორმა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. მან ისაუბრა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის, როგორც დიდი მეცნიერისა და მეცნიერების ორგანიზატორის, ასევე ინსტიტუტის წინაშე მდგომი ამოცანებისა და გამოწვევების შესახებ. აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა კონფერენციაზე ასევე გამოვიდა სამეცნიერო მოხსენებით.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა მოსკოვის მართვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ემდ პროფ. ალბერტ ზარნაძე, იონანე-პავლე მეორის სახელობის ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი სლავომირ პარტიცკი (პოლონეთი). აგრეთვე კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები

პოლონეთის, მოლდოვის, უკრაინის, ყაზახეთის, რუსეთის, და სხვა ქვეყნების სამეცნიერო წრეებიდან.

კონფერენციას ესწრებოდნენ თსუ მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ღვედაშვილი და თავმჯდომარის მოადგილე თეა წითლანაძე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი ემდ, პროფ. თეიმურაზ ბერიძე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო, კონფერენციას მიესალმნენ და პლენარულ სხდომაზე სამეცნიერო მოხსენებებით გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მეცნიერ-ეკონომისტები. საზღვარგარეთიდან – პროფესორები: სლავომირ პარტიციკი (პოლონეთი), ალბერტ ზარნაძე (რუსეთი), და სხვა. საქართველოდან – პროფესორები: თემურ შენგელია, ვახტანგ ბურდული და სხვები.

პლენარული სხდომის შემდეგ კონფერენციამ მუშაობა სექციების მიხედვით განაგრძო.

კონფერენციის მუშაობა წარიმართა შემდეგ სამეცნიერო სექციებში: ეკონომიკური თეორიის (ხელმძღვანელები: პროფესორები: ალფრედ კურატაშვილი და მურმან კვარაცხელია); მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების (ხელმძღვანელები: ეკონომიკის დოქტორები: იზა ნათელაური, რევაზ ჯავახიშვილი); მაკროეკონომიკის (ხელმძღვანელები: ეკონომიკის დოქტორები: ნანული არევაძე, გულნაზ ერქომაიშვილი); სექტორული და რეგიონული ეკონომიკის (ხელმძღვანელები: ემდ, ვახტანგ ბურდული, ეკონომიკის დოქტორი ზურაბ რევიშვილი); მდგრადი განვითარების ეკონომიკური პრობლემები (ხელმძღვანელები: პროფ. თინა ჩხეიძე, ეკონომიკის დოქტორი მამუკა ხუსკივაძე); მიკროეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების (ხელმძღვანელები: პროფ. გიორგი ბერულავა, ეკონომიკის დოქტორი ეთერი კაკულია); ფინანსებისა და საბანკო საქმის (ხელმძღვანელები: ეკონომიკის დოქტორები: თეა ლაზარაშვილი, მაია გოგოხია); სოციალური და დემოგრაფიული პრობლემების (ხელმძღვანელები: ეკონომიკის დოქტორები: ელენე ჩიქოვანი, ლია ჩარექიშვილი).

სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელებმა სექციების მუშაობის შეჯამებისას ყურადღება გაამახვილეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების იმ პრობლემებზე, რომლებიც წამოჭრეს მომხსენებ-



ლებმა. სამეცნიერო სექციების ხელმძღვანელებმა, ასევე ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ კონფერენცია ჩატარდა მაღალმეცნიერულ დონეზე და მომსახურების მიერ წარმოჩენილ იქნა არაერთი მეცნიერული სიახლე, წინადადება და რეკომენდაცია.

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა ემდ, პროფ. რამაზ აბესაძემ დადებითად შეაფასა კონფერენციის მუშაობა.

11 ივლისს გაიმართა პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-სახეიმო სხდომა.

სხდომას უძღვებოდა თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე. სხდომამ წუთიერი პატივი მიაგო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ ლეო ჩიქავას ხსოვნას. პროფ. რამაზ აბესაძემ თავის ვრცელ მოხსენებაში – “აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა” ისაუბრა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

საიუბილეო სხდომაზე აკადემიკოს პ. გუგუშვილის მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოგონებებით გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა.

მოგონებებით გამოვიდა ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ემდ, პროფ. ავთანდილ სულაბერიძე, თსუ ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი ემდ, პროფ. თემურ ბერიძე, ემდ, პროფ. ნოდარ ჭითანავა, ემდ, პროფ. თემურ შენგელია, ეკონომიკის დოქტორი ლინა დათუნაშვილი და სხვები. მათ ფართოდ გააშუქეს აკადემიკოს პაატა გუგუშვილის მოღვაწეობა როგორც მეცნიერის, პედაგოგის, პიროვნებისა და სხვა.

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა, ემდ, პროფ. რამაზ აბესაძემ ერთხელ კიდევ მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას საიუბილეო დონის-ძიებებში მონაწილეობისათვის და დადებითად შეაფასა როგორც

საერთაშორისო კონფერენციის, ისე საიუბილეო-საზეიმო სხდომის მუშაობა.

საიუბილეო დღეებში გაიმართა კულტურული ღონისძიებები.

ლინა დათუნაშვილი

პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ეკონომიკის დოქტორი;

თეა ლაზარაშვილი

ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიკის დოქტორი

ხსოვნა

პროფესორი ლეო ჩიქავა



საქართველოს ეკონომიკურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. 87 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეო ჩიქავა.

პროფესორი ლეო ჩიქავა დაიბადა 1928 წლის 20 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში. 1950 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1955–1969 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი და პროფესორი, 1969–1974 წლებში უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე, 1974–1983 წლებში კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე. 1983–1990 წლებში იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დამფუძნებელი და მისი უცვლელი დირექტორი 1990–2006 წლებში. 1997 წლიდან იგი იყო მის მიერ დაფუძნებული პაატა გუგუშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი. 1999 წლიდან ბატონი ლეო ხელმძღვანელობდა სახელმწიფო სამსახურის მართვის, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამდლების ცენტრს.

1954 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1968 წელს სადოქტორო დისერტაცია.

ფართოა ბატონი ლეოს სამეცნიერო კვლევის სფერო. მისი ნაშრომები მიეკუთვნება ეკონომიკური თეორიის, მაკროეკონომიკის, მრეწველობის, დემოგრაფიის, სოციოლოგიის, ტერმინოლოგიის პრობლემებს. იგი არის 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, აქედან – 21 მონოგრაფიის, წიგნისა და ბროშურის ავტორი.

ფართო აღიარება მოიპოვა მისმა მონოგრაფიებმა, როგორცაა: “დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“ (2008), „ინოვაციური ეკონომიკა“ (2006), და „არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები“ (1987), სახელმძღვანელოებმა: „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“ (1997) და „საქართველოს ეკონომიკა“ (1995) და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ტერმინოლოგიური ლექ-

სიკონი „Экономическая и демографическая терминология“, რომელიც ეკონომისტების სამაგიდო წიგნია და რომელიც აკადემიკოსების პაატა გუგუშვილისა და ვასილ ჩანტლაძის დაუმთავრებელი ნაშრომის საფუძველზე დაასრულა, რითაც მან დიდი ვალი მოიხადა მისი წინამორბედების წინაშე.

ბატონი ლეო იყო მისი ინიციატივით დაფუძნებული საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის უცვლელი პრეზიდენტი, არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის, სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი და სხვ. ბატონი ლეოს ხელმძღვანელობით აღიზარდა სდუდენტთა და მეცნიერთა არაერთი თაობა, რომლებიც წარმატებით საქმიანობდნენ და საქმიანობენ ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სადაც კი საქმიანობდა, ბატონი ლეო ავლენდა მეცნიერის ნიჭიერებას და გასაოცარ შრომისუნარიანობას, ორგანიზატორის პრინციპულობასა და ობიექტურობას, ადამიანურ სიკეთეს და მიმტევებლობას. ყოველივე ამის გამო მან ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსხურა.

ბატონი ლეო დიდი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის დაჯილდოებული იყო საქართველოს ღირსების ორდენით.

შესანიშნავი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ბრწყინვალე მეგობრის, კეთილშობილი ადამიანის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლეო ჩიქავას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება, მისი კოლეგების, მეგობრებისა და აღზრდილების გულში.

საქართველოს აკადემია                      მეცნიერებათა ეროვნული

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

პროფესორი ამირან ჯიბუტი



ქართველ ეკონომისტთა საზოგადოებას, ინტელიგენციას გამოაკლდათ ვალსაჩინო მეცნიერ-ეკონომისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ამირან ჯიბუტი.

დაიბადა 1928 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუამაღლებში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბანკში ეკონომისტად, ბანკის მმართველად, საშუალო სკოლის დირექტორად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის პროფესორად, თბილისის ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტის დირექტორად.

პროფესორი ა. ჯიბუტი კითხულობდა ლექციების კურსს ეკონომიკურ თეორიაში, საჯარო ფინანსებში, სახელმწიფო ბიუჯეტში, სხვადასხვა სპეცკურსს ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში. იგი იყო ღრმად განსწავლული მეცნიერი, პრინციპული და მომთხოვნი პედაგოგი. მის კალამს ეკუთვნის 180-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 21 მონოგრაფია და სახელმძღვანელო თეორიული და გამოყენებითი ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე.

პროფესორი ა. ჯიბუტი იყო სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოსა და სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 10-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. პროფესორი ა. ჯიბუტი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და ივანე ჯავახიშვილის მედლით.

საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პროფესორ ამირან ჯიბუტის გარდაცვალების გამო, თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახის წევრებს, მეგობრებს და ახლობლებს, ქართველ ეკონომისტთა საზოგადოებას. იგი დააკლდა სრულიად საქართველოს. ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია

**ინფორმაცია**

\*\*\*

ჟურნალ ეკონომისტის რედაქცია აცხადებს კონკურსს პრემიის მოსაპოვებლად 2013 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული საუკეთესო სტატიისათვის. პრემია მიეკუთვნება სტატიას, რომელსაც გამოავლენს მაღალკვალიფიციური ჟიური, სამეცნიერო სტატიისათვის წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პრემიის მფლობელს გადაეცემა შესაბამისი დიპლომი და ფულადი პრემია 300 ლარის ოდენობით.

\*\*\*

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გაშლის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა დაწოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალთ, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით  
შემდეგ მისამართზე: **economics\_institute@yahoo.com,**  
**nbibilashvili@rambler.ru**

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია  
მზადაა თანამშრომლობისათვის.

ღამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ  
მისამართზე: ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

პაატა ბუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
გამომცემლობა

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე  
შელავათიან ფასებში  
გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:  
მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება  
გამოიცემა:

სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები,  
ლექსიკონები, ცნობარები  
პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული,  
სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)  
ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა,  
სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და  
გზამკვლევეები  
ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14  
293 22 60; 551 10 07 04.

ელ.ფოსტა: **economics\_institute@yahoo.com**

შურნალ "ეკონომისტი" სტატიების წარმოდგენის წესები

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგი-

ლის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.

3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური და რუსული TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [economics\\_institute@yahoo.com](mailto:economics_institute@yahoo.com),  
[tealazarashvili@rambler.ru](mailto:tealazarashvili@rambler.ru)

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

ღამატიპიტი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.

#### ლარის ანგარიში

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი 204864548  
მიმღების დასახელება – ხაზინის ერთიანი ანგარიში  
მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა  
ბანკის კოდი – **TRESGE22**  
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი **708967254**



---

---

**THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO  
THE JOURNAL “ECONOMISTI”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address:  
**economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

**USD**

<p><b>Intermediary:</b> <b>FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA</b> <b>SWIFT CODE FRNYUS33</b> <b>ACC: 021087992 GEORG</b> <b>Beneficiary's bank:</b> NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI SWIFT CODE: BNLNGE22 beneficiary organizatio name IBAN: GE65NB0331100001150207</p>
---

ს ა რ ჩ ე ვ ი

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი

ვლადიმერ პაპავა – ქართული ეკონომიკური სკოლის ფუძემდებელი	7
რამაზ აბესაძე – აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ცხოვრება და მოდერნიზაცია	11
ავთანდილ სულაბერიძე, ციცილო გვრიტიშვილი, ვლადიმერ სულაბერიძე – პაატა გუგუშვილი - სოციოლოგიური დემოგრაფიის ფუძემდებელი საქართველოში	22
ვასილ ჩანტლაძე – სიტყვა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაკრძალვის დღეზე	29
პაატა გუგუშვილი – აზიური წარმოების წესი	33

აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე

ვლადიმერ პაპავა – საერთაშორისო აღიარების მქონე ქართველი ფინანსისტი	73
გედევან ხელაია – აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის ცხოვრება და მოდერნიზაცია	77
ბესარიონ გუგუშვილი – ვასო ძიას ხსოვნას	90
მნიშვნელოვანი ღონისძიებები	94
ხსოვნა	98
ინფორმაცია	101

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

E-mail: economics\_institute@yahoo.com

Journal “**Economisti**”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

E-mail: economics\_institute@yahoo.com

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
გამომცემლობა

რედაქტორი ნატო აბესაძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**